645
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა



60

# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

4—5
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. შევარდნაძე და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ენუქიძე ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

გ. ვახტანგაძის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

645
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

60

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციას

17.7.95

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან და ულოცავენ ჟურნალ „საქართველოს ქალის" კოლექტივს, მის ავტორებსა და მრავალრიცხოვან მკითხველებს ღირსშესანიშნავ დღესასწაულს — ჟურნალის დაარსების 60 წლისთავს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ჩადგა ეს ჟურნალი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ქალთა ინტერესების სამსახურში, როდესაც ხორცს ისხამდა და მკვიდრდებოდა ახალი იდეები, ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებრივი წყობილება, ადამიანთა ახლებური ურთიერთდამოკიდებულებანი ოჯახსა და საზოგადოებაში. ასეთ ვითარებაში, საქართველოს ქალთა ჟურნალი მისი არსებობის პირველსავე დღეებიდან წარმოგვიდგა, როგორც დიადი ლენინური იდეების გულმხურვალე პროპაგანდისტი, ქალთა მასების უნარიანი ორგანიზატორი. იგი ყოველთვის აქტიურად იბრძოდა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ენერგიულად იღვწოდა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების სრულყოფისათვის, ეხმარებოდა მათ შვილების აღზრდაში, ოჯახური გარემოს სიწმინდის შენარჩუნებაში. ათასობით სახელოვანი საბჭოთა ქალის — დედისა და მშრომელის, მოღვაწისა და შემოქმედის შესანიშნავი ბიოგრაფია გაშუქდა განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე ჟურნალის ფურცლებზე. ჩვენი საზოგადოებრიობა უსაზღვროდ მადლიერია იმ ფასდაუდებელი წვლილისათვის, რომელიც ჟურნალის შემოქმედებითმა კოლექტივმა, მისი ავტორების მრავალრიცხოვანმა აქტივმა შეიტანა მთელს ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა როლისა და მონაწილეობის განუხრელად ამაღლების საქმეში.

ჟურნალის საქმიანობაში ფართოდაა ჩაბმული ჩვენი საუკეთესო სამწერლო, სამეცნიერო, ჟურნალისტური ძალები, მთელი შემოქმედებითი ინტელიგენცია. რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების სისტემატურმა თანამშრომლობამ ჟურნალში კიდევ უფრო განამტკიცა მისი ბრძოლისუნარიანობა და ავტორიტეტი.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს ახალი გაზრდილი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა (1983 წ.) და შემდგომდროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. ახალი ამოცანების წინაშე დგას ჟურნალ „საქართველოს ქალის" შემოქმედებითი კოლექტივიც. ეს არის ქალთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომი ზრდა მეთერთმეტე ხუთწლედის დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ესაა ოჯახის — სახელმწიფოს ამ დიდმნიშვნელოვანი ქვაკუთხედისა და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უპირველესი კერის კიდევ უფრო გაძლიერება და განმტკიცება, ქალთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების კლიმატის სიჯანსაღისა და სიწმინდისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

ჟურნალის ერთ-ერთ მთავარ თემას უნდა წარმოადგენდეს იმ ფართო მუშაობის კიდევ უფრო საინტერესოდ და მრავალმხრივად ჩვენება, რომელიც ჩვენში მიმდინარეობს ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, ამასთან, ჟურნალმა გვერდი არ უნდა აუაროს ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ გადაუწყვეტელ საკითხებს, კომპეტენტურად, გაბედულად და საქმიანად გააშუქოს ისინი, იბრძოლოს თავისი პუბლიკაციების ქმედითობისათვის. ჟურნალისაგან ასევე სისტემატურ ყურადღებას მოითხოვს მრავალშვილიანი ოჯახების, მრავალშვილიანი დედების პრობლემა — ერის სიმდიდრის, სიძლიერისა და სიამაყის ეს განსაკუთრებული საგანი. აუცილებელია შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდეს და განვითარდეს ჟურნალის რედაქციის მიერ ამ მიმართებით დაწყებული მუშაობა. ქვეყნისა და ხალხის ღირსეულ შვილთა სიმრავლე, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობების დაზრდა ჰუმანიზმის, შრომისმოყვარეობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მუდამ იყო და კვლავაც არის ქალთა, დედათა ჟურნალის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება, მისი მოწოდება.

ვუსურვებთ ჟურნალ „საქართველოს ქალის" კოლექტივს, მის ავტორთა მრავალრიცხოვან აქტივს, და მათი სახით — ჩვენს შესანიშნავ ქალებს სულ ახალ და ახალ წარმატებებს, ოჯახის სიკეთეს, შვილთა მრავლობას, ბედნიერ დედობასა და ქალობას.

კვლავაც გამარჯვების გზებით ევლოს ჟურნალ „საქართველოს ქალს!"

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# საქართველოს ქალთა ჟურნალი 60 წლისაა







თ. ჟუჟუნია　　ნ. სამნიაშვილი　　ვ. ანჯაფარიძე　　ლ. ნიჟარაძე　　ბ. ლაგვილავა

თითქოს აგერ ახლა იყო — 1974 წლის ნოემბერი. რუსთაველის თეატრის საზეიმოდ მორთული სცენა. საქართველოს ქალთა ჟურნალი თავისი დაბადების 50-ე — წლისთავს დღესასწაულობდა.

და აი, ახლა უკვე 60 წლოვანი დისტანციიდან გავცქერით გამოვლილ გზას...

კვლავაც ცოცხლდება 1923 წლის სექტემბერი — საქართველოს ქალთა ჟურნალის „ჩვენი გზის" დაბადების დღე, რომლის სახელწოდებაც შემდგომ შეიცვალა „მშრომელი ქალით", „საბჭოთა ქალით", „საქართველოს ქალით"...

ვიგონებთ ჟურნალის ორგანიზატორებსა და რედაქტორებს, ცნობილ მოღვაწეებს: ლიდა გასვიანს, თამარ ადამიძეს, ვარო ჯაფარიძეს, მარიამ ორახელაშვილს, სონია თალაკვაძეს, ნინო ჩარკვიანს, ფედოსია გეგეშიძეს, ნინო ალაჯალოვას, სუსანა შავერდოვას, ოლღა ნადირაშვილს, თეო აბაშმაძეს... პასუხისმგებელ მდივნებს: მწერალ ალექსანდრა ჩხენკელს და თითქოს ახლახან ჩვენგან წასულ მირცა კალანდაძეს.

ჟურნალის ფურცლებს სათუთად შემოუნახავთ რევოლუციისათვის მებრძოლ თუ ქალთა განყოფილებებში მომუშავეთა სახელები; პირველი პროფესორი პედიატრის მარიამ უგრელიძისა და პირველი მფრინავი ქალის ნ. ხუბულავას ხსოვნა; საბჭოთა განახლებული სოფლის, სოციალისტური ინდუსტრიის პირველმშენებელნი: ქიონია სარსანია, ელენე ნატროშვილი, ელპიტე გოლიაძე, ნუნუ აგაშენაშვილი, მარიკა ფუნდუკიდი, ელენე ლავთაძე, ეთერ მაზანაშვილი, სოფიო ბაზანდარაშვილი, რომელთა საპატიო წოდებები „შრომის დამკვრელი", „სტახანოველი", მომდევნო თაობებმა სოციალისტური შრომის გმირობამდე აამაღლეს. დღეს მარტო ზუგდიდის რაიონის ახალსოფელი 40-მდე სოციალისტური შრომის გმირი მეჩაიით იწონებს თავს. და მათთან რამდენი გმირი, წარჩინებული, ნოვატორი, რაციონალიზატორი, ლაურეატი ამშვენებს ჩვენი ჟურნალის ფურცლებს, რამდენი, ერის სიცოცხლის მშობელი და აღმზრდელი გმირი დედა!

ვფურცლავთ ჟურნალებს და კვლავაც გვახსენებს თავს ნაჭრილობევი, დიდმა სამამულო ომმა რომ დაგვიტოვა: თინა იოსებიძე, ზოია რუხაძე და რამდენი მათი ბედის მოზიარე, ომის გზებზე რომ გავაცილეთ.

მაშინ, საქართველოს ქალთა ჟურნალის 50 წლის თავზე ჩვენ თვალი გადავავლეთ მის მიერ განვლილ ნახევარსაუკუნოვან გზას, ვეცადეთ თავი მოგვეყარა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყოველდღიური ზრდის მაუწყებელი ფაქტებისა და მოვლენებისათვის, შეძლებისდაგვარად აღგვენუსხა ქალის — მეცნიერის, მუშის, კოლმეურნის, ლიტერატორის, ხელოვანის, სპორტსმენის, განათლების, ჯანმრთელობის თუ სხვა ამა თუ იმ უბნის მშრომელის, მოღვაწის წვლილი ახალი ცხოვრების შენებაში...

იმ დღიდან კიდევ ათი წელი მიითვალა ისტორიამ. თავის მკითხველთან ერთად იზრდებოდა, შრომობდა და იღვწოდა „საქართველოს ქალი". და, აგერ, სადღეისოდ მისმა ტირაჟმა 140 000-ს მიაღწია, მის ფურცლებზე კი შეძლებისდაგვარად აირეკლა ჩვენი ქვეყნის სისხლსავსე და მჩქეფარე ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები, მასში მონაწილე ქალთა სახეები.

ცხადია, ეს ანარეკლი ვერ იქნება სრულყოფილი. აბა, როგორ დაიტევდა მცირეტანიანი ჟურნალი ამდენ ფაქტს, მოვლენას, როგორ აღნუსხავდა ათასობით ღირსეული ქალის ღვაწლს! მაგრამ, ალბათ, ამ მცირედითაც მოიხაზა 70-იანი წლების საქართველოს მშრომელ ქალთა პორტრეტი — იერსახე ქალისა, ძალღონის დაუზოგავად რომ ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ცხოვრების იმ საოცრად აჩქარებულ ტემპს, ბოლო ათწლეულში რომ დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძლევამოსილმა წინსვლამ მოითხოვა ახალი ტიპის, უმაღლესი კვალიფიკაციის მწარმოებელი ძალა. ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებამ — განათლებული დედა, მეუღლე, მოქალაქე. თუ როგორ გაართვა ქალმა თავი ამ ამოცანებს, რა წვლილი შეაქვს მას რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში, მოგვითხრობს ციფრები, ფაქტები... ჩვენ კი ვხედავთ, როგორ დგას იგი უახლესი მანქანების პულტთან თუ ტრიბუნაზე, რა კატეგორიებით მსჯელობს, როგორ ცხოვრობს, უძღვება ოჯახს, ზრდის ქვეყნის მომავალს...

ამ წლების მანძილზე ახალი ფურცლები ჩაიწერა საქართველოს ქალთა ბიოგრაფიებში, წლებმა წარმოაჩინა ახალი სახელებიც. მათ შესახებ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, მათ შორის „საქართველოს ქალის" ფურცლებზეც.

ახლა, საიუბილეო ნომრის ამ სტრიქონებში გვსურს ერთხელ კიდევ ვახსენოთ იმ რამდენიმე ქალის სახელი მაინც, ვინც შრომისა და საზოგადო მოღვაწეობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა დღესაც: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე თამარ ჟუჟუნია, თბილისის № 36 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია; გმირი დედა და გმირი მეჩაიე მარგო ჩიქვანაია... და ერთხელ კიდევ დავავლოთ ფიქრის თვალი სოციალისტური შრომის გმირთა ფოტოგალერეას, რომელსაც ამ ბოლო ათწლეულში შეემატნენ: ჩაის ფაბრიკებიდან — ბაბუცა ლაგვილავა და ლამარა ალანია, მეჩაიეები ნადია ჯინჭარაძე, გუგული ქადეიშვილი, ნორა საკანია, მეთამბაქოე ელენე გორგაძე, მწველავი ზაირა ალხანიშვილი, მეცხოველე ნაზო პეტრიაშვილი, მასწავლებელი ნადია სამნიაშვილი, ექიმი ლუბა ნიჟარაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე.

ბევრ ქალს საქართველოს სსრ სახელმწიფო თუ კომკავშირის და სხვა პრემიების ლაურეატობა მიენიჭა.

ახლახან განახლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა. საქართველოდან წარგზავნილთა შორის 23 ქალია.

მრავალზე მრავალი ქალია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ისინი ზრუნავენ რჩევა-დახმარებისათვის მისული ადამიანებისათვის, მოღვაწეობენ მუდმივმოქმედ კომისიებში, წინადადებები შეაქვთ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. მათს საქმიანობას კი წარმართავენ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე და პრეზიდიუმის მდივანი თამარ ლაშქარაშვილი.

ამ ბოლო სამ წელიწადში ორმოცდათორმეტმა ქართველმა ქალმა დაიმშვენა მკერდი „გმირი დედის" უმაღლესი ჯილდოთი. ამათგან ცხრამეტს საპატიო წოდება გასულ, 1983 წელს მიენიჭა.

„მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა", — თქვა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ.

ქება-დიდება ყოველ ღირსეულ დედას, მამას, ყოველ მრავალშვილიან ოჯახს — საქართველოს უკვდავების საძირკველს!

მრავალშვილიანობა რჩეულ ოჯახთა ხვედრია. ასეთი ბედნიერი ოჯახები აქა-იქ ჩვენს დედა-ქალაქშიც გვხვდება. იქნებ ეს ერთეულები ჩვენი რთული დემოგრაფიული ვითარების სურათს ბევრად ვერ ცვლიან, მაგრამ სასიხარულო ტენდენციის მიმნიშნებელნი კი

60


ე. გორგაძე


ნ. პეტრიაშვილი


ლ. ალანია


ზ. ალხანიშვილი


ვ. ქემაშვილი


ნ. საკანაია


სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბოლნისის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვების" მუშა თ. აბდულაევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიქტორია სირაძე



თამარ ლაშქარაშვილი

60



ზინაიდა კვაჭაძე



ნინო ქვანია

უდაოდ არიან. სასიხარულოა, ამ ბოლო დროს რომ შეიმჩნევა ახალგაზრდა ოჯახების მიდრეკილება სამ და ოთხ შვილიანობისაკენ. ქალაქის პირობებში ესეც დიდი მიღწევაა, აუცილებლობად მისაჩნევი და მისაბაძი მაგალითი.

„შეეჯიბრეთ ერთმანეთს სწავლაში, შრომაში, სამშობლოს სიყვარულში, აკვანთ სიმრავლეში"... მოუწოდებს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ახალგაზრდობას და ეს მარტოოდენ მოწოდება კი არა, სამშობლოს დავალებაა, დიდი დავალება!

ჩვენ ვიცით, რა ზრუნვა-დახმარება ესაჭიროება არათუ გმირ, — ყოველ რიგით დედას. ამ ზრუნვის ჭეშმარიტი გამოხატულებაა ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება „ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 18 იანვრის დადგენილების შესრულების დამატებითს ღონისძიებათა შესახებ."

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. ამას ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი 1984 წლის თებერვლის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. კ.უ. ჩერნენკოს გამოსვლაში.

ჩვენში ოჯახის ინტერესებს, დედათა და ბავშვთა ინტერესებს დაწესებულებათა ფართო ქსელი ემსახურება. ამ მიმართულებით მუშაობს სხვადასხვა კომისიები, საბჭოები.

რესპუბლიკის ქალთა საბჭო, რომელსაც საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზინაიდა კვაჭაძე ხელმძღვანელობს, მრავალ ღონისძიებას ატარებს ქალთა შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალის შრომის შემსუბუქებისათვის, მისი სამუშაო ადგილის გაჯანსაღებისა და კეთილმოწყობისათვის ზრუნვა.

სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საქალაქო ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ნინო ქვანია განსაკუთრებული გულითადობით არის ცნობილი. ბევრის თქმა შეიძლება იმაზე, თუ რა საქმიანობას ეწევიან საქალაქო და მასში შემავალი ქალთა საბჭოები ოჯახების დასახმარებლად. ეს საქმიანობა ჯამდება და სათანადო მიმართულებას იღებს სწორედ ნინო ქვანიას უშუალო ხელმძღვანელობით. ასევე სასარგებლო მუშაობაა გაჩაღებული ერთობლივ რესპუბლიკის ქალთა საბჭოებში.

ქალების შრომითი კეთილმოწყობის ახალ ფორმებს ეძიებს საქართველოს სსრ შრომის კომიტეტის თავმჯდომარე რუსუდან ჯაფარიძე. საცხოვრებელი სახლების პროექტების ახალ, საინტერესო გადაწყვეტაზე ფიქრობს საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი თინათინ ქუთათელაძე, ხანდაზმულთა და ინვალიდთა შინ მომსახურებისათვის, მათი სახლების მშენებლობისა და არსებულის მუშაობის სრულყოფისათვის ზრუნავს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ელენე ჩოფიკაშვილი;

სხვადასხვა საკითხთან ერთად ოჯახების მრავალმხრივი საზრუნავი იყრის თავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თამარ ქაბულოვასთან, პარტიის გალის რაიკომის მეორე მდივან მერი გეგეჭკორთან, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივან ნათელა დუმბაძესთან. ჩვენს რესპუბლიკაში იცნობენ და პატივს სცემენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ჩინებულ მოღვაწე ქალებს, რესპუბლიკისა თუ ოლქების მინისტრებს, მინისტრის მოადგილეებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს: საქალაქო, რაიონული, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საწარმოებისა და მეურნეობების მესვეურებს.

ტრადიციისამებრ, მნიშვნელოვანი წვლილით წარმოგვიდგება ვეტერან ქალთა საბჭო, ოლია საბაშვილის მეთაურობით და ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოებში მოღვაწე ქალები.

ყველა აქ ჩამოთვლილი მუშაკისა და მოღვაწის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი დედისა და ბავშვის ინტერესები გახლავთ.

ამ დიდ საქმეში ჟურნალ „საქართველოს ქალსაც" შეაქვს თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისელი 26 წლის ქეთინო მექვაბიშვილი, მისი მეუღლე ვასილ ფანქველაშვილი და შვილები: ბადრი, გია, შოთა, გოჩა და ხვიჩა.

## სამამულო ომის ვეტერანები



მწერალი თინა დონჟაშვილი



თამარ გოთუა



გალინა ჯაში



ქეთევან ხომერიკი

ხი მოკრძალებული წვლილი. რედაქციაში, თუ მის გარეთ იმართება შეკრებები, ეწყობა მრგვალი მაგიდები, მკითხველთა კონფერენციები...

ამ რამდენიმე წლის წინათ საუკეთესო ქალთა საბჭოებს გადაეცათ რედაქციის წამახალისებელი ჯილდო „საქართველოს ქალის“ მანდილი“, ხოლო სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკების წარმატება აღინიშნება „საქართველოს ქალის“ „ღიმილის პრიზით“. ეს ჯილდო გადაეცათ უნივერმაღის ნოქარს, კინოს მუშაკებს, დედაქალაქის ყვავილნარებით დამამშვენებელ დიასახლისებს... ამას წინათ კი — მაუდ-კამვოლის კომბინატის ცნობილი ქარგლის ვერა ქემაშვილის ბრიგადის წევრებს.

შეჯიბრება გრძელდება...

სიახლეების პოლიგონად მიჩნეულ ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ გაჩაღებულ საქმიანობაში საწარმო — საწარმოს, მეურნეობა — მეურნეობას, რაიონი — რაიონს, ქალაქი — ქალაქს შეჯიბრებია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სიახლეები ოჯახსაც არსებითად შეეხება.

ვიმედოვნებთ, კიდევ მეტად გავრცელდება ქალთა შინ დასაქმება, გაღრმავდება თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის წამოწყება — ოთხ საათიანი სამუშაო დღე. საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები გამოძებნიან ახალ ფორმებს — კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებენ ზეგეგმითი წარმოებიდან მიღებულ სახსრებს დედათა და ბავშვთა დასახმარებლად.

რაც შეეხება ჟურნალის ხვალინდელ დღეს, იგი სავსეა ახალი გეგმებით, ოცნებებით — კიდევ მეტად აიმაღლოს თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული დონე.

ჩვენს ამ ნომერში ვეცადეთ წარმოგვედგინა ჟურნალის იუბილედან იუბილემდე, ათი წლის მანძილზე განსაკუთრებით დაწინაურებულნი, მოგვეთხრო იმათი ამბავი, ვინც გვერდში უდგას ქალს და ეხმარება მრავალმხრივ საქმიანობაში. ჟურნალი ნიადაგ ცდილობდა და კვლავაც ეცდება, რომ არავინ და არაფერი იყოს დავიწყებული...



მფრინავი ქალი
მერი ავიძბა

დღევანდელ, საზეიმო დღეს, მოწიწებით ვხრით თავს ჩვენგან წასულ იმ დიდებულ ქალთა ხსოვნის წინაშე, ვინც იბრძოდა რევოლუციის გამარჯვებისათვის, საბჭოთა საქართველოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ვისაც რწმენითა და გატაცებით აჰქონდა საქვეყნო ტვირთი ხუთწლედების ძნელ საფეხურებზე; უკვდავების ყვავილებით ვმოსავთ სამამულო ომის გზებზე დარჩენილთა საფლავებს...

ცოცხლებს კი, ამაგდარებს, ვინც ილვწოდა და დღესაც ილვწის ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.

მადლობა და ჩვენი საუკეთესო სურვილები ყველა კეთილ მეგობარსა და მეზობელს; მადლობა ჩვენი ჟურნალის ავტორებს; ჩვენს ერთგულ თანაშემწეებს, პოლიგრაფიის მუშაკებს, ჟურნალის მუხლმოუღლელ გამავრცელებლებს და თქვენ, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო!

**მარად გულმხურვალედ მდგარიყოს ქვეყნის სამსახურად, თქვენს სამსახურად თქვენი „საქართველოს ქალი“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუ საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკ ქალებთან

ესაუბრა ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის განყოფილების გამგე

ნანული ცაგარეიშვილი



## ნელი გურგენიძე,

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

**— პროფესიით პედაგოგი ბრძანდებით, გიყვართ ბავშვები და გატაცებით ემსახურებოდით მათ აღზრდას. რამ განაპირობა კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ ასპარეზზე თქვენი წარმატება?**

— დიახ, ჩემი პროფესია პედაგოგობაა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლაში ძალიან მცირეხნიანი მასწავლებლობის დროს შეძენილი გამოცდილების სიკეთეს ახლაც დღენიადაგ ვგრძნობ.

სიტყვა „წარმატება", რომელიც თქვენს შეკითხვაშია, მხოლოდ იმ აზრით მესმის, რომ მართლაც ასეთ პასუხსაგებ და საპატიო კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე მომიხდა ყოფნა. გთხოვთ ეჭვი არ შეიტანოთ ჩემს გულწრფელ აღიარებაში, რომ ყოველ ახალ ხელმძღვანელ სამუშაოზე არჩევისას ყველაზე ძლიერი გრძნობა, რომელიც მეუფლებოდა, ის იყო, რომ მენდობიან და აფასებენ ჩემს შესაძლებლობებს უფრო მეტად, ვიდრე დავიმსახურე და ეს კიდევ უფრო მიათკეცებდა საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას. თავისთავად კი წარმატების მოპოვებისათვის შეუპოვარი შრომა ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებად მიმაჩნია და ამ აზრით, კომკავშირულ და პარტიულ ასპარეზზე წარმატების მთავარი პირობაც კვლავ საკუთარი ძალების სრული გამოყენებით შრომა და ბრძოლა, სინდისთან პირნათელი ცხოვრებაა მხოლოდ.

არც იმის არ აღნიშვნა შემიძლია, რომ ჩვენი თაობის კომკავშირული და პარტიული მუშაკებისათვის უაღრესად არსებითი და განმსაზღვრელია პირადი მაგალითის ძალა იმ ადამიანებისა, ვისი ხელმძღვანელობითაც პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის პირველი ჩვევები შევიძინეთ და პირველი ნაბიჯები გადავდგით.

**— რით ხსნით „ღვთისმოსავ" ქალთა მომრავლების ერთგვარ ტენდენციას?**

— კარგად მოგეხსენებათ — რთულია ამ კითხვაზე რამდენადმე ამომწურავი პასუხის გაცემა და ისიც — მოკლედ. ეს კია, რომ ათეისტური პროპაგანდა ქალთა, და არა მარტო ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად გვესახება. თბილისის 39-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ჩვენ შევეცადეთ სერიოზული ანალიზი გაგვეკეთებინა საერთოდ ადამიანთა შეგნებაზე რელიგიური გავლენის ერთგვარი გაძლიერების არც ისე მცირერიცხოვანი ფაქტორებისათვის. მათგან, ჩვენის აზრით, ყველაზე მეტად დამაფიქრებელია მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ რელიგიური ფორმით შენიღბული ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოტევის გაუთვალისწინებლობა, იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების თანამედროვე პირობებში კონტრპროპაგანდის არასკმაო დონე და აღმზრდელობითი მუშაობის მთელს ციკლში, დაწყებითი საფეხურიდან მოყოლებული, მოზარდებში ათეისტური სულისკვეთების ჩამოყალიბების მნიშვნელობის ერთგვარი შეუფასებლობა. ყოველივე ეს ფართო მეცნიერული კვლევის საგანია. მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი, ან თუ შეიძლება ითქვას, „სუფთა თბილისური" ფაქტორების გამოყოფის საფუძველი, ვფიქრობთ, აქ არ არსებობს.

საერთოდ კი, ყოველივე ზემოდთქმულის გათვალისწინებით, პარტიის საქალაქო კომიტეტს შემუშავებული აქვს მშრომელთა ათეისტური აღზრდის გაძლიერების კომპლექსური პროგრამა, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება.

**— ყველაზე სევდიანი ეპიზოდი თქვენი ცხოვრებიდან?**

— ამ თხუთმეტიოდე წლის წინ რომ დაესვათ ჩემთვის ეს კითხვა, იმ სევდიან დღეთა შორის, რომლებიც არც ისე ცოტა იყო ჩემს ცხოვრებაში, პირველ რიგში გავიხსენებდი ეპიზოდს, რომელსაც როგორც ვატყობ, დღესაც ვერ ვუვლი გვერდს. ეს იყო მოსკოვში, კომკავშირულ სკოლაში სწავლისას დამეგობრებულ უცხოელ თანატოლებთან და თანამოაზრეებთან განშორების დღე (ისინი მაშინ თავიანთ ქვეყნებში ახალგაზრდულ კომუნისტურ კავშირთა ლიდერები იყვნენ), როდესაც უცებ სინამდვილედ იქცა ის საშინელი გრძნობა, რომ ჩვენ ვეღარასოდეს შევხვდებოდით ერთმანეთს... ეს სევდიანი დღე სევდიან თვეებად და წლებად გადაიქცა...

და საერთოდაც ხომ ასეა — განშორების სევდა ყველაზე ძლიერი და სულისშემძვრელია ადამიანურ სევდათა შორის.

ახლა კი, ამ კითხვაზე უფრო გულმართალ პასუხს ვერ ვპოულობ, ვიდრე ჩემი მშობლების გარდაცვალებით გამოწვეული სევდაა.



## ბელა მაჭაშვილი,

საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

**— ტრადიციულია, მაგრამ მასზე ხშირად სხვადასხვაგვარად უპასუხებენ: რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება?**

— ქალის ცხოვრების გზა ეს არის გზა სიცოცხლის მარადიული არსებობისათვის. ჭეშმარიტად ბედნიერია ის ქალი, ვინც ამ გზას ღირსებით გაივლის. ქალს დღეს გარდა ოჯახური ცხოვრებისა სხვა ცხოვრებაც აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაა საზოგადოებრივ ასპარეზზე მისი გასვლა. ბედნიერია ის ქალი, ვინც ნახა ამ ასპარეზზე თავისი ბუნების შესატყვისი სფერო და აქაც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?**

— სიკეთეს და სიძლიერეს.

**— სტატისტიკის მიხედვით მუშა ქალთა შორის ცოტაა მრავალშვილიანი, როგორ არის ამ მხრივ თქვენს ქალაქში საქმე დღეს და რა პერსპექტივა გესახებათ სამომავლოდ?**

— არც მაინცდამაინც ჩვენს ქალაქშია ამ მხრივ საქმე კარგად. მაგრამ ახალგაზრდებს კარგად ესმით ერის მომავალი და მისი სიძლიერე შვილთა სიმრავლეა, ამიტომ იმედი მაქვს ასეთი ოჯახების რიცხვი მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამას კიდევ განამტკიცებს და ხელს შეუწყობს ის ზრუნვა, რომელსაც პარტია და მთავრობა იჩენს ბოლო ხანს ახლადდაქორწინებულებისა და მრავალშვილიანი ოჯახების მიმართ.



**ნანი გუგუნავა,**

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

— ჩვენმა საუკუნემ ქალს სრული ემანსიპაცია მოუტანა, მაგრამ როგორც იტყვიან, მედალს მეორე მხარეც აქვს: „სუსტი სქესის წარმომადგენელი" ორმაგად დატვირთული აღმოჩნდა. საზოგადოებრივი საქმიანობის პარალელურად იგი კვლავინდებურად ეწევა ოჯახის ჭაპანს, მამაკაცები კი, ცოდვა გატეხილი სჯობია, ვერ უნაწევრებენ ცოლს შინაურ საზრუნავს.

60

**როგორ ფიქრობთ, ხომ არ დარჩება ქალი მარადიული „ორმაგი უღლის" ქვეშ?.**

— ემანსიპაციამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ქალის მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე — იგი უფლებრივად გაუთანასწორდა მამაკაცს. მაგრამ უფლებრივი და ფაქტობრივი თანასწორობა ერთიდაიგივე არ არის. ემანსიპაციამ ჯერჯერობით ვერ შეცვალა საუკუნეობით დამკვიდრებული შრომის განაწილება ოჯახში. ქალს შერჩა მომსახურების ფუნქციები — ოჯახის, ბავშვის მოვლა და სხვა, რის გამოც გაიზარდა მისი დატვირთვა. სოციოლოგიური კვლევის შედეგები ადასტურებს ქალის თავისუფალი დროის დეფიციტს. მას მამაკაცთან შედარებით დაახლოებით ორჯერ ნაკლები თავისუფალი დრო რჩება.

ვფიქრობთ, როგორც არ უნდა მივმართოთ მამაკაცებს, როგორც არ უნდა მოვუწოდოთ მათ გაინაწილონ ქალის შრომა შინ და ბავშვების აღზრდაში — მარტო ამით პრობლემა არ გადაწყდება. საქმე ის კი არ არის, რომ ოჯახურ შრომაში, ვ. ი. ლენინის შეფასებით — ამ მძიმე და მონურ შრომაში — აუცილებლად ჩავაბათ მამაკაცებიც, არამედ ის, რომ ქალიც მაქსიმალურად გამოვანთავისუფლოთ მისგან.

ქალის საოჯახო შრომის შემსუბუქებაში უდაოდ დიდ როლს შეასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების სისტემის განვითარება-სრულყოფა, ბაგა-ბაღების ქსელის გაფართოება, თვით საწარმოო-დაწესებულებებში ქალის შრომის პირობების გაუმჯობესება, შემცირებული სამუშაო დღიანი ადგილების შექმნა, ღამის ცვლაში მუშაობისაგან ქალის გათავისუფლება და სხვა, რასაც ჩვენი პარტიის კურსის განხორციელება ითვალისწინებს.

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებები ახლო მომავალში დიდად შეუმსუბუქებს ქალს საოჯახო ტვირთს და გაათავისუფლებს მას „ორმაგი უღლისაგან".

**— ახლა საქართველოში მთელი მოძრაობაა გაშლილი მოსახლეობის გამრავლების პრობლემების გამო. აჭარა ერთადერთი რეგიონია, რომელსაც იმედის თვალით შევცქერით, ხომ არ გვეტყოდით, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით დღესდღეობით და როგორი იქნება მოსახლეობის მატების პროცენტი მომავალში.**

— ჩვენი კუთხის ქალმა შარავანდედით შემოსა თავისი სახელი, როგორც სამშობლოსათვის ღირსეულ შვილთა აღმზრდელმა დედამ. ეკონომიურ სივიწროვესა და მუდამ გადარჩენის ცდაში მყოფს, შვილთა სიმრავლე ერთ-ერთ იმედად მიაჩნდა. გადარჩენისაკენ მწარე ლტოლვა კეთილ ჩვევად იქცა და ჩვენი ქალი კვლავინდებურად მრავალ შვილს უზრდის სამშობლოს. სიმრავლეში მეტი ფიზიკური სიჯანსაღე და კიდევ უფრო მეტი სულიერი სისპეტაკე არსებობს.

ამჟამად აჭარაში 28 ათასზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახია, მათ შორის 455 გმირი დედაა. პატივი და დიდება დედებს, რომლებმაც კარგად იციან, რომ შვილების სიმრავლის გარეშე საქართველოს მომავალი არ უწერია.

სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჩვენთანაც იჩინა თავი არასასურველმა ტენდენციამ. ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით ბუნებრივი მატება 1975 წელს 14,6 ერთეული იყო, 1983 წელს კი — 13,8. პროგნოზით მოსალოდნელია ამ ტენდენციის გაგრძელება, ამასთან, როგორც ცნობილია საქართველოს მასშტაბით ეს სურათი მეტისმეტად არასასურველია. ასეთ დემოგრაფიულ ვითარებაში ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვები: „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა", სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დირექტივაა. ამ სიტყვების უკან საქმე დგას. ჩვენ დიდი შესაძლებლობანი გაგვაჩნია დემოგრაფიული პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვისა და რეგულირებისათვის.

შობადობის კლება, ვფიქრობთ, რამდენადმე მაინც, განაპირობა მცირემიწიანობამ. ჭირდა გამრავლებული ოჯახების საკარმიდამო ნაკვეთებით უზრუნველყოფა. ახლა, როცა პრაქტიკულად გადაწყდა აჭარის მოსახლეობის საქართველოს სხვა რეგიონებში ორგანიზებული ჩასახლების პრობლემა, იმედი გვაქვს შობადობა კვლავ გაიზრდება. ამას ხელს შეუწყობს აგრეთვე ერთ წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის ლიკვიდაცია, მთის რეგიონში სამუშაო პროცესების მექანიზაციის გაუმჯობესება, ბავშვთა აღზრდის საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარება, პროპაგანდისტული ღონისძიებების გაძლიერება — ხულოს რაიონში დაწესებული ახალი დღესასწაული „დედის დღე", საქართველოს ტელევიზიის მიერ მოწყობილი აჭარის მრავალშვილიანი დედებისადმი მიძღვნილი სპეციალური გადაცემა და სხვა.

**— ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში.**

— ძნელია, ერთი განსაკუთრებული დღის გამოყოფა. დედობის პირველი დღე ალბათ, ყველა ქალისათვის უბედნიერესი და უნეტარესი დღეა!

— დიდად ბედნიერი ვიყავი იმ დღეს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უდიდესი ნდობა გამომიცხადა და პარტიულ სამუშაოზე უაღრესად რთული და საპასუხისმგებლო უბანი მომანდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ი. ნ. ტეხოვა,

**საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.**

**— სამხრეთ ოსეთის სახელოვან ქალებთან ჩვენი ჟურნალი დიდ ვალშია; ისე ვერ ვაშუქებთ მათს მიღწევებს, საზრუნავსა თუ სატკივარს, როგორც ჯერ არს. ორიოდე სიტყვას ხომ ვერ გვეტყოდით მათი საქმიანობის ირგვლივ?**

— ოლქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ამჟამად დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები ხდება სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის თითქმის ყოველ უბანზე, დინამიკურად ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული კაპიტალურ მშენებლობაში, მომსახურების სფეროში, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. მიღწევები ორგანულად უკავშირდება ჩვენი ქალების ნაყოფიერ ორგანიზატორულსა და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ოლქის მრეწველობაში მომუშავეთა 40 პროცენტი ქალია, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში ეს მაჩვენებელი 80 პროცენტს აღემატება, გასაგებია, თუ ამ დარგში მოპოვებულ წარმატებებში რაოდენ დიდია ჩვენი ქალების წვლილი. 92,3 პროცენტი შეადგინა ქალთა რაოდენობამ ჯანმრთელობის დაცვაში, 78.2 პროცენტი — სახალხო განათლებაში, 52,2 პროცენტი — მომსახურების სფეროში და სხვ.

აღსანიშნავია იმ ქალების თავდადება, რომლებიც ოლქის სოფლის მეურნეობის წინსვლის საქმეს ახმარენ საკუთარ გამოცდილებას, ცოდნასა და ენერგიას. 1982—1983 წლების გამოზამთრების შედეგების მიხედვით ჩვენმა ოლქმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ამას წინათ ოლქს საზეიმო ვითარებაში გადაეცა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა, რაც მან უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის დაიმსახურა. ამ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულეს სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ქალებმა, რომელთა შორის მუდმივად იზრდება შუქურების რიცხვი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ჯულიეტა თედეევა და ზნაურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი სოფიო მამაცაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხეთაგუროვის საბჭოთა მეურნეობის მწველავი აგრაფინა თეგკაევა და ნატო ფსუტური — ლენინგორის საბჭოთა მეურნეობიდან, ერედვის საბჭოთა მეურნეობის მეჭარხლე ვარა ტურაშვილი და მრავალი სხვა სასახელოდ ლაშქრავენ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნებს.

სამხრეთ ოსეთის ქალები ფართოდ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1983 წ.) პლენუმის მოწოდებას — მივაღწიოთ დამატებით შრომის ნაყოფიერების ზეგეგმიურ გადიდებას 1 პროცენტით და დამატებით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 0,5 პროცენტით. ახლა ოლქის თითქმის ყველა საწარმოში მუშავდება წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსი. პატრიოტული თაოსნობების, ინიციატივების ავტორები გახდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის ჩამხაზველი მისურათ ტეხოვა, ამავე ფაბრიკის მოწინავე მკერავი-მოტორისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზაირა ბესტაევა, ქარხანა „ემალსადენის" მომმინანქრებელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მარინა ქოქოევა, ხე-ტყის კომბინატის ბრიგადირი ზაირა ქოზაევა და სხვები.

ოლქის სახელოვან ქალთა პლეადას ავსებენ მეცნიერი ქალები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის მეცნიერ-მუშაკთა 40 პროცენტს შეადგენენ. მეცნიერებათა დოქტორებმა და კანდიდატებმა ზინაიდა გაგლოევამ, ევგენია ჯიოევამ, სოფიო ბეკოევამ, თამარ შავლოხოვამ, ოლღა ცხოვრებოვამ, ლიდა კასრაძემ და სხვებმა ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შემატეს ჩვენს მეცნიერებას. ოლქის საზოგადოებრიობა დიდი დაინტერესებით ხვდება პოეტების ნინა გალავანოვას, მანანა ჩიტიშვილის, მსახიობების ზინაიდა გაგლოევას, ნინა ჩაბიევას, ნინო ჩოჩიევას, ლუდმილა გალავანოვას, ეველინა გუგკაევას, ნელი ჯიოშვილის და სხვათა შემოქმედების ყოველ ახალ გამონაშუქს, ჩვენი მომღერალი, მოცეკვავე ქალების ხელოვნებას.

**— როგორ არის თქვენს ოლქში ქალთა მომსახურების საკითხი დაყენებული, რა ყოფითი პრობლემები დგას ოსი მშრომელი ქალის წინაშე?**

— ჩვენს ქალებს კვლავ ბევრი დრო ეკარგებათ საოჯახო სამზარეულოებში. ნახევარფაბრიკატების შეძენა მათ შეუძლიათ მხოლოდ ქარხნების „ელექტროვიბრომანქანისა" და „ემალსადენის", ტრიკოტაჟის, თეთრეულისა და სამკერვალო ფაბრიკების მუშათა სასადილოებში, ქალაქ ცხინვალის შესაბამის ორ მაღაზიაში, რაც არ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ვალში ვართ სოფლის მშრომელი ქალების წინაშე.

— არსებითი ნაკლოვანებანია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში. წლების მანძილზე არ სრულდება დავალებანი ქალთა მომსახურების მთელ რიგ სახეობებში, დაბალია მომსახურების კულტურა, ხდება კლიენტისაგან ზედმეტის გამოძალვის შემთხვევებიც, ოლქში არის ისეთი სოფლები, სადაც არა აქვთ აბანო, საპარიკმახერო, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდკერვის სამქროები. საერთოდ კი მოსახლეობის მომსახურების სფეროში მძიმედ ინერგება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემდგომი სოციალური და ეკონომიკური განვითარების შესახებ მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებანი, რომელთა განხორციელებისთვის ახლა ფართო მუშაობაა გაშლილი, ქალთა შორის ხელის შრომის შემცირების, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამასაც შეიცავს. როგორც ახლად ამოქმედებულ, ისე ძველ სამრეწველო საწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალთა შრომისა და დასვენების ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, რაშიც გულმოდგინედ მონაწილეობენ ქალთა საბჭოების წევრები, აქტივისტები.

**— რა პერსპექტივები გესახებათ მომავალში?**

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმზე, მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში მოცემული დასკვნებისა და დებულებების შესასრულებლად გაშლილ მოძრაობაში სამხრეთ ოსეთის ქალების აქტიური მონაწილეობა იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ვთქვათ — ისინი კვლავაც გაზრდიან წვლილს სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებაში, საბჭოთა სამშობლოს თავდაცვითი და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნანული კაკაურიძე,

**საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.**

**— ქუთაისი ლამაზი, ძველი ტრადიციების ქალაქია. იმ მშვენიერ ტრადიციათა შორის, რომლებიც ჩვენმა ხალხმა შექმნა, ბევრმა მანკიერი და დასაგმობი ხასიათი მიიღო, რის წინააღმდეგაც ჩვენს რესპუბლიკაში მთელი პარტიული და საზოგადოებრივი მოძრაობა გაიშალა; მაგრამ თუ სიმართლეს პირდაპირ შევხედავთ, შედეგი ჯერ სრული არ არის, როგორი იქნება თქვენი, როგორც პარტიული მუშაკის პროგნოზი?**

— ქუთაისი მართლაც უმშვენიერესი ეროვნული ტრადიციების ქალაქია და ამ ტრადიციებისადმი ერთგულებით მან მთელს ერს ბევრი სასიკეთო რამ შეუნარჩუნა. ზოგი გაუხამსებული და დამახინჯებული კი მართლაც შემოგვრჩა, მაგრამ იგი არაა კონკრეტულად „ქუთაისური", არამედ საერთო-ეროვნული მოვლენაა (შეიძლება ქუთაისში უფრო მკვეთრად გამოვლენილი) და ამიტომაც საერთო ეროვნულ სატკივრად უნდა მივიჩნიოთ. ძალზე ბევრი რამ ამ თვალსაზრისით ქუთაისშიც სასიკეთოდ რომ შეიცვალა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებული კურსის შესაბამისად — ეს აშკარაა, მაგრამ თუ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს, ეს უპირველესად თავად მოვლენის სირთულემ განსაზღვრა: ადამიანური ფსიქიკის გარდაქმნა სწორხაზობრივი, მარტივი ადმინისტრირებით შეუძლებელია. მანკიერების დაუფარავი მხილება, ადამიანების დარწმუნება, მათ შეგნებაში კერძომესაკუთრულისა და მავნე ჩვეულებათა აღმოფხვრა, ახალი საბჭოური რიტუალების პროპაგანდა — ეს მეტად რთული პროცესია, მაგრამ ერისთვის აუცილებელი და საჭირო. მთავარია არ მოვდუნდეთ, შედეგი კი აუცილებლად იქნება!

**— თქვენი საყვარელი მწერალი, ან პოეტი?**

— სრულფასოვანი ადამიანი წარმოუდგენელია მხატვრული ლიტერატურის გარეშე. ოღონდ ესაა, რომ პირადად ჩემთვის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ამ „სიყვარულის ობიექტები" იცვლებოდნენ ხოლმე... მაგრამ ერთი რამ მუდამ უცვლელი რჩება — ესაა სიყვარული ამ დიდი სულიერი საზრდოსი, რომელსაც დასაბამიდან დღემდე ქართული ლიტერატურა ჰქვია...

**— რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**

— ჩემი სამომავლო გეგმები ძირითადად ჩემს სამსახურებრივ გეგმებს თანხვდება. გარდა რთული და მრავალმხრივი საქალაქო პრობლემებისა იდეოლოგიის დარგში, საკმაო საზრუნავი მაქვს სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის სფეროშიც... ვატარებ სალექციო კურსს საზღვარგარეთული და გერმანული ლიტერატურის ისტორიაში, მიყვარს ჩემი სპეციალობა და ჩემი სტუდენტები...



## მედეა მეზვრიშვილი,

**საქართველოს კპ საგარეჯოს რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.**

**— სიცოცხლეშივე ლეგენდარულ პიროვნებად იქეცით, ასეთი წარმატებები შემთხვევით არ მოდის.**

**როგორი სამომავლო გეგმები გაქვთ პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ასპარეზზე?**

— თქვენი დიდი შეფასება უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. ვფიქრობ სამაგისო არაფერი გამიკეთებია.

ჩემი პირადი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი ისე გადაეჭდო ერთმანეთს, რომ პირადისათვის ვერ მოვიცალე.

სამომავლო გეგმები საგარეჯოს რაიონში მეტად მასშტაბურია. დაგეგმილია სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. სოფლის მეურნეობის, მევენახეობისა და მეცხოველეობის ინტენსიური განვითარებით 1990 წლისათვის ძირითადად გადაწყდება სასურსათო პროგრამა. დიდი ყურადღება მიექცევა რაიონული ცენტრის და სოფლების კეთილმოწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას. რაიონის მშრომელების ყურადღების ცენტრში კვლავაც იქნება სოფელ უდაბნოს განაშენიანების და მთის მიტოვებული სოფლების აღდგენის საქმე. წლეულს დაიწყება სოფელ ზემო ყანდაურის აღდგენა.

რაიონის მშრომელების ძალებით კვლავაც გაგრძელდება ისტორიული ძეგლების რესტავრაცია; დაიწყება მანავის და ზოგიერთი ციხე-გალავნების აღდგენა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ნამარი გორის" არქეოლოგიური გათხრები და აქედან გამომდინარე სამუშაოები, რასაც რესპუბლიკის ხელმძღვანელების მხარდაჭერით უკვე ჩაეყარა საფუძველი და რითაც, როგორც ყოველგვარი წინასწარი მონაცემებიდან ირკვევა, კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი გადაიშლება ჩვენი ერის ისტორიის დიდ წიგნში.

**— როცა რაიმე გაწუხებთ ან არ გიმართლებთ, რით იმსუბუქებთ ნაღველს?**

— როცა რაიმე მაწუხებს, ან ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას დაბრკოლებები ელობება, ძალიან მიმძიმს, მაგრამ ამ გაჭირვების ჟამს ვიხსენებ ჩემს სულიერ მეგობრებს, დაუსწრებლად ვესაუბრები მათ, რჩევას ვეკითხები, ვეკამათები და კვლავ მიბრუნდება რწმენა, რომ სიძნელეების დაძლევა შესაძლებელია და ახალი ენერგიით ვიწყებ მუშაობას.

როცა ძალიან მიმძიმს, გარეჯის ზვრებსა და მინდვრებს მოვივლი, ვესაუბრები მშრომელებს, შევხარი აღორძინებულ უდაბნოს და რაიონის ლამაზ სოფლებს, ვათვალიერებ ჩვენი წინაპრების მიერ აგებულ ისტორიულ ძეგლებს და ახალი ენერგიით აღჭურვილი კვლავ სამომავლო გეგმებს ვუბრუნდები, რის განხორციელებაშიც თანაგრძნობასა და მხარდაჭერას არ გვაკლებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები.

**— როგორ გესახებათ ქართული სოფლის მომავალი?**

— სოფელი ქვეყნის ხერხემალია და მისი განმტკიცება და გაძლიერება ყველა მოქალაქის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. ჩვენ ვცდილობთ ქართული სოფელი მოკლე ხანში ეკონომიკურად ძლიერი, კეთილმოწყობილი და ამაღლებული გავხადოთ. სოფელში ყველა პირობა უნდა არსებობდეს, რომ ახალგაზრდობამ მატერიალურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან ერთად სულიერი საზრდოც მიიღოს და ქალაქში გაქცევაზე აღარ იფიქროს. უნდა მივაღწიოთ, რომ სოფლელი კაცი „დიდ ქალაქელებს" არსად წაუვიდეს თავისი განათლებითა და კულტურით, ხოლო კაცურკაცობით ვერავინ აჯობოს.

სოფლელი კაცი ერისკაცამდე უნდა ავამაღლოთ; მათ უნდა სწამდეთ, რომ ისინი დღევანდელი გუთნისდედები — ქვეყნის მარჩენალებიც არიან. როცა სოფელში ყველაფერი ასეთ დონეზე დადგება, ბევრი ფრენია ქალაქიდან ისევ სოფელში დაბრუნდება და უფრო მეტად გაიზრდება ქვეყნის ხვავი და ბარაქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნათელა ლალიძე,

საქართველოს კპ თბილისის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.

# 60

**— რამდენადაც ვიცით შრომითი მოღვაწეობა მეცნიერებით დაიწყეთ და საკმაოდ წარმატებითაც, როგორ აღმოჩნდით პარტიულ ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომელსაც ჩინებულად ართმევთ თავს. ხომ არ თვლით, რომ ამ ორ საპატიო საქმიანობას შორის არსებობს რაღაც გარკვეული მსგავსება და პარალელები?**

— როგორც მოგეხსენებათ, მე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია დავამთავრე და იქვე დავიცავი ფილოლოგიურ მეცნიერებათა საკანდიდატო ხარისხი. ეს კი ნიშნავს, რომ მარქსისტული ფილოსოფიის საფუძვლები, რომელსაც ჩემი სწავლების სამი წლის განმავლობაში დავეუფლე, საშუალებას მაძლევს ვიმუშაო როგორც იდეოლოგიურ ფრონტზე, ისე პარტიულ-ორგანიზაციული ხაზით. ყოველივე ამან და კომკავშირულ ორგანოებში მიღებულმა საკმაო გამოცდილებამ, ალბათ განაპირობა ჩემი პარტიულ სამუშაოზე მოხვედრა.

ეს საქმიანობა ჩვენი დროის გაზრდილი მოთხოვნების პირობებში ახალ ხარისხობრივ თვისებებს იძენს, რომელსაც კომპეტენტურობა, მეცნიერული მიდგომა და სიღრმე სჭირდება. ალბათ ამაშია მათ შორის გარკვეული მსგავსებაც და პარალელიც.

**— მეტად „ახალგაზრდულ" რაიონს ხელმძღვანელობთ. ეს უთუოდ საინტერესოა, მაგრამ ამასთანავე, ალბათ, საკმაოდ რთულიც. როგორია თქვენი აზრი ჩვენს ახალგაზრდობაზე?**

— ალბად ეს შეკითხვა დამისვით იმის გამო, რომ სტუდენტურ რაიონში მიწევს საქმიანობა.

მომწონს ჩვენი ახალგაზრდობის დინამიკურობა და ნიჭიერება. მახარებს მისი სურვილი აქტიური იყოს ქვეყნისათვის ბევრს სასარგებლო საქმეში. (გავიხსენოთ მესამე შრომითი, მე ვიტყოდი გმირული სემესტრი, ისტორიულ ძეგლთა აღდგენის მამულიშვილური საქმე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობა და ბოლოს, თუმცა ამით უნდა დამეწყო, არჩეული პროფესიის უნარიანი და გონივრული დაუფლება).

გულს მტკენს ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ინდიფერენტულობა და პასიურობა, ყმაწვილკაცურ ასაკში სულით მოხუცებულობა (საბედნიეროდ ასეთები ცოტაა). ამიტომ ახალგაზრდობის სწორი აღზრდისათვის გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია: ძალების სრული მობილიზაცია, დიდი რწმენა და პროფესიული უნარი.

**— ხელოვნების რომელი დარგი გიტაცებთ?**

— ხელოვნება, მისი ფართო გაგებით ბევრს იტაცებს და მეც მათ შორის. ეს ბუნებრივია. რა ღარიბი, უფერული იქნებოდა ჩვენი ყოველდღიურობა ჭეშმარიტი ხელოვნების გარეშე, ის ხომ სიხარულის, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია და გარდა ყველაფრისა, ადამიანებს ზნეობრივად გვზრდის და სულიერად გვამაღლებს.



## ლია ლომიძე,

საქართველოს კპ თბილისის კიროვის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.

**— ყველაზე ღირსშესანიშნავი თარიღი თქვენს ცხოვრებაში?**

— ასეთი დღე ბევრი იყო, მაგრამ თუ ნებას მომცემთ გამოვყოფ ორ თარიღს — 6 ოქტომბერი და 28 მაისი — როცა ჩემი ვაჟიშვილები მოევლინენ ჩემს ცხოვრებას.

**— როგორ ახერხებთ ასეთ პასუხსაგებ საქმიანობასთან შვილებისა და ოჯახის საზრუნავის შეთავსებას?**

— ჩემი შრომითი საქმიანობა და შვილები, მათზე ზრუნვა ერთმანეთისაგან განკერძოებულად ვერც კი წარმომიდგენია — ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს აძლიერებენ.

შრომითი საქმიანობით დაღლილს, შინ დაბრუნებულს შვილების შეხედვა სიხარულს მგვრის, მათზე ზრუნვა ენერგიას მმატებს, და პირიქით, — შვილების მისწრაფება, სატკივარი ხშირად გადმომაქვს ჩემს საქმიანობაში, მათი თვალით ვუყურებ გარემოს, ყველაფერს, რაც მათ ირგვლივაა და მიღებული შთაბეჭდილებების ანალიზის შედეგად დასკვნებს ვაკეთებ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, ჩვენი მეთოდისა და ხერხების ეფექტურობაზე.

**— მეტად ინტერნაციონალური და ამასთანავე „ძველთბილისური" რაიონის ხელმძღვანელობა ხომ არ გიქმნით ერთგვად სიძნელეებს. როგორ გესახებათ ჩვენი ქალაქის ამ უმნიშვნელოვანესი კუთხის მომავალი?**

— კიროვის რაიონი სამართლიანად ითვლება თბილისის ადგილის დედად, სადაც ხალხთა მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს გადგმული. საკმარისია ითქვას, რომ რაიონის სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ და ჰქმნიან სახალხო დოვლათს 30-მდე ერისა და ეროვნების მშრომელი.

ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს კიდევ უფრო შეუწყო ხელი ძველი თბილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგენერაციის და ადაპტაციის ღონისძიებებმა, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 თებერვლის ერთობლივი დადგენილებით.

რაიონის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა სარესტავრაციო და სარეგენერაციო სამუშაოებმა სანახაობრივი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დანიშნულების გარდა დიდი წვლილი შეიტანეს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. ამ მიდამოებში მცხოვრებ 1000-ზე მეტ ოჯახს გაუუმჯობესდა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, ხოლო რეკონსტრუქციის ზონაში განლაგდა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი და კულტურული დანიშნულების მრავალი ობიექტი.

ბარათაშვილის, ნაკაშიძის, ჩახრუხაძის, შავთელის, ერეკლე II-ის, სიონის, რიჟინაშვილის, შარდენის და სამღებროს ქუჩების, რკინისა და ბამბის რიგების კვალდაკვალ წელს დასრულდა აბანოს ქუჩისა და მის მიდამოებში არსებული გოგირდოვანი აბანოების რესტავრაცია-რეგენერაცია. ასევე მიმდინარე წლისათვის არის გათვალისწინებული ყოფილი ქარვასლის შენობის რესტავრაციის დამთავრება, სადაც თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი მოთავსდება. დაწყებულია და უახლოეს დროში დამთავრდება ბოტანიკური ქუჩის მიმდებარე ტერიტორიისა და რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა, „ნარიყალას“ — „შურის ციხის“ აღდგენითი სამუშაოები. შემდგომი ეტაპი მარჯვენა სანაპიროსა და ხარფუხის დასახლებას შეეხება, გაგრძელდება თბილისის უძველესი გოგირდოვანი აბანოების აღდგენა-რესტავრაცია. ნიშანდობლივია, რომ ყოველ რეკონსტრუირებულ უბანში პარალელურადვე ჩატარდება კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების შემდგომი სრულყოფის სამუშაოები — კერძოდ, ფართოდ განვითარდება წყალსადენის, საკანალიზაციო მეურნეობის, ელექტრომეურნეობისა და თბომეურნეობის ქსელები.



## მერი ფაჩუაშვილი,

**საქართველოს კპ ქუთაისის საქარხნო რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.**

**— ქუთაისის ახალ მშვენიერ ინდუსტრიულ რაიონში მოღვაწეობთ, დიდია ამ რაიონის მუშათა კლასის როლი არამარტო ქალაქის, არამედ საქართველოს მასშტაბით, დიდი საქმეები კი დიდი სიძნელეების გადალახვით კეთდება.**

**ორიოდე სიტყვით ხომ ვერ გვეტყოდით ამ სიძნელეთა შესახებ.**

— რაიონის სპეციფიურობიდან გამომდინარე მრავალმხრივია იმ პრობლემათა წრეც, რომელიც პირველ რიგში მუშათა კლასის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ვიდრე ამ პრობლემებს შევეხებოდეთ, მოკლედ მოგახსენებთ რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ. მისი წამყვანი დარგია მრავალპროფილიანი მრეწველობა, რომელიც დღეისათვის ქალაქში გამოშვებული პროდუქციის 53 პროცენტს აწარმოებს. ეს კი რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის 4,5 პროცენტს შეადგენს. საპატიო ხუთკუთხედით მზადდება 159 სამრეწველო ნაკეთობა ანუ საერთო პროდუქციის 22,5 პროცენტი. რაიონის სამრეწველო პროდუქცია იგზავნება ქვეყნის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთაც.

ჩვენი სახელოვანი 16 ათასიანი მუშათა კლასის თითქმის 70 პროცენტი ქალებია. რაიონის მრეწველობის ფლაგმანის — აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების 5 ათასიან შრომით კოლექტივში 3400 ქალი შრომობს. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ სწორედ აქ იქსოვება რესპუბლიკაში დამზადებული ნატურალური ქსოვილის 90 პროცენტი.

ახლა კი პრობლემების შესახებ:

მე-11 ხუთწლედში განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა რაიონის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში, რომელიც მთლიანი პროდუქციის 52,3 პროცენტს აწარმოებს. თავი იჩინა დაგეგმვის, ასორტიმენტის განახლების და წარმოების ტექნიკური გადაიარაღების დარგში დაშვებულმა შეცდომებმა და ნაკლოვანებებმა. მნიშვნელოვან გარდატეხას ვერ მივაღწიეთ მუშათა შრომისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

თითქმის კუსტარული საწარმოს ბაზაზე დაიწყო სასურსათო პროგრამის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ახალი დარგის ჩამოყალიბება. იქმნება სიმძლავრეები 34 ათასი მოტობლოკის გამოსაშვებად, რამაც კონკრეტულ ამოცანად გამოკვეთა თანამედროვე ტექნოლოგიით კავშირის მასშტაბით პრინციპულად ახალი მანქანის შექმნა და მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება.

მოტობლოკების ქარხნისა და რაიონის სხვა მსხვილ საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოებმა წარმოაჩინა მისი სუსტად განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამ პრობლემათა განხორციელების ერთადერთ გზად გვესახება უკვე შემუშავებული ორმხრივი ღონისძიებანი და პერსპექტიული პროგრამები, ხოლო მათი გადაწყვეტის საშუალებად შრომითი კოლექტივების მობილიზება, ძირეული პარტიული რგოლების გააქტიურება.

მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის პრაქტიკულ ღირებულებას იძენს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთა აქტიური დაინტერესება.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ სახელოვანი ტრადიციების მქონე რაიონის მუშათა კლასი ნაბიჯს უწყობს მოწინავე რეგიონებს. მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ჩვენი რაიონი ზედიზედ ორჯერ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით.

**— როგორ გესახებათ თანამედროვე მუშაქალის იდეალური პორტრეტი.**

— ამ რამდენიმე თვის წინათ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად ერთსულოვნად ავირჩიეთ აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრა გამყრელიძე, სამი შვილის დედა...

23 წელია დაზგასთან ტრიალებს, 23 წელია მისთვის სანუკვარი პროფესიის სიყვარულს სხვებსაც უნერგავს, მშობლიურ საწარმოს წინსვლა-განვითარებაზე ზრუნვით ცოცხლობს და, თუ საქმემ მოითხოვა, თავის პრინციპულ სიტყვას დამსახურებულად მიაგებს ყველას.

მოყვარული მეუღლე და გულისხმიერი, მზრუნველი დედა ვერც სულიერი ცხოვრების მიმართ რჩება გულგრილი. არასოდეს გამოტოვებს თეატრალურ პრემიერებს, საინტერესო მხატვრული კოლექტივების შემოქმედებითს საღამოებს და გულწრფელად გვიზიარებს აზრს ნანახის, მოსმენილისა და წაკითხულის შესახებ.

ვფიქრობ ალექსანდრას ცხოვრება ნათლად წარმოგვიჩენს 80-იანი წლების მუშა-ქალის სოციალურ პორტრეტს.

**— რას უთმობთ თავისუფალ დროს, თუ კი ის აქვს, საერთოდ, პარტიულ მუშაკს?**

— თავისუფალი დრო სასურველი და საოცნებო ფენომენია. მისი არც ერთი წუთი დადებითი ემოციის გარეშე არ უნდა იკარგებოდეს. სიხარულსაც სჭირდება ორგანიზება. გინდა მოისმინო მუსიკა — ეცადე მოისმინო, გინდა განმარტოვდე — განმარტოვდი, შეეცადე გაფანტო უარყოფითი ემოციები. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შენი ცხოვრების ფაქტები, არამედ შენი ფსიქოლოგიური პოზიცია ამ ფაქტების მიმართ. ცხოვრებაში ყველაზე არსებითი ადამიანური ურთიერთობებია. ასეთ ადამიანურ, სულიერ ურთიერთობათა კერად იქცა რაიონის სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის კლუბი, რომელიც ამ სამი წლის წინათ ჩამოვაყალიბეთ. უშუალო ატმოსფერო, რომელიც მის ჭერქვეშ იქმნება საინტერესო ადამიანებთან შეხვედრების და გულახდილი დიალოგების, შემოქმედებითი საღამოების თუ ახალი ნაწარმოებებისა და თეატრალური სპექტაკლების განხილვის დროს, ამაღლებულ, სასიამოვნო ემოციებს იწვევს და შემოქმედებითი მუშაობისათვის განგვაწყობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა ბიწაძე

# ლურჯი ყვირილის ნაპირებზე



ქრიალა ცა დაჰყურებს ზესტაფონს

ერწოს ტბიდან იღებს სათავეს. ოსეთს ისე გამოივლის ვერც კი ამჩნევენ. მერე გზადაგზა ივსება, წყალუხვი ხდება. იმერეთის მოხატულ ფერდობებს ხმაურით რომ ჩამოივლის, აღარავის უკვირს, რატომ შეარქვეს ყვირილა. უნებლიედ პოეტის სიტყვები მოგაგონდებათ·

„არ იყვიროს? აბა რა ჰქნას,
გზა კლდეებით გარაგვია!“

საჩხერეს რომ მოუახლოვდებოდა და ხოდაბუნებზე გაივლიდა ისე ლაღად და თავისუფლად იშლებოდა, ზღვა გეგონებოდათ. მაგრამ ერთ დღეს მშენებლები მოვიდნენ, აუარებელი სამშენებლო მასალა მოზიდეს, ბულდოზერები და ექსკავატორები ააგუგუნეს და მდინარე შეავიწროეს, ნაპირი ამოუშენეს, განსაზღვრული სავალი მიუჩინეს.

— ნეტავ, რა ხდებაო! — გაიოცა. მერე, როცა ხოდაბუნების ველზე უზარმაზარი ნაგებობები წამოიმართა, ალბათ ხალხის სასიკეთოდ შენდება რამეო, — გაიფიქრა და ჩვეული ანცობით გზა განაგრძო.

ხალხისათვის კი მართლაც დიდი სიკეთე, — საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკა ახალი წლის პირველ დღეებში ჩადგა მწყობრში. ზამთრის სუსხიანი დღე იდგა, მაგრამ საჩხერელ და ჭიათურელ მშრომელთა სიხარული სითბოდ დაღვრილიყო მდინარე ყვირილის ნაპირებზე, მზის სხივებად შეჰფენოდა „მოდინახის“ შევერცხლილ კლდეებს.

საქართველოს მსუბუქ მრეწველობას ერთი მძლავრი საწარმოც შეემატა საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკის სახით, რომელიც ტექნიკის უახლესი სიტყვით არის აღჭურვილი. მთავარი აქ უთითისტრო რთვის მანქანებია, რითაც გამოირჩევა საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სხვა მსგავსი საწარმოებისაგან.

ფაბრიკა 1400-მდე მუშა-მოსამსახურეს დაასაქმებს. აქედან 80 პროცენტი ქალი იქნება. ამით გადაწყდება ჭიათურა-საჩხერის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა — ქალთა დასაქმება. ფაბრიკა დღე-ღამეში 28 ტონამდე ნართს გამოუშვებს, წლის ბოლოსათვის კი — 34.500 ათასი მანეთის პროდუქციას მისცემს სამშობლოს.

დღეისათვის ფაბრიკის მშენებლობის პირველი რიგია დამთავრებული. მშენებლობა კვლავ გრძელდება. წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია სამღებრო და უქსოვადი ქსოვილების საამქროების, პროფტექსასწავლებლის სასწავლო კორპუსების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობათა დამთავრება.

მდინარე ყვირილის ნაპირზე ახალ ქალაქს ეყრება საფუძველი. ეს ფეიქართა ქალაქი იქნება. თუ აქამდე ზემოიმერეთის პატარა კუთხე, ყვირილის ხეობა მაღაროთა მხარედ იყო ცნობილი, ამიერიდან მას ფეიქართა მხარედ გაიცნობენ.

ახალი ქალაქის დაბადებით გახარებული ყვირილა კი ხმაურით აგრძელებს გზას. მას ყოველთვის ეშინოდა ჭიათურის შავ კლდეებთან მიახლოება. აქ კამკამა ლურჯ ფერს კარგავდა და შავდებოდა, მაგრამ ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იყო. ახლა თავისი ბუნებრივი ფერით ეფერება მთის კალთეჭზე შეფენილ სამთოელთა ჭაღარა ქალაქს.

შლამსაცავი ანუ კუდების მეურნეობა, როგორც მას სამთოელები უწოდებენ, მეტად საინტერესო, რთული ინჟინრული ნაგებობაა და უნიკალურია კავშირის მასშტაბით. ამ მეურნეობის ამუშავებით ორი პრობლემა გადაწყდა: პირველი და მთავარი მდინარისა და შავი ზღვის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებაა, მეორე კი ყოველწლიურად 1,5 მილიონი ტონა მანგანუმის მადნის შენახვა გახლავთ, რომელიც ათეული წლის შემდეგ მრეწველობისათვის, განსაკუთრებით ქიმიისათვის მდიდარი ნედლეული იქნება.

მდინარე ყვირილის ნაპირებზე განლაგებული მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკებიდან გამოსული გამრეცხავი წყალი, წინათ რომ მდინარეში ჩადიოდა, ახლა უზარმაზარი ლითონის მილებით ცენტრალურ დამყვან და საფლოტაციო ფაბრიკებში გადადის. აქ სულ ახლახან ამუშავდა განსაკუთრებული სიმძლავრის მაგნიტური სეპარატორი, რომლის მეშვეობითაც ხდება წყლიდან მანგანუმის მაქსიმალური რაოდენობით ამოღება. მაგრამ ამ ფაბრიკების გავლის შემდეგაც კი წყალში გარკვეული რაოდენობის მადანი მაინც რჩება, ამიტომ იგი, პირველი და მეორე აწევის სატუმბო სადგურების მეშვეობით 280 მეტრის სიმაღლის სპეციალურ საგუბარში იტუმბება, სადაც გრავიტაციული ძალების გამოყენებით მადნის შემცველი მყარი ნაწილაკები საგუბრის ფსკერზე ილექება, სუფთა წყალი კი გვირაბების მეშვეობით ყვირილას უბრუნდება.

ჯერჯერობით შლამსაცავი მეურნეობის მხოლოდ პირველი რიგი დგას მწყობრში. მიმდინარეობს მეურნეობის მეორე რიგის მშენებლობა, რომლის დამთავრება 1986 წლისთვის არის ნავარაუდევი. ეს კი საშუალებას მოგვცემს საგუბრიდან გამოსული წყალი კვლავ გამამდიდრებელ ფაბრიკაში გამოვიყენოთ ტექნიკური მიზნისათვის. ამით „შეიკვრება“ სრული ტექნოლოგიური ციკლი და საბოლოოდ აღიკვეთება ნახმარი წყლის მდინარეში ჩაშვების ერთეული შემთხვევაც კი.

... ლაღად უახლოვდება მდინარე ყვირილა ზესტაფონს, წინათ გზას რომ ვერ იკვლევდა ქალაქის თავზე ჩამოწოლილი ჯანღის, ფეროშენადნობი ქარხნიდან ამომავალი შავი ბოლის გამო. თურმე რა ლაჟვარდოვანი ყოფილა ზესტაფონისა და მის ირგვლივ გაშლილი ზვრების თავზე ცა! ეს ახლა შეიმჩნა, როცა ფეროშენადნობი ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ მისი მძლავრი ღუმელებიდან გამონაბოლქვი ისევ წარმოებას დაუბრუნდა ხელახალი გადამუშავებისათვის. წარმოებამ მოგება მიიღო, მდინარე ყვირილის ნაპირზე გაშლილი ქალაქისა და სოფლების მშრომელებმა კი — სუფთა ჰაერი. რომ უფრო ნათელი გახდეს ქარხნის ღუმელებზე დამონტაჟებული ფირფიტების სიკეთე, ციფრები მოვიშველიოთ.

ფილტრები დღე-ღამეში ქარხნის № 1 საამქროდან 44,15 პროცენტი მანგანუმის შემცველობის 15-20 ტონა მტვერს იჭერს, № 4 საამქროდან — 27,6 პროცენტი მანგანუმის შემცველობის 70-80 ტონას, ხოლო № 5 საამქროდან — 26,3 პროცენტი მანგანუმის შემცველობის 11 ტონას. წინათ კი ეს ამდენი მტვერი ქალაქის თავზე ჰაერში იფრქვეოდა.

ხარობს ყვირილა, თავის ნაპირებზე ამდენ სიახლეს, ამდენ სიკეთეს, ამდენ სიმდიდრეს რომ ხედავს. იმერეთის ლამაზ სანახებს რომ ჩაუვლის, მარტო იმიტომ როდი ყვირის, რომ „გზა კლდეებით გარაგვია“, არამედ უნდა ქვეყანას ახაროს, რა სიკეთე მოაქვს ადამიანის გამჭრიახ გონებასა და მარჯვე ხელებს, ხალხის კეთილდღეობისათვის, პარტიისა და მთავრობის დღენიადაგ ზრუნვას.

ემილ სეხნიაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

# ქართული მეცნიერების ჰორიზონტებზე


ქ. ლომთათიძე


ე. მეტრეველი


ნ. ჯავახიშვილი


მ. ანდრონიკაშვილი


თ. დეკანოსიძე


მ. ლორთქიფანიძე


ე. ქემერტელიძე


თ. ყაუხჩიშვილი

ჟურნალ „საქართველოს ქალს" 60 წელი შეუსრულდა. წინათ ამ ხნის ადამიანებზე იტყოდნენ, სიბერეში შევიდაო. ახლა ეს სიმწიფის ასაკია. მაგრამ ჟურნალისათვის, მით უფრო ქალთა ჟურნალისათვის, 60 წელი მისი სრულყოფის, განვითარებისა და აყვავების პერიოდია.

კარგად გვახსოვს ჟურნალის 50-ე წლისთავი — „ოქროს" იუბილე, რომელიც „საპატიო ნიშნის" ორდენით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის მისალმებებით აღინიშნა.

გასული ათი წლის განმავლობაში ჟურნალი ვითარდებოდა, ვაჟკაცდებოდა, იბრძოდა იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც წინათ რესპუბლიკაში სუფევდა. ჟურნალი ცხოვრებაში განუხრელად ატარებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსს.

ვფურცლავთ ჟურნალებს. თუ მაშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ქალთაგან მხოლოდ აწ განსვენებული ქსენია ბახტაძე იყო, ამჟამად აკადემიკოსების რიგებში ვხედავთ საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერებს ქეთევან ლომთათიძეს, ელენე მეტრეველსა და ნინო ჯავახიშვილს. ათი წლის წინათ მხოლოდ სამი ქალი იყო ჩვენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ამჟამად ისინი ხუთნი არიან: მზია ანდრონიკაშვილი, თამარ დეკანოსიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერ ქემერტელიძე, თინათინ ყაუხჩიშვილი.

ზემოთ ჩამოვთვალეთ აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქალები. მათი უმეტესობა ამა თუ იმ სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. მათთან ერთად უნდა აღინიშნოს: ინსტიტუტების რექტორები, პროფესორები ნათელა ვასაძე და ეთერ გუგუშვილი, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დირექტორები ლუბა შეწირული და ვერა ვაშაკიძე.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ბევრი მეცნიერი ქალის ნაშრომები საყოველთაო აღიარებითა და საპატიო ჯილდოებით აღინიშნა. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში სხვა მეცნიერებთან ერთად მიენიჭათ აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს მერი მესხიშვილს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, აწ განსვენებულ თინათინ შარაძენიძეს („ქართული ენის" განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეულისათვის), აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მარიამ ლორთქიფანიძეს და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ბაბილინა ლომინაძეს (მრავალტომიანი ნაშრომის — „საქართველოს ისტორიის ნარკვევებისათვის"). მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს გულნარა ჩაფიძეს, ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელს რუსუდან დუნდუას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის წამყვან ინჟინერს ვერა კრივონოსოვას, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს თინათინ გელაძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ალა ჯავრიშვილს.

ბოლო 10-12 წლის მანძილზე ქართული მეცნიერების, ქართველი სწავლულებისა და მათ შორის მეცნიერ ქალთა წარმატებები მხოლოდ მათი ნიჭისა და ენერგიის შედეგი როდია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მისი ბიუროს, რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის და დაუცხრომელი ყურადღების შედეგად საბჭოთა საქართველოს მეცნიერება ამ ბოლო წლების მანძილზე ინტენსიური განვითარების გზაზე დგას. მეცნიერების (და განა მხოლოდ მეცნიერების!) წარმატებებს ხელს უწყობს რესპუბლიკაში შექმნილი სასიკეთო შემოქმედებითი ატმოსფერო, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის სიწმინდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით ჟურნალსა და მის სარედაქციო კოლეგიას, რომლის შემადგენლობაში ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ქალებიც (აკადემიკოსები: ნინო ჯავახიშვილი და ქეთევან ლომთათიძე, პროფესორები: ნადია შალუტაშვილი და ლუბა შეწირული) არიან, ვულოცავთ ჟურნალის დაბადების მე-60 წლისთავს და ვუსურვებთ მათ ახალ გამარჯვებებს. დაე, ქალური სინაზისა და ვაჟკაცური სიმტკიცის შეხამებით ჟურნალმა კვლავაც გაატაროს ცხოვრებაში ჩვენი პარტიის კურსი, ერთგულად ემსახუროს ჩვენს ხალხს, ჩვენს სამშობლოს, უწინარესად კი ჩვენს მშვენიერ ქალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა








მაყვალა მრევლიშვილი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

## დილამშვიდობისა

— ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
— შენ გიგალობ პატარავ,
დილა მშვიდობისა!
— მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა?
— გაიღვიძე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
— პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
— შენთვის მინდა, პატარავ,
აბა დამაკვირდი!
— მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები:
— დილა მშვიდობისა!

ანა კალანდაძე,
გ. ტაბიძის პრემიის ლაურეატი.

## როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია!

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე,
ქარებს აჰყოლია
და წახულა შენგან, გაფრენილა შენგან,
მიწას დაჰკონვია,
ისე გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა...
არ ვახსოვარ ალბათ, არ ვახსოვარ ალბათ,
ჩემო მაგნოლია!
ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე ზღვათა
ტრფობა გაგვყოლია...
მიგვატოვონ მარად მათ, სამხრეთის ქართა,
რალაც არ მგონია...
მაგრამ... გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა...
მე არ ვიცი, რატომ... არც შენ იცი, რათა,
ჩემო მაგნოლია?
ო, ასეთი წუთი, დაუბრუნებელი,
შენც ხომ არ გქონია?
დაბრუნდება ისევ, დაბრუნდება ისევ,
შენც ხომ არ გგონია?
მშვენიერი ზღვების, მშვენიერი მთების
ტრფობა გაგვყოლია...
როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან,
ჩემო მაგნოლია!



მზია ხეთაგური,
მაიაკოვსკის დღეების ლაურეატი.

## მიყვარხარ...

მიყვარხარ, როცა ბუნება უკიდეგანოდ მაისობს,
მიყვარხარ შემოდგომაზეც — მზეს რომ ატყვია ნალველი,
მიყვარხარ, როცა მოვიწყენ, მიყვარხარ, როცა ვხალისობ,
მიყვარხარ, როცა დამცდება შენი ძვირფასი სახელი.
მიყვარხარ, როცა საქმე მაქვს, მიყვარხარ, როცა მცალია,
მიყვარხარ, როცა მეგობრებს სიხარულს დავესესხები,
მიყვარხარ, როცა ულექსო დღეებს განვიცდი ძალიან,
მიყვარხარ, როცა ცვივიან დაუწერელი ლექსები.
მიყვარხარ, ჩუმად, ხმამაღლა, რწმენით და ცრუ-იმედებით,
მიყვარხარ, როცა მივიწყებ, მიყვარხარ, თუ გახსენდები,
მიყვარხარ, როცა ვტირი და მიყვარხარ, თუ ავმღერდები,
მიყვარხარ, როცა ვყვაოდი, მიყვარხარ, როცა ვბერდები.

ნაზი კილასონია,
„ხუთწლედის მატიანეს“ პრემიის ლაურეატი.

## რევოლუცია — ჩემი სიყვარული

ვარაზის წითელ აღმართს მოვყვები,
გაფითრებული მომაქვს ლოყები;
თქვენ ჩემს სიკვდილზე —
მე რომ მოვკვდები —
ბევრ გამოგონილ ზღაპარს მოყვებით.
მაგრამ ერთი მაქვს დიდი ამბავი,
რაც მგზნებარებას გადმოუცია:
რევოლუცია!
საძმო საფლავი!
და კიდევ, კიდევ — რევოლუცია!
მოპოვებული
ძებნით,
მიგნებით,
მკლავებზე მიდევს ძეგლი-წიგნები.
რა ზარდამცემი
და რა მარადი,
რა დიდებული მყავდა მარატი!
რა უბედური,
რა ბედნიერი!..
რა მშვენიერი!..
რობესპიერი!..
როგორ ვტიროდი,
როგორ გალტობდით,
როცა მეგონა მყიდის დანტონი,
და რა თალებით შემოწერილი,
რაგვარ ტალღებზე
იდგა ლენინი!
ფრთამოოქროვილს ფიქრთა სუროდან
მე მისით ქროლვა რარიგ მწყუროდა.
ხომ იმ ქარიშხლებს დევდნენ ჭენებით
ფაფარგაშლილი ჩემი ცხენები?
დღეს დამშვიდებულ დროშებზე მძინავს,
ბრძოლები დიდი გადავიხადე,
თქვენ, მეგობარო! ო, რარიგ ძვირად,
რა ძვირად მითმობთ წითელ მიხაკებს?
იქნებ არ იცით — რად მიხარია:
შიგ მოელვარე ჩემი მხარეა,
ტრიუმფალური ჩემი სვეტია
და ჩემი სისხლის ერთი წვეთია.
აბობოქრებულ პორტრეტად ვკიდებ,
რაც სიჭაბუკეს გადმოუცია:
რევოლუცია!
კიდევ და კიდევ.
და კიდევ, კიდევ —
რევოლუცია!
...ვარაზის წითელ ფერდობს მოვყვები,
გაფითრებული მომაქვს ლოყები;
თქვენ ჩემს სიკვდილზე —
მე რომ მოვკვდები,
ამ ერთ უმაღლეს ტრფიალს მოყვებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალჟამიერ მათს მშვენიერ ლექსებს!

## ლაურეატები



**მედეა კახიძე,**
„ხუთწლედის მატიანეს“ პრემიის ლაურეატი.

### საგალობელი დედებს

დიდება დედას, ვინც გვაწოვებს სიმართლის ძუძუს,
ვისი მხრებითაც ლელო ბევრჯერ გატანილია,
ვინც უსახელოდ დაბადებულს თოთო ბავშვს — უძლურს,
სამშობლოს უზრდის რუსთაველად, ვაჟად, ილიად!

მე ვლოცავ იმ ქალს, ვინც არ იცის, რა არის შიში,
ვისი თვალებით გვიქარწყლდება ეჭვი ყოველი,
ვინც სალოცავად საქართველო უბოძა პირმშოს,
მარჯვენა მისცა — აღემართა სვეტიცხოველი!

დიდება დედებს, ვინც ცრემლებით მიწა აავსო,
ძუძუ აწოვა მკლავდაკუნთულ სამას არაგველს,
მადლობას ვუხდი დიდ წინაპრებს, შვილი სამასი
სამშობლო მიწის ჭრილობებს რომ წამლად დაადეს.

მადლი იმ დედებს, უკვდავება ვინც გაინაღდა,
ვისი სახელიც ხალხის გულში ჩუმად სანთელობს,
დიდება იმ ქალს, ვინც რწმენისთვის დაწვეს ჩირაღდნად,
ვისაც საფლავში დღესაც სცივა უსაქართველოდ.

დამილოცია სამაიას სამი ასული —
დე, მათი გზები იებით და დაფნით მოფინონ,
არ იმყოფინეს ასპარეზად მიწა ქართული,
ჭადრაკის ცხენით დაატყვევეს მთელი მსოფლიო!

მე ვლოცავ დედებს, ვინც ელოდნენ დილას ხვალინდელს,
ვინც შვილის საფლავს უცხო მიწის გზებზე ეძებდნენ,
ჩუმად იცრემლეს, ამ ქვეყნიდან ჩუმად წავიდნენ,
ფარაჯიანის სურათები დარჩათ კედლებზე!

დაიზრდებიან კვლავაც ალგეთს ლომის ბოკვრები
და თუ მოგვიხმობს საქართველოს მიწა ბებერი,
სამშობლო მიწის დასახსნელად ისე მოვკვდებით,
ქართველი დედის სიამაყეს როგორც შეჰფერის!

თბილისი. 1984 წლის 21 თებერვალი.

**დალილა ბედიანიძე,**
მაიაკოვსკის პრემიის ლაურეატი.

### ნასოფლარები



გადავიარეთ ცხრა მთა და დაღლილთ
არც ვის ვხვდებოდით, არც ვინ გველოდა.
მიტოვებული ყოველი სახლი
მიტოვებული საქართველოა.

ბევრი სიმღერა ვისმინეთ კარგი,
ნამდვილ ქართულს კი ცოტა მღეროდა.
დავიწყებული ყოველი ჰანგი —
დავიწყებული საქართველოა.

რამდენი დავა! ცდება ათასი:
ხან შური, ჭორი, — ხანაც მკვლელობა!
თურმე მოკლული ყოველი კაცი
თვითონ მოკლული საქართველოა!

ასე მასწავლეს და ასე ვიცი,
ყველა ჩვენგანმაც უნდა იცოდეს —
თუ ვკვდებით, მოვკვდეთ საქართველოსთვის!
საქართველოსთვის — თუკი ვიცოცხლებთ!

თუმც ჭიანჭველას კვლავ შველის რწყილი,
სხვებიც ბევრია, მე და შენ რომ ვართ.
შეყვარებული ყოველი წყვილი
შეყვარებული საქართველოა!

ბევრია, რასაც ხელსაც ვერ ახლებ,
ვერ დათხრი ფესვებს მრავალღეროვანს,
აყვავებული ყველა ვენახი
აყვავებული საქართველოა!

„მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“,
უფრო სპეტაკი შუქის მთოველი.
ჭირიც და ლხინიც, ავიც და კარგიც
საქართველოა ჩემთვის ყოველი!

თბილისი, 1984 წლის 21 თებერვალი.



**ქეთევან ქუჩუკაშვილი,**
შ. მღვიმელის პრემიის ლაურეატი.

როდესაც მწერალს ქეთევან ქუჩუკაშვილს შიო მღვიმელის სახელობის პრემია მიენიჭა, ამ ცნობამ ყველა გაახარა. ეს ჯილდო ხომ ყველაზე მეტად ქეთევან ქუჩუკაშვილს დაამშვენებდა: სახელოვანი მამის — შიო მღვიმელის ქალიშვილი ხომ თავიდანვე დაადგა საბავშო მწერლობის გზას — მთელი უნარი, შემოქმედებითი ფანტაზია, ცოდნა და გამოცდილება ამ მწერლობას მოახმარა. მისი მოთხრობები, მისი პიესები ქართველი ბავშვების საყვარელი ნაწარმოებებია. კითხულობენ და სცენაზე შეჰხარიან ქეთევან ქუჩუკაშვილის პიესათა გმირებს, — სწავლობენ მათგან და სიკეთით, ჰუმანიზმით ივსებიან.

ესეც ხომ დიდებული სიმბოლიკაა: შვილი მამის სახელობის პრემიის ლაურეატია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციალა არდაშელია, ნელი ბატიაშვილი, ლალი ბრეგვაძე, ნაირა გელაშვილი, ლეილა ბეროშვილი, ანა მხეიძე, დალი ფიროსმანაშვილი და კიდევ სხვა მათი თანამოკალმენი, ისინი ვინც ამ ათი წლის მანძილზე ქართულ მწერლობას თავისი ხმა და ელფერი შეჰმატა, მკითხველი კარგად იცნობს მათს შემოქმედებას — რომანებს, მოთხრობებს, მინიატურებს, კინომოთხრობებს, რომელთა თემატიკა გახლავთ დღევანდელობა, თანამედროვეობის მიერ წამოჭრილი პრობლემები: სიყვარული, ოჯახი, მამულიშვილობა.

ელისო ზარიძე ერთი მათგანია. ჩვენმა ჟურნალმა მისი რამდენიმე ნაწარმოები დაბეჭდა. ამჯერადაც გთავაზობთ კიდევ ერთ მოთხრობას.

ელისო ზარიძე

# ნიკალას სარძლო

მოთხრობა

მხატვარი ცინარა ტერელაძე

„ტყუილად კი არ მებუზღუნება ხოლმე ნატა ბებო, როდემდე უნდა იყო ეგეთი ახტაჯანა, რო ვერ იქნა და ველარ დაქალდიო. გეგონება, თუ პირში წყალს არ ჩავიგუბებ, ველარ დავქალდები! წამოსვლისას კიდევ, როგორ მომძახოდა, — აბა, შენ იცი, კაცების საქმეში აღარ გეერიო, ნიკალას აღარ შეება, კიდევ არ აუჯანყდეო. ავუჯანყდე, არა!.. მაშინაც ეგრე, როგორღაც მოხდა. ამოვიდნენ ქვეყნის უცხო კაცები ფერმაში, არც გაგვაფრთხილეს, მოდიანო, არაფერი! მარტოკა შევრჩი. რაიონიდან გესტუმრეთო, ფერმა დაგვატარეო. არ დამეტარებინა?! წითელი კუთხე გვაჩვენეო. არა გვაქვს-მეთქი. რაც არა გვქონდა, რა მეჩვენებინა? აგიტატორიო, კედლის გაზეთიო, სოციალისტური ვალდებულებებიო, რა ვიცი, რაღა არა მკითხეს, ბაიბურშიაც არ ვიყავი. რის აგიტატორი! მთელი წელიწადი თვალითაც არავინ დაგვილანდავს. ეგება ვინმე კიდეცა ჰყავდათ გაფორმებული, მე რა ვიცოდი! საღამო ხანსაც, წველა რო დავიწყეთ, ისევ დაგვადგნენ თავზე. მაშინ კი ჯარასავით დატრიალდა ნიკალა, მაგრამ რაღა დროსი იყო. თვითონვე არა ნახეს, ძროხებს ცურები რომ ვერ ჩამოვბანეთ?! მისდგნენ: რატომ გაზქურა არ გიდგასო, ვედროში რო ეს ამოდენა ყინულის ლოლუები დაცურავენ, რა სისუფთავე უნდა დაიცვათო? ეს ჩალეწილი ფანჯრები რა ამბავიაო, ეს ფარღალალა ჭერიო და რა ვიცი! ისინიც ჩემი ბრალი იყო? მაინც მე წამეკიდა, ენას კბილი ვერ დააჭირეო? მუნჯი ხო არ ვიყავი! ეგეთი წერილები ეფრინა ტარიელასთან, იმ გაგანია დოლობას გულგახეთქილი ამოვარდა ყიზლარიდან. იქით თავის მამას უგორა წითელი კვერცხი, აქეთ — მე, ძლივს შეგვარიგა. შეგვარიგა, გონი, იმიტომაც აღარა მწიხლამდა! რამდენჯერ ამექოჩრა მწველავებთან, შენაო, ჯერ ჩემ ოჯახში არ შემოსულხარ და თავზე კაკალ მამტვრევ, მერე ეგება შავი შეჭამანდიც შემინელოო. სწორედ იმ ხანებში, ვითომ შერიგებული რო მყავდა, ძერყორაანთ პელომ გამანდო, ნიკალა თურმე დაბაში ეძებს სარძლოსაო. ვიღაც ექთანი ასჩენია, ალვის ხესავითა ყოფილა ასული, პირზე თურმე სუ ნათელი გადასდისო. კაცებშიც დაეკვეხნა, უნდა გადავაგლოვებინო ბიჭს ობოლაანთ ჭიაყელა თამთა, ეგ რძლობას ვერ გამიწევს, ეგეთ ქალს დავუსომ ცოლად, ცაში ვარსკვლავებს ეთამაშებოდესო. იმიტომ არ გადააგლოვებინა! ტარიელას მოწერილი წერილები რო ვაჩვენო, ეგება ბოლმით გულიც გაუსკდეს...“

იჯდა გოგო ნახევრად ცარიელ ავტობუსში. რაღაცნაირად საცოდავად აბუზული, ზედ რკინის კედელს მიჭყლეტილი. მუჭაში დასორსოლავებული, სველი ცხვირსახოცი ეჭირა, ცრემლიანი თვალებით გასცქეროდა თოვლშეყინულ მინდვრებს, სველ, სიცივით ეკალდაყრილ ბუჩქებს, ნახევრადდამდნარ თოვლში აზელილ, ტალახიან გზას და თვითონაც უფრო იბუზებოდა. ისედაც პატარა და გალეული, ლამის მუშტისოდენა გამხდარიყო. ავტობუსიც, იმ ქვა-ღორღიან გზებზე სიარულით სულ ერთიანად მინჯღრეულ-მონჯღრეული, ისეთი ტანჯვითა და ხვნეშით მიირწეოდა, გეგონება საცაა ძალა გამოელევა, მომაკვდავი კაცივით ერთსღა ამოიხრიალებს და დადგებაო.

საღამოსპირი იყო. მარტის გიჟმა ქარმა ის იყო, ცოტა ხანს გატვრენილი ღრუბლები ისევ წამოყარა, ააბორიალა და ზედ სამების მთას წამოამხო. რაღაცნაირად, სევდიანად ჩამობინდდა. მგზავრები, სადღვებელში ჩაყრილებივით რომ იდღვიბებოდნენ, გაყუჩულები ისხდნენ და სთვლემდნენ. და გოგო, გათოშილი თითებით იმ თავის პატარა მუშტში ჩაჭმუჭნული ცხვირსახოცის არშიას რომ აწვალებდა, ტიროდა ჩუმად...

„მაინც რა დამეტაკა! მაძალებდა ვინმე, სიტყვით გამოდიო? აიკლო იქაურობა ტრაბახით, წველადობის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთო, საკვებიც გეგმაზე მეტი დავამზადეთო, ესაო, ისაო, ხალხს თავბრუ დაახვია. განა მინდოდა... ჩემთვის გასუსული ვიჯექი, ჭირისოფლი გადამდიოდა, სირცხვილით ვიწურებოდი. ერთიც არ გამიფიქრია, ავდგები და ვიტყვი, გატყუებთ ნიკალა-მეთქი. აზრადაც არ გამივლია და უცებ არ წამოვვარდი!? დამალული ძროხები რო დაგვიდის, ის არაფერი-მეთქი? თხუთმეტი ძროხა მყავს გაპიროვნებული და ოცს მავლეინებს-მეთქი. სხვა მწველავებიც ეგრე არიან-მეთქი, კიდევ რა ვთქვი? ოთხმოცდაერთი ხბო მივიღეთ და სამოცდაექვსს უჩვენებს-მეთქი... რო ვდგებოდი, განა ვიცოდი, რას ვიტყოდი. იმოდენა ხალხს ატყუებდა... როგორ გაიმელა დარბაზი. ალბათ ფიქრობდნენ, ეს მატრაკვეცა ვინღააო, ამას ვინ რას ეკითხებაო. კი მისმენდნენ და!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავჯექი თუ არა, შემაგინა, შე ძაღლის ნაშობოო, მე კი არ მიყურებდა, ისე სცრიდა კბილებში, სიტყვაში ხო არ იყავი ჩაწერილი, ვინ გაძალებდა, შენ ქერქში ვერ დეეტეოდიო? ეგრე, სახალხოდ, ზეიმით მომაქცია ზურგი. ბუდიაანთ ნესტორამ მიჩურჩულა, რო ლაპარაკობდი, ბოლმით სუ ტუჩებს იკვნეტამდაო. განა მინდოდა... ვილისით რო ამოვიდა დილას ფერმაში, სუ ჩემ თავს ვაფრთხილებდი, არაფერი ვაწყენინო-მეთქი. შაბათს ნიშნობა გვაქვს, ან ხალხი რას იფიქრებს-მეთქი. მომისვა თავის გვერდზე, ამას იქით ავტობუსს აღარ გაკადრებო. რა მოდარებული იყო. სიტყვა უნდა ვთქო, სიტყვა, მთელი რაიონის ხალხი გავაგიჟოო... ასული იქნება უკვე სოფელში. დასცოფამდა ტარიელას. რა უნდა ვქნა ახლა? თავი მომეჭრება. ჯერ ისედაც ჩემ რძლობაზე ყაბულს არ იყო, ეხლაღა მინდომებს? ვინ იცის, სუ აქეთ-იქით მიყარ-მოყარა ნიშნობის რამეები. ტარიელამაც რო ზურგი მაქციოს! მამაა, ესიამოვნება, ეგრე რო გავატრიზავე? რის ნიშნობა! აღარ წამიყვანენ..."

ჩუმად იმდუღრებოდა გოგო. გარეთ მარტის ქარი მშობიარე ქალივით მწარედა კიოდა. შეჭირხლული და გაავებული დაძრწოდა, რომ სადმე გასათბობად შემძვრალიყო. გზაარეული, ახისინებული, ისევ ბუხრის მილებს მიეჭრებოდა ხოლმე და იმ ერთი ბეწო კვამლს ამოყოლილ სითბოს იტაცებდა. ხანდახან, მანქანას გვერდს თუ აუვლიდნენ, გზის პირზე მდგარი ბუჩქის გაფარჩხული ტოტები მინაზე ღრჭიალებდნენ და გოგოს კანზე ბურძგლებს აყრიდა. ისლა უნდოდა! ისედაც ციებიანივით აციებდა და აცახცახებდა. ასხამდა თოვლ-ჭყაპი. ეს ტიალი ამინდი რა ცოფიანი ძაღლივით იღრინებაო, შოფერმა თქვა და ჯიბრზე, სწორედ გოგოსკენ არ მოიხედა! გაუფართოვდა თვალები, ი, რა გატირებსო? გაიღიმა გოგომ:

— არაფერი, შემცივდა.

„რომ მომხსნას... არა და როგორღა უნდა ვიმუშაო ფერმაში? ნიკალას დაკოპილ შუბლს რა გაუძლებს! თან როგორ დამცინებს, აიო, ხომ მივაღწიე ჩემსას და რძლად არ დაგისვიო! ეგება ტარიელა მაინც გამოეპაროს? ამაღამ რო ვერა ვნახო ტარიელა, ნიკალას მაგივრად მე გამისკდება გული. ნიშნობა ხო აღარ გვექნება და აღარ, თუ ყიზლარში წასვლამდე მაინც არა მნახავს, ავდგები და ქსანში გადავეშვები...

ფერმის დევი! იმ დღეს არ იყო, იმოდენა კომბინირებული საკვები საძეგურელ სიმონას გაატანა! მეველე ტატოს ცოლი მიეჭრა: გაყიდე, შე ჩვენი ცოდვით სამსეო? ამ ჩვენ დაჭლექებულ ძროხებ რაღა ვაჭამოთო? დადგებიან ხოლმე და საკვების მიღების უწყისებზე ჩვენ მაგივრად ხელს აწერენ, შარშან რო იყვნენ შემოწმებაზე და გვკითხეს, თქვენი ხელმოწერებია ესენიო? პირები დავაღეთ, რის ოთხი კილო! ორსაც არ იმეტებენ დღე-ღამეში, რა რძე უნდა ჩამოვწველოთ? მერე რა, ვინ რას აკლებს! თქვენისთანა ჭია-ღუები ბუზსაც ვერ ამიფრენენო, აკი დაგვცინოდა!

ბებიაჩემის ბუზღუნს რაღა გაუძლებს! რითი უნდა ვიმართლო თავი? ეგრე ნელ ცეცხლზე როდემდე უნდა მბრაწოო, მეტყვის, ბარე ერთბაშად ჩამანახშირე და მაისვენეო. დილას, დაბაში რო მივდიოდი, ნიშნობისათვის დარჩეულ მარცვალსა სწვერამდა. როგორ მომახარა, თეზელაანთ პატარძალმა ამბავი მომიტანა, იმისთანა საპატარძლო კაბა ამოუტანიათ შენთვის დაბიდან, არშიებში არა ჩანსო. ნეტავი ვის ჩააცვამენ იმ კაბას... არ მოვა ტარიელა. არ მოვა... რა უნდა ვქნა ეხლა? ნეტავი ტარიელაც ობოლი ყოფილიყო ჩემსავით..."

— ნიკალა სადღაა? — ისევ მოუტრიალდა შოფერი.

— არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქედან ვილისით წაგაბრძანა, იქიდან მარტოკინა გამოგიშო? რა თავ-პირი ჩამოგტირის, კიდევ ხო არ წეეკიდეთ?

— კიდევ, არა...

სოფელი რომ გამოჩნდა, ისევ ამოუჯდა გული. ცერად გახედა. სოფლის თავში წამოჭიმულ ნიკალას სახლს და მაშინვე დამდუღრულივით აარიდა თვალი. ნიკალას სახლს უცებ თეთრი, გრძელი, არშიებიანი კაბა გადაეფარა და სულ გადამალა. მერე გაბევრდნენ ის კაბები, აფრიალდნენ ჰაერში, როგორღაც ნაზად, შეფარვით დაუბერა მარტის მოდარებულმა ქარმა, წამოაფრიალა ის თეთრი კაბა და ახლა ბუჩქები დაფარა, მერე — კლდეებს შუა მორცხვი ქალივით ჩაწოლილი, დაკლაკნილი გზა, ზევით, ფერმისკენ აშოლტილი აღმართი, გაღმა დაყუდებული მთები და გოგომ ველარაფერი გაარჩია. ის თეთრი, არშიებიანი ფერი ბურუსივით გადაეკრა ისედაც ცრემლით დაბერილ თვალებზე...

... მეორე დილით კი, ალიონზე, ჯერ ყველას ბუხარი სანახევროდაც არ გამთბარიყო, ახალი, თახახიანი ამბავი დაალაჯებდა სოფელში. დაალაჯებდა კი არა, იმ მარტის გიჟი ქარივით დაჰქროდა და ერთი გნიასი და წიოკი ედგა. ხელად მოედო ღობე-ყორეს, ყველა კუნჭულ-კუთხე ამოავსო. უჰ, კალაპოტიდან არ ამოყარა ის მშვიდად მოფუსფუსე ხალხი!

ქოჩორაანთ კუპაჭია ლელამ კანტორის ცერად დაქანებული კიბე ერთი ამოსუნთქვით აათავა, კარი გულამოვარდნილმა შეაღო და რაღაცნაირი წივანა ხმით დაიძახა; „ნიკალასა ხსნიანო!“ მოანგარიშე დავითა, წინ დახვავებულ, გულმოდგინედ ჩაკიწკიწებულ ციფრებს სათვალის ზემოდან დაშტერებული, ჩაწირპლული თვალებით რომ სჭამდა, ეგრევე დარჩა, ცივწყალგადასხმულივით, კოჭებგალეულ საანგარიშოზე ცერათითჩამოდებული. ქვედა სქელი ტუჩი ჩამოუვარდა და პირი ქვიშაზე დაგდებული თევზივით უხმოდ დაალო. ქოჩორაანთ ლელას ფეხდაფეხ დავითას ცოლი შეჰყვა, მაგდანა. მსხვილი, სარეცხის ქაფში დაწითლებული ხელები წინ აკრულ სველ ჩითის წინსაფარში ჩაემალა, ისედაც ზარდაცემულ ქმარს ძერასავით დააცხრა: „ინდე! ვერ გამოუყვანეს იმ შენ ნიკალას წირვა! ეხლაც აგუგუნოს ყოველღამე მრავალჟამიერი! არაფერი შეგეშალოს, შე პირქვედასამარხო, წესიერად იანგარიშე, შენც იმის გზას არ გაგიყენონ!“ ფოსტალიონმა ნინამ, სოფლის შარაზე ტალახში ამოსვრილი ჩექმებით რომ დააბოტებდა და კაცივით განზე გასულ მხრებზე ერთიავად დაბამბული ჯუბაჩა ჰქონდა მოსხმული, წყაროდან მომავალ, ორი მძიმე ვედროთი დაზნექილ ფაშფაშა თინას რაიონული გაზეთის ნომრები იღლიაში ამოუდო: „მთელი ღამე ტარიელა პადვალში ჰყოლიათ ჩამწყვდეული. რაზე დაზრებოდა და თვალი დაუდგებოდა საბედას.“ იმან მაშინვე ჩამოდგა ვედროები: „ხედამ, ობოლაანთ თამთას, მაგან უნდა თქოს, ბედი მომე და სანაგვეზე გადამაგდეო. კაცს ოცი წლის დალაგებული ცხოვრება აუწეწა, კარგი ბიჭიც ხელში ჩაიგდო“. სოფლის ერთი ციცქნა საავადმყოფოში, სულ ორად-ორი ექიმი რომ ემსახურებოდა და იმათაც დღენიადაგ გაქცევაზე ეჭირათ თვალი, მთიდან ჩამოყვანილ ბოტკინიან ქალს ხევსგაღმიდან საგანგებოდ გადმოყვანილი, თეძოამოვარდნილი ოლა ულოცავდა: „ყვითელი კაცი იყო, ყვითელი ყანა ჰქონდა, ყვითელი ფიწალი ჰქონდა, აანიავა, ალმა ქარს მისცა... ობოლაანთ გოგომ მართლა სამამამთილო გასწირაო?“

მალაზიის გამგე-გამყიდველი, ილა, შავი, გრძელი ულვაშები რომ ამშვენებდა და ბეწვგამოდებული, შოკოლადისფერი ტყავის ქურქით თავი მოჰქონდა, შინმოუსვლელთა სტენდთან, მოედანზე იდგა, ნაამები: „მა რა ეგონა, რა! ერთხელაც იქნებოდა, კოკა წყაროზე გაუტყდებოდა! არ ვიცოდით, როგორ ასრულებდა გეგმებსა? ხმა ვის გაულია! ბარაქალა, თამთა ქალო, მთელი რაიონის აქტივთან არ გამაამზეურა!“ მასწავლებელმა შოთამ ჩაიცინა: „შენ რა გიხარია, შენი კოკა ჯერ მთელი როა?.. რა გალომებული იქნებოდა! დაბიდან ნიშნობისათვის ამოტანილი ჭურჭელი სუ ბალკონიდან გადმოუყრიაო!“ გრძელყურაანთ პატარა ბიჭი, თავგადახოტრილი ზაზა, სკოლის ეზო ორი ნახტომით რომ გადაიარა, თავის კლასში შევარდა და გეგონება აღრჩობენო, სულს ველარ ითქვამდა, დაიძახა: „თამთა და ტარიელა გაიქცნენ!“ მწყემსი თანდილა, სანამ ცხვარს გაჰყვებოდა, საზამთროდ ცოლ-შვილის შეშით მომარაგებას რომ ეშურებოდა და ტყეში ვეება მორმა დაიტანა, ისევ გასიებული ჰქონდა ფეხი და ყიზლარში რომ ველარ წავიდა, მთელი ზამთარი სოფელში აღრენილი დაკოჭლაობდა, ყიზლარიდან გადმოსულ შოფერ გიგასთან იჯდა და დოლის ამბებს სულ წვრილად აკაკვლინებდა: „მაშ, ყოჩაღადა დგანან ჩემი ფარის ბიჭები? ჰაი, დედასა... არა, ძუძუმწოვარაა, რო ჰკეტამს? იგრე უფრო არ გააჯიქებდა! როგორ აკადრეს ფერმის გამგეს და ხმის ამოღება გაუბედეს! დაყიმყიმებდა აქა! ოცდათოთხმეტი ზვინი ზოდეხის მთაზე დარჩა, თავი ვერ მააბა, რო დაზამთრებამდე ჩამაეტანინებინა, თოვლში ჩაალპო. ბრიგადირიც ნიკალას გზას უნდა უწიონ, ქალალდების გაფორმება ადვილია! ძროხები, თორემ, ძაან თავებ არ იცხელებენ იმათი მოვლით! ცარიელა ძვალი და ტყავი დაუდით. გეგმებს ასრულებდა ბიჭი! წამოვიდეს ყიზლარ და ცხვარ დაუდგეს, მერე ვნაკაფელებით მორთულ სარდაფში. ეგრე მივულეწ-მოვულეწე იჭაულაგებელს“ რომ ეძახდნენ, სიმამრის შესანდობარსა სვამდა და მკერდში მჯიღს იცემდა: „დაღამდა თუ არა, და, შევიპარე ნიკალას კაფელებით მორთულ სარდაფში. ეგრე მივულეწ-მოვულეწე იქაურობა, თაგვი სოროს ველარა პოულობდა. გამოჰკეტა ბიჭი! სიყვარულის დამწყვდევა გაგონილა?“ მზარეული გიგოლა, დინჯი, უწყინარი კაცი, თვალში რომ ვინმეს ჩავარდნიყო, ხელს არ ამოისვამდა, სპილენძის შამფურებს ქვიშითა ხეხავდა და სარკმელში თავგამოყოფილ მებუფეტე ბორისას, თეთრი ხალათი მეტი რეცხვისაგან რომ გასცრეციყო, ეუბნებოდა: „მიკვირს და გამკვირვებია მაგ ჯეელის მუყაითობა. ეხლა ახალგაზრდულ ბრიგადასა მეთაურობსო. ტარიელას მამობის ღირსია ავყია ნიკალა?! ყოჩაღ, ტარიელას ბიჭობას, გოგო ხალხის ყბაში არ ჩააგდო, ხანი გავა და შეირიგებენ ნიკალას, მა რას იზამენ... საღამო ხანს ჩემი ქვევრის ღვინო უნდა გადმოვიტანო, არ დავლოცოთ ი გოგო და ბიჭი? ყიზლარ კიდეც იქნებიან მიტანებულები.“ ღობესთან მიმდგარი თეზელაანთ პატარძალი, ბოსლის კარი მოღიავებული რომ დაეგდო და ჯერაც ჩამოუწველავ ძროხას თეთრხალებიანი ხბო ლაჯებში შევარდნიყო, იქითაც არ იყურებოდა, ალუბლის სველ ტოტებს გადაფოფრილი იდგა, ბამბაზიის ჭრელი, მოკლე ხალათიდან თეთრად ჩამრგვალებული ბარძაყები მოუჩანდა და ერთიანად გადაკაშკაშებული მეზობლის გოგოს ისეთი ხმით უწიოდა, ორღობეში მიმავალ ყრუანჩელა ბაბალესაც კი ესმოდა: „მივარდნილა ტარიელა, მეთ, მამაჩემ რას დავეძებ, გამამყე ყიზლარ, ნიშნობასაც იქ გადაგვიხდიან და ქორწილსაცაო. შენს იქით საქალეთი სულაც ჩამოშავებულ-ჩამობზელებულაო...“

ობოლაანთ თამთაანთა აქანებული ნიკალას თავის დღეში მორჩილი, ჩუმი ცოლი, საბედა, სიხარულით გადაშუქებული, წელში გამართული, ნატა ბებოსთან იჯდა, ჩამქრალ ღუმელში ნაღვერდალს აღვივებდა და ვინ იცის, მერამდენედა ჰყვებოდა: „ვეუბნები, გამოუშვი-მეთქი, ნიკალ, ბიჭი, გაიყინება, გული არა გაქ-მეთქი? ვინაო! მამის გამყიდველი! გაიყინოსო! ამდენი წლის დაგროვილი ნაღველი სუ ერთად მომაწყდა, ერთი პირობა კი გავიფიქრე, ემანდ არ გადამლეკოს-მეთქი და ძლივს ადამიანურად არ დაველაპარაკე! თავის დღეში რო პირში ბურთსა მჩრიდი, არ მეყოფამეთქი? მეხი შენ დვარეცებსაც დეეცა და შენ ულიმილო ქონებასაცა მეთქი. ჩემდათავად შენ ცოლობაზე ხელი დამიბანია-მეთქი. გამოვიჯახუნე კარი და გამოვწიე. დედაკაცო ,სუ წამოვედი...“

ნატა ბებო, ჯერაც აწრიალებული, სათვალეს ველარა პოულობდა, დადიოდა, დაფათურობდა და ერთი ვიშვიში გაჰქონდა: „რო ან გამიცივდეს გოგო, ანა. განა არა, ისეთი ჩამოლამებული იჯდა, ვატყობდი, სიკეთე არ იყო იმის თავ. წამოხტა შუაღამისას, ჭრელამ უნდა მაიგოსო, გული რას დამიდგებოდა, გავყე. იქ მოგვეჭრა შენი ბიჭი, ფერმაში. თურმე ნუ იტყვი, გულში რა სდებია...“ დაბიდან სტუმრად ამოსული დალაქი მალხაზა, წუხანდელი ნაქეიფარი, იმ სუსხიან ქარში ერთი ღერა ხალათის ამარა გამოტანტალებული, ბაღჩის ღობესთან მარვილს ჩაბღაუჭებული იდგა და ილრჩვებოდა სიცილით: „სარძლომ გამოსდო კვანტიო, კაცოო! აკი, ფესვები ღრმათა მაქ მიწაში გასულიო? იმ წინეებზე არ იკვეხებოდა, ჭარმაგი მუხასავითა ვდგევარო? ჭიანაჭამი მუხა...“ რა აცინებდა!

# საზეიმო კაბები



2.



1.



3.

ავტორები მხატვარ-მოდელიორები:
1. ვ. ნანუკაშვილი, 2. მ. ბაგდასაროვა, 3. ტ. როიტუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბოლო ათწლეულის სიახლეები პედაგოგიკაში



შ. ამონაშვილი,
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

# ყველას მეცნიერება

როგორც ვ. ა. სუხომლინსკიმ თქვა, პედაგოგიკა ყველას მეცნიერებაა. არ არის აუცილებელი, ნებისმიერმა ჩვენგანმა იცოდეს, რა ხდება ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის და ზოგიერთ სხვა მეცნიერებაში, მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა ნამდვილად უნდა იცოდეს, როგორ, რა მეთოდებით აღზარდოს ბავშვი; რას და როგორ ასწავლიან სკოლაში; როგორ ხდება საზოგადოებრივი აღზრდა.

და აი, ეს ყველას მეცნიერება ჩვენს რესპუბლიკაში წლების მანძილზე ჩამორჩებოდა. იგი ჩამორჩებოდა იმიტომ, რომ იძალა ავტორიტარიზმმა და კონსერვატიზმმა. ამან კი მეცნიერები ჩამოაცილა პრაქტიკას, ცოცხალ პედაგოგიურ საქმეს. ასე მივიღეთ ე. წ. „უბავშვო პედაგოგიკა". რატომ არ აკმაყოფილებდათ მასწავლებლებს, აღმზრდელებს მეცნიერ-პედაგოგთა მიერ დამუშავებული რეკომენდაციები? — იმიტომ, რომ ეს რეკომენდაციები არ ასახავდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რეალურ ვითარებას და მისი განვითარების პერსპექტივებს.

ბოლო ათეული წლის განმავლობაში ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მოზარდი თაობის საზოგადოებრივი აღზრდის საქმე. უნდა აღინიშნოს ის კეთილისმყოფელი გაბედულება, რასაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იჩენს პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

შევეხებით ზოგიერთ სიახლეს:

დამუშავდა და მასობრივ პრაქტიკაში დაინერგა რეკომენდაცია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში სემესტრული სისტემის შემოღების შესახებ. ნაცვლად მეოთხედებისა, სასწავლო წელი საშუალო სკოლაში ორ ნაწილად იყოფა: I და II სემესტრად. ამ სიახლემ ბევრი რამ მოგვცა. დაიძლია ფორმალიზმის ზოგიერთი გამოვლენა მოსწავლისა და მასწავლებლის მუშაობის შეფასებაში, თავიდან ავიცილეთ ნერვიულობის ატმოსფერო, რასაც მოსწავლეებსა და მშობლებში, აგრეთვე მასწავლებლებში ცოდნის აჩქარებული შეფასებები იწვევდა. განვტვირთეთ სკოლა, სახალხო განათლების ორგანოები ნაკლებადსაჭირო მეოთხედური შემაჯამებელი საქმიანობისაგან და, ამასთან, შევანელეთ „პროცენტომანიაც". მასწავლებლებს საშუალება მივეცით უფრო ბეჯითად და დამშვიდებით იმუშაონ მოსწავლეებთან, მეტი ყურადღება მიაქციონ მასალის საფუძვლიან ახსნას, მოსწავლის შესაძლებლობათა სრულ გამოვლენას. სემესტრული სისტემა მომავალში სხვა სიახლეებსაც მოგვიტანს. საჭირო იქნება დავამუშაოთ ჩათვლების შემოღების შესაძლებლობა უფროს კლასებში, გავაძლიეროთ მოსწავლეთა დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობა, დავამკვიდროთ ლექციური, სემინარული, საკონსულტაციო მუშაობის ფორმები, შევცვალოთ აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვის ხაფუძვლები. სემესტრულ სისტემას აქვს ზოგიერთი ნაკლიც. მეცნიერულმა კვლევამ მრავალმხრივ უნდა გააანალიზოს დაგროვილი გამოცდილება და სრულყოს სკოლის მუშაობის სემესტრული დაგეგმვის პრაქტიკა.

ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირში ერთმა პირველთაგანმა შემოიღო ექვსწლიან ბავშვთა სწავლება სკოლის მოსამზადებელ კლასში. თავის დროზე, როცა მოსინჯვითი ექსპერიმენტი ტარდებოდა, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი გამოითქვა. თვით მეცნიერთა წრეშიც არ იყო ერთსულოვნება. თითქოს „ბავშვს ბავშვობას ვართმევდით", თითქოს ამ ბავშვის ფსიქიკა მზად არ იყო სწავლებისათვის და ა. შ. შეიძლება პარადოქსად ჟღერდეს, მაგრამ დღეისათვის უკვე დამტკიცებული ფაქტია, რომ ექვსწლიანი ბავშვები უფრო მომზადებულნი არიან სკოლისათვის და ხალისითაც სწავლობენ, ვიდრე შვიდწლიანები. საქმე ის არის, რომ ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული განვითარების დღევანდელმა დონემ შინაარსობრივად შეცვალა ოჯახსა და საბავშვო ბაღში ბავშვთა განვითარება. შვიდწლიანები უკვე სკოლაში მისვლამდე სწავლობენ კითხვასა და წერას, მარტივ ანგარიშს. სკოლაში ამ მასალის შესწავლა მოსაწყენს ხდის სასწავლო პროცესს, მათ უფრო გაღრმავებული დავალებები სჭირდებათ. ექვსწლიანებისათვის კი იგივე სასწავლო მასალა სახალისო და საინტერესოა, რადგან, როგორც ი. გოგებაშვილი ამბობდა, იგი მათთვის „ნახევრობით ცნობილია და ნახევრობით კი — არა". მეცნიერული კვლევისა და ხანგრძლივი ექსპერიმენტის საფუძველზე შემუშავდა მოსამზადებელ კლახში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სპეციფიკური მეთოდიკა, რომლის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური საფუძველია ბავშვის თამაშობითი მოთხოვნილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებებმა ქართული და რუსული ენების შესწავლის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ პედაგოგიკის მეცნიერება ახალი ამოცანების წინაშე დააყენეს. ამ დადგენილებათა საფუძველზე დაისახა ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე რუსული ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამების გარდაქმნის ფართო სამეცნიერო-კვლევითი გეგმა. შეიქმნა და გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები, სასწავლო-დიდაქტიკური მასალები, მეთოდიკური კურსები. რუსული ენის სწავლებაში მეცნიერებმა ორიენტაცია აიღეს საკომუნიკაციო მეტყველების დაუფლებაზე, რასაც შედეგად მოჰყვა თვისებრივად ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები პირველი და მეორე საფეხურის სკოლებისათვის. ინტერესს იწვევს რუსული ენის კონცენტრირებული სწავლების პრაქტიკაც. ამ გამოცდილების შესაბამისად, სასწავლო წლის პირველ სემესტრში თავმოყრილია რუსული ენის წლიური საათების რაოდენობის მთელი მარაგი, მოსწავლეები ენას სწავლობენ უწყვეტად და დაჩქარებით გადიან საპროგრამო მასალას. მეორე სემესტრში კი რუსულ მეტყველებას ივითარებენ კლასგარეშე და წრეობრივი მუშაობის პირობებში.

ჩვენ ერთ-ერთმა პირველთაგანმა ვცადეთ სკოლის დაწყებით კლასებში ხუთდღიანი სასწავლო კვირის შემოღების შესაძლებლობათა გამოკვლევა. ხუთდღიანი სასწავლო კვირა საზოგადოების მოთხოვნაა, მაგრამ მისი პედაგოგიური განხორციელება ადვილი არ არის. სად უნდა გამოინახოს დროის რეზერვები? ხომ არ მივმართავთ მექანიკურ გზას: ექვსდღიანი სასწავლო კვირისათვის გათვალისწინებული სასწავლო საათების გადანაწილებას ხუთ დღეზე? საკითხის პედაგოგიური გადაწყვეტის სირთულე ის არის რომ სასწავლო საათების კვირეული დატვირთვის შემცირების პირობებში აუცილებელია შევინარჩუნოთ მოსწავლეთა მომზადების მაღალი დონე. სხვანაირად რა აზრი ექნება ხუთდღიან სასწავლო კვირას? დროის რეზერვების გამონახვის ერთადერთი რეალური გზა კი ის არის, რომ თვისებრივად გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ვასწავლოთ და შევაყვაროთ მოსწავლეებს სწავლა. ამჟამად ხუთდღიანი სასწავლო კვირის ექსპერიმენტი ტარდება თბილისის ლენინისა და თელავის რაიონების სკოლების დაწყებით კლასებში, 1985 წლის დასასრულს ექსპერიმენტის შედეგების შესახებ რეკომენდაციები გადაეცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში შეიქმნა მშობელთა საზოგადოებები. დაგროვდა დადებითი გამოცდილებაც. ამ საქმის შემდგომი განვითარება უთუოდ გააძლიერებს ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდაზე კონტროლს, გააუმჯობესებს საზოგადოებრივი აღზრდის საქმეს, აამაღლებს მშობელთა პასუხისმგებლობას შვილების აღზრდაში.



ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივეტა ლაღიძე.

1977 და 1982 წლებში ჩატარდა საქართველოს მასწავლებელთა IV და V ყრილობები, რომლებმაც შეაჯამეს რესპუბლიკის განათლების დარგის მუშაკთა შრომა და დასახეს შემდგომი წინსვლის ამოცანები. ახლა კი კარს გვადგას სასკოლო რეფორმის განხორციელების რთული, დაძაბული და ხანგრძლივი პერიოდი. რესპუბლიკის პედაგოგიკის მეცნიერებათა წარმომადგენლებს დასჭირდებათ, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ კვლევითი მუშაობა, მჭიდროდ დაუკავშირდნენ რეალურ პრაქტიკას, სწორედ პრაქტიკაში მოახდინონ საკუთარი თვალსაზრისების ჭეშმარიტების გამოცდა, შეისწავლონ და განაზოგადონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება. პედაგოგიკის დარგის მკვლევარებმა ახალი სიტყვა უნდა თქვან მოზარდი თაობის შრომითი, გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური, ზნეობრივი, იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შესახებ, დასახონ სწავლების ეფექტიანობის ამაღლების გზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



60

# საქარხნო რაიონში

ექსპერიმენტი მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოში. იგი ცხოვრებამ მოითხოვა და მას მტკიცე მეცნიერული საფუძველიც დახვდა. ექსპერიმენტმა გაამართლა პირველი იმედები. მას იმდენად კარგი შედეგები აქვს, რომ საქართველოს ფარგლებს გასცდა, და საერთო-საკავშირო ასპარეზზე გავიდა.

**რედაქციის მრეწველობისა და სოფლის** მეურნეობის განყოფილების გამგე **ლია კაკაბაძე** ექსპერიმენტის თაობაზე ესაუბრა თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ტერიტორიულ-დარგობრივი სამმართველოს უფროსს **გივი გოლეთიანს.**

**— პატივცემულო გივი, ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, რა მდგომარეობა იყო რაიონში ექსპერიმენტის განხორციელებამდე.**

— საქარხნო რაიონში ორმოცდათოთხმეტი საწარმოა. ისინი ოცდაათამდე სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებას ექვემდებარება. გარდა ამისა, რაიონში არის აეროპორტი, რკინიგზის სადგურები და ოცდათხუთმეტი ავტოსატრანსპორტო დაწესებულება. როგორც ხედავთ, სოლიდური ციფრია. სამინისტროებს და უწყებებს უჭირდათ მათი მართვა და ძირითადად ხელმძღვანელობდნენ გეგმებითა და ბრძანებებით, სხვადასხვა სამინისტროებს და უწყებებს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ, ამიტომაც მატერიალური და შრომითი რესურსების სრულფასოვანი გამოყენება არ ხდებოდა. მათ აინტერესებდათ მხოლოდ საწარმოთა ეკონომიკური პრობლემები და რაიონის სოციალური განვითარება ჩრდილში რჩებოდა. როგორც ხედავთ, აუცილებელი გახდა ერთ ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოს შორის ეკონომიკური და სოციალური ურთიერთკავშირის განხორციელება, ამიტომაც შეიქმნა ტერიტორიულ-დარგობრივი სამმართველო თავისი განყოფილებებით და ქვეგანყოფილებებით, დაიწყო ექსპერიმენტის განხორციელება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრა ტერიტორიულ-დარგობრივ სამმართველოს, რომ იგი ახორციელებს სახალხო მეურნეობის დარგების: მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მართვას. იქნებ განგვიმარტოთ უფრო ზუსტად თქვენი სამმართველოს ფუნქციები, ექსპერიმენტის არსი.**

ექსპერიმენტის უპირველესი მიზანია გეგმების შესწავლა და მათი განხორციელება. გეგმებს, რა თქმა უნდა, კვლავ სამინისტრო ადგენს, მაგრამ ჩვენი სამმართველო მათ ეცნობა, და როცა გეგმა არარეალურია, შესწორებებიც შეაქვს. გარდა ამისა, ექსპერიმენტი აპირობებს შრომის მექანიზაციას, სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების ზრდას, საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის გაძლიერებას, მეცნიერული მიღწევების დანერგვას, მშრომელთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, მათი ოჯახების კეთილდღეობისათვის ზრუნვას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, გამოშვებული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას, გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, ზეგეგმითი მოგების დაგროვებას, არსებული რეზერვების ათვისებას, მეორადი ნედლეულის შეგროვებას, საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურ დატვირთვას, ნარჩენების გამოყენებას, ერთი სიტყვით, წყვეტს ყველაფერს, — რაც კი წარმოებასთან არის დაკავშირებული.

**— ცნობილია, რომ თქვენ უნარჩენო წარმოების რაიონის სახელისათვის იბრძვით. დღეს ნარჩენების გამოყენება ხომ ერთერთი აქტუალური საკითხია, მათი ათვისება ხელს უწყობს სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების გაფართოებას. გვიამბეთ, როგორ მუშაობს თქვენი კომერციული განყოფილება ამ მიმართებით.**

— სამმართველოსთან არსებული კომერციული განყოფილება ხელს უწყობს ორ საწარმოს ერთმანეთთან მორიგებასა და დაკავშირებაში. კომერციულმა განყოფილებამ იცის, სად დაგროვდა ნარჩენები, იცის, რომ საწარმო თავის ნარჩენებს ვერ იყენებს, რადგან მანქანა-დანადგარები გადატვირთულია. რა ქნას? გადაჰყაროს, როგორც ეს ადრე ხდებოდა? აი, აქ კომერციული განყოფილება ფხიზლად არის, მას მეორე საწარმოში ეგულება დაუტვირთავი მანქანები, ნარჩენები კი იქ არა აქვთ. და აი, განყოფილება ასრულებს „შუამავლის" როლს, საწარმოთა ხელმძღვანელებს ერთმანეთთან აკავშირებს, ერთი საწარმო უგზავნის მეორეს ნარჩენებს, ესე იგი, ჰყიდის და მდიდრდება, მეორე-ყიდულობს, ნარჩენებისაგან ამზადებს ფართო მოხმარების საგნებს, ჰყიდის და ისიც მდიდრდება. მომხმარებელი კი იძენს იმას, რაც მას სჭირდება. ერთი სიტყვით, ყველა კმაყოფილია. პირველი საწარმო დაგროვილ თანხას მუშათა სტიმულებისათვის და სხვა საჭიროებისათვის იყენებს, ასევე-მეორეც. მათი მოგებიდან გარკვეული თანხა სახელმწიფოს ერიცხება, ხოლო თანხის გარკვეული ნაწილი ტერიტორიულ-დარგობრივი სამმართველოს თანამშრომელთა ხელფასებს ხმარდება.

ნარჩენებისაგან დამზადდა და მოწონებით სარგებლობს ბავშვის თბილი ფაჩუჩები, სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები, საოჯახო საქონელი და სხვა.

საწარმოთა შორის ამგვარი კავშირის დამყარებას აადვილებს ხარისხის სახლი, სადაც ყოველთვიურად ეწყობა ნარჩენებისა და მათგან დამზადებული ნაწარმის გამოფენა. ხარისხის სახლის მეშვეობით წარმოების ხელმძღვანელები კომერციული განყოფილების დაუხმარებლადაც ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს.

**— 1983 წლის მაისის პლენუმზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ თავის მოხსენებაში განსაზღვრა თქვენი სამმართველოს იმ განყოფილების მუშაობის სტილი და მეთოდები, რომელიც საწარმოებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვას აწარმოებს. პლენუმზე მაგალითის მომცემი რამ-**

**დენიმე საწარმო დაასახელეს. როგორ ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი რაიონის სხვა საწარმო-დაწესებულებებში?**

— ჩვენი საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განყოფილება პარტნიორის როლს ასრულებს და ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოს და სამეცნიერო დაწესებულებას. ბევრი გამოუყენებელი მეცნიერული შრომა ეწყობა და დღესაც აწყვია ამა თუ იმ ინსტიტუტის თაროებზე. მათი გამოყენებით კი საწარმოებში ბევრი პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება. და აი, აქ წარმოჩნდა ზემოხსენებული განყოფილების როლი. მისი საშუალებით დაიდო ხელშეკრულებები საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, რითაც გზა გაეხსნა მეცნიერული გამოგონებების პრაქტიკაში დანერგვას. თანაც, შრომების წარმოებაში დანერგვით კარგ სტიმულებს იღებენ მეცნიერებიც.

მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განყოფილების ინიციატივით გაიშალა მუშაობა საშენ მასალათა კვლევით ინსტიტუტსა და მერქნის გადამამუშავებელ კომბინატს შორის. მათი ურთიერთთანამშრომლობით დაიწყო ნახერხის ნარჩენებისაგან ისეთი ბლოკების დამზადება, რომლებიც ფერმების ასაშენებლად გამოდგება. რა თქმა უნდა, ბლოკები იაფი ჯდება, დიდძალი ცემენტი კი იზოგება.

**— საქარხნო რაიონმა შარშან გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმები. იგი 1983 წლის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულია. რაიონში განსაკუთრებით დაწინაურდა გაერთიანება „თბილრძე", „ფეხსაცმელების სამოდელო ფაბრიკა", „უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკა", „საყოფაცხოვრებო ქიმია". ამ საწარმოებში მომუშავეთა შორის ქალები ჭარბობენ. რაიონის მიღწევებში მათი დიდი წვლილია. როგორ ზრუნავთ მუშა ქალთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად?**

— რაიონის საწარმოებში შეუნელებელი, ყოველდღიური ზრუნვაა მომუშავეთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, სტიმულების გამოსაყენებლად. ამის შედეგია მუშათა კოლექტივების თავდადებული შრომა, დისციპლინის განმტკიცება. წლეულს ჩვენს მშრომელებს ახალი ვალდებულებები აქვთ აღებული: 2 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და 0,8 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება. იმედია, ექსპერიმენტი აქაც გარკვეულ როლს შეასრულებს, დაეხმარება მათ აღებული ვალდებულებების განხორციელებაში.

სხვანაირად არც შეიძლება! რესპუბლიკამ უნდა გაამართლოს ის დადებითი შეფასება, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობას მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისათვის, რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.



თბილისის ფეხსაცმელების სამოდელო ფაბრიკაში ნარჩენებისაგან ამზადებენ ბავშვის ფაჩუჩებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სამზადის შემკერი საამქროს მე-7 ბრიგადის ბრიგადირი სვეტლანა თუთბერიძე (მარჯვნივ) თვალს ადევნებს მუშაობის პროცესს.



ნარჩენებისაგან შექმნილი პროდუქცია.



დ. იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა





## მერი დავითაშვილი

ჰკითხეთ პატარას, ვის სიმღერებს ასრულებს ხშირად, ძალიან ხშირად?

იგი გიპასუხებთ: — სიმღერა მერი დავითაშვილისა!

საქართველოში, თანაბრად ტკბება მისი შემოქმედებით დიდი თუ პატარა. ეს სიმღერები ფეხდაფეხ მოსდევს ჩვენს ცხოვრებას, ალამაზებს და ამშვენიერებს.

მერი დავითაშვილის საბავშვო სიმღერები, ოპერები, ტოლს არ უდებს მის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებებს, სიმფონიებს, საგუნდო სიმღერებს.

ასე არის და ასე იქნება: მამულმა იცის საუკეთესო შვილთა დაფასება — რუსთაველის პრემია ხომ საშვილიშვილო განძია ქართველისათვის!



## თინათინ ფანიაშვილი

არქიტექტორ თინათინ ფანიაშვილის პროექტით ბევრი შენობაა აგებული ჩვენს რესპუბლიკაში და დედაქალაქ თბილისში: 1981 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია — „ხუთწლედის მატიანეს“ ლაურეატის წოდება, ტურისტული ხასტუმრო „ვაკის“ მაღალმხატვრული არქიტექტორული გადაწყვეტისათვის.

# ჩვენი მხატვარი ქალები



რ. ჯავრიშვილი — „ჯვარი"



ნ. იანქოშვილი — „თ. თარხნიშვილი"



დ. ნოდია — „შუადღე"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. შალიკაშვილი — „წინარეხი"

თ. ასიტაშვილი — „ქალები ლენქორანიდან"





ნ. ლიზრაძე — „სახლი სიღნაღში"

ე მაჩაბელი — „პარტიზანელი ქალი"



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნ ფალავანდიშვილი — „ნ. კლდიაშვილი"



გ. მიქაძე — „უხვი მოსავალი"



ა. ქუპატაძე — „ხევსური ქალი"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ზამბახიძე — „შეხვედრა"



ლ. შენგელია — „ავტოპორტრეტი"



ც. ტერელაძე — „ერფურტი" (გდრ)



ნ. ცინცაძე — „დილა"





ნ. მესხიძე — „დედობა“



ბ. ბერძენიშვილი — ილუსტრაცია „შუშანიკის წამებისათვის“



ფ. მანაგაძე — „შემოდგომა“



ც. ზაალიშვილი — ილუსტრაცია „სულხან საბას იგავებისათვის“

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რ. გაჩეჩილაძე — „ალაზნის ველი“



ე. ანდრონიკაშვილი — „ალაზანზე“



ზ. თაყაიშვილი — ნატურმორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ქველიძე — „ტორსი"



მ. ბობოხიძე — „ქართველი ქალი"



დ. ვარამაშვილი — „შეხვედრა"

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. ჩიქოვანი — „სალომე ყანჩელი"



ც. შანშიაშვილი — ლენა ლალანიძის პორტრეტი



ლ. სვანიძე — „ვით ყვავილი"



ე. კანდელაკი — „კუბელი გოგონა"



ლ. ქვასხვაძე — „სალომე"



ლ. ჭიჭინაძე — პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატები



## თამრიკო გვერდწითელი

მას ყველა თამრიკოს ვეძახით.
თამრიკო გვერდწითელი,
თამარ გვერდწითელი,
ქართული ესტრადის ყველაზე ახალგაზრდა, ამომავალი ვარსკვლავი.

ჯერ კიდევ ბავშვობიდან დაგვამახსოვრა თავი, საქვეყნოდ ცნობილ ანსამბლ „მზიურიდან". მღეროდა და თითქოს გულს ატანდა თან ყოველ სიმღერას. ძოცახცახე ლერწამს ჰგავდა ეს პატარა გოგონა. თმაგიშერა და თვალანთებული. რაოდენ სასიამოვნოა, რომ სიმღერა არ მიატოვა, რომ კონსერვატორიას მიაშურა და თავისი სიცოცხლის მრწამსად და მიზნად დაისახა მუსიკა!

თამრიკოს ხშირად ვუსმენთ ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით. ვნახულობთ და მისი საშემსრულებლო ხელოვნებით ვტკბებით. გვხიბლავს მისი წკრიალა, გამჭვირვალე ხმა, რომელიც თითქოს ვედრებით მიიმართება ზევით და ზევით, სამშობლოს, მშვიდობის სადიდებლად აღვლენილი.

იგი საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატია.

ყველასათვის საყვარელია.

პოპულარული და მომხიბვლელი.

განსაკუთრებით ისიც არის აღსანიშნავი, რომ თამრიკოს სიმღერები შინაარსით არის დატვირთული, მიმზიდველი. ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებების გვერდით იასავით ხარობენ მისი საკუთარი სიმღერებიც. სამშობლო, დედაქალაქი თბილისი, თბილისობა, სიჭაბუკე, სიყვარული — აი ამ სიმღერების თემა:

„სიჭაბუკეს სწამს,"
„სიჭაბუკეს სჯერა" —აი ამ სიმღერათა თავიდათავი თემა.

სწორედ ეს სიჭაბუკეა და ეს მრწამსია, ასე რომ ამშვენებს მის ხმასა და სიმღერას!



## ირმა სოხაძე

ქართულ ესტრადას ბევრი საუკეთესო მომღერალი ამშვენებს, რომელთა შორის თავისებური ელვარებით გამოირჩევა ირმა სოხაძე.

სიტყვაზე არანაკლებ ძლიერია სიმღერა! — კარგა ხანია ეს მრწამსი ახლავს ირმა სოხაძის სიმღერებს, მის ნაყოფიერ, მრავალწლიან შემოქმედებას. სწორედ ამ ახალგაზრდა ქალზე შეიძლება ითქვას, ლამის სცენაზე გაიზარდაო. სიყვარულიც უმალ დაიმკვიდრა, რამეთუ მისი სიმღერა ყოველთვის პოულობდა გზას მსმენელთა გულებისაკენ, მაშინაც, როცა „ვუნდერკინდი" — ბაფთიანი გოგონა მიკროფონსაც რომ ვერ სწვდებოდა და მაინც მღეროდა, და ახლაც, როცა ხან მარტო და ხანაც ვოკალური ანსამბლის — „თბილისის" თანხლებით გამოდის. მუდამ, ფორტეპიანოს უზის თუ გიტარა აქვს მომარჯვებული, საკუთარ სიმღერას მღერის თუ საგანგებოდ მისთვის დაწერილს, ირმას სწამს სიმღერის უძლეველი გამაკეთილშობილებელი ძალისა. და უნდა მსმენელიც დააჯეროს. აღწევს კიდეც ამას! სწორედ ამ გამარჯვების გამოხატულებაა საქართველოს კომკავშირის პრემია, რომლის ღირსეული ლაურეატია ჩვენთვის საყვარელი ირმა სოხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიკა ბაქრაძე

60

# ნდობით, ცოდნითა და ერთგულებით



ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს სარეანიმაციო ცენტრი

ექიმსა და ავადმყოფს შორის გადებული ხიდი სამ ბურჯზე დგას. ექიმს ავადმყოფის ნდობა სჭირდება, ავადმყოფს ექიმის ცოდნა და ერთგულება. ნდობა ყველაზე მაღალი შეფასებაა ექიმისათვის, იგი მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმისა და თავდადების შედეგად მოდის.

## სტატისტიკური ინფორმაცია

დღეისათვის ჩვენი რესპუბლიკის ქალებს ემსახურება სამეანო-გინეკოლოგიური 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 82 სამშობიარო სახლი და სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება.

მძიმე პათოლოგიის ორსულთათვის შექმნილია სპეციალური ცენტრები — თბილისში, ქუთაისში, თელავში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში. კურორტ კოჯორში გახსნილია პათოლოგიის სამკურნალო სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი.

## ამბავი დაბრუნებული სიცოცხლისა ანუ წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

„თავს დამნაშავედ ჩავთვლიდი, ულრმესი მადლობა არ გადამეხადა ყველასათვის, ვინც მე გადამარჩინა.

აწი რასაც უნდა ვაკეთებდე, შრომა იქნება თუ სხვა ბედნიერება, ყველაფერი ჩემს ძვირფას ექიმებსაც უნდა გაუნაწილდეს, რომელი ერთი ჩამოვთვალო: რ. ღოღობერიძე თუ გ. ჩახუნაშვილი, თ. ბეგიშვილი თუ ე. ჯაფარიძე, ე. კანდელაკი, გ. რიკაძე, მ. ამაშუკელი... ყველას გვარი ვერ დავიმახსოვრე, რადგან არც ერთს არ უცდია თავი დაემახსოვრებინა ჩემთვის, ისე იბრძოდნენ ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად.

ახლა მე გავეწერები, წავალ ისე, ვითომც არაფერი მომხდარა. ქუჩაში ხალხი შემომხედავს და არაფერი ეცოდინება იმის შესახებ, რომ დაბრუნებული სიცოცხლით ვარსებობ, სხვისი სისხლით, თავდადებით და ცოდნით ვცოცხლობ.

ჩემი ბედნიერი შვილების, ჩემი ოჯახის სახელით ყველას დიდ მადლობას ვუხდი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

ლაურა მასხარაშვილი,

ლენინის ორდენოსანი მევენახე-მეაბრეშუმე მაიაკოვსკის რაიონის სოფ. საკრაულიდან.

მინაწერი: ლ. მასხარაშვილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს თბილისში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოს გინეკოლოგიის განყოფილებაში, სადაც მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

## სტატისტიკური ინფორმაცია

ბავშვებს ემსახურება პედიატრიული სხვადასხვა პროფილის ათობით საავადმყოფო 8764 საწოლით.

პედიატრიის ინსტიტუტი კურატორობს აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და თელავის რაიონს; რესპუბლიკური საავადმყოფო — სამხრეთ საქართველოს რაიონებს.

პედიატრიული სამსახურის გაუმჯობესების მიზნით დავიწროვდა პედიატრიული უბნები — ბავშვთა რაოდენობა ამ უბნებზე რვაასს არ აღემატება.

გაიხსნა ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეაბილიტაციის ცენტრი.

რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან გაიხსნა რეანიმაციის განყოფილება, გამსვლელი რეანიმაციული ბრიგადებით.

მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან საკონსულტაციოდ შეიქმნა საპროფესორო პოლიკლინიკა (რესპუბლიკურ საავადმყოფოში), გამსვლელი პოლიკლინიკა (პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში).

აღსანიშნავია ახალგაზრდა მეცნიერთა ინიციატივა — თითოთვე დაჰყონ რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც პედიატრი არ არის.

## ამბავი წუთისა, რომელიც სიცოცხლედ ფასობს ანუ სიცოცხლე იწყება თავიდან

„ახლა ხუთის ნახევარია, კიდევ რამდენიმე წუთი და ჩემი შვილის ამბავს შევიტყობ".

მამაკაცი ადგილს ვერ პოულობს. აქ, რეანიმაციის განყოფილებაში მშობელს ბავშვთან კონტაქტი არა აქვს, იგი მხოლოდ დღეში ორჯერ იტყობს შვილის ამბავს.

16 საათი და 45 წუთია. მამაკაცს ეუბნებიან, რომ, მართალია, ბავშვს ისევ მაღალი სიცხე აქვს, მაგრამ მდგომარეობა უკვე საიმედოა. ექიმის ღიმილში არის ის ნანატრი დამაჯერებლობა, რომელსაც მამა აგერ ოცი დღეა სულმოუთქმელად ელის!

ზურაბ კ... ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში რეანიმობილით მოიყვანეს. ეს ნიშნავს იმას, რომ უკვე გზაშივე მიიღეს ყველა საჭირო ზომა. რეანიმობილიდანვე დაიწყო ბრძოლა ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად.

ყოველ ღონეს ხმარობენ პროფესორი გ. ნიჟარაძე, დოცენტი რ. ლუკიანოვა, მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში თ. ბაქრაძე, ექიმი დ. ბარნაძე.

გაკეთდდა ყველა ბიოქიმიური ანალიზი, ფხიზლობს ბიომონიტორი, ბავშვის ორგანიზმში შეჰყავთ სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა უკმარისობის საწინააღმდეგო საშუალებანი. ილევა წუთები, საათები, ბრძოლა სიცოცხლისათვის გრძელდება!

რეანიმაციის განყოფილებაში კიდევ 12 უმძიმესი ავადმყოფი ბავშვია. სიკვდილს ებრძვიან ახალგაზრდა ექიმები: თ. სიხარულიძე, ე. პაჭკორია, დ. ფულარიანი, ნ. დოლონაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რეაბილიტაციის რესპუბლიკური ცენტრი



ახალი სამშობიარო სახლი გლდანის რაიონში



პერიმატალური მედიცინისა და მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში

**იქ კი, განყოფილების მისადგომში, ღელავენ მშობლები. აი კიდევ რამდენიმე წამი, გამოვა ექიმი და იტყვის... რას?**

**„დიახ, თქვენ ბავშვს, მართალია, მაღალი სიცხე აქვს, მაგრამ მდგომარეობა უკვე საიმედოა".**

**მამა ცდილობს ხელები დაუკოცნოს ექიმს, მაგრამ უხერხულობისაგან სათვალე უვარდება. ექიმი იხრება, იღებს, მაგრამ არ აწვდის, რადგან მამა აღარაფერს ხედავს, იგი ტირის!**

**მინაწერი: რეანიმობილი, რომელიც სიცოცხლისათვის ბრძოლის პირველ წუთებს იგებს, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმების ენთუზიაზმით და მათი საკუთარი ხელით არის დამონტაჟებული. ერთ-ერთი მათგანი, ვლადიმერ ნიკიტინი, ახლა რეანიმაციის განყოფილებას განაგებს.**

## სტატისტიკური ინფორმაცია

ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს გააჩნია ყველაზე სრულყოფილი დღენაკლულ ბავშვთა და ახალშობილთა განყოფილება. ამიერკავკასიაში ერთადერთი ნეიროქირურგიული განყოფილება, ერთადერთი რესპუბლიკაში გასტროენტეროლოგიის განყოფილება, უროლოგიური, ნეფროლოგიური და ხელოვნური თირკმლის განყოფილებები (განყოფილებათა ამგვარი სიმბიოზი ერთადერთია საბჭოთა კავშირში)...

პირველად თბილისის პერიმატალური მედიცინისა და მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავდა ნაყოფის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ნაადრევად გამოვლინდეს ნაყოფის მოსალოდნელი პათოლოგია. ასეთია, მაგალითად, ნაყოფის პირდაპირი ელექტროკარდიოგრაფია, რეოენცეფალოგრაფია და სხვა. პირველად ჩვენთან იქნა გამოყენებული ნაყოფისა და ახალშობილის ჰიპოთერმია, ლაზერის სხივებით ორსულთა პათოლოგიის მკურნალობა და სხვა.

ამჟამად ეს მეთოდები წარმატებით გამოიყენება როგორც ჩვენში, ასევე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

თბილისური მისამართი აქვს მთელ რიგ პრეპარატებს.

სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განსაკუთრებულ მეთვალყურეობას უწევენ საწარმოებსა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში დაკავებულ ქალებს.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ჯანმრთელობის დაცვის ამ უბანზე რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების შემდეგ, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ მრავალშვილიანი ოჯახებისადმი, შესაბამის უწყებებს ძიებისა და ქმედების ახალი გზები დაუსახა.

## ამბავი ხელმძღვანელისა ანუ ერთი ოქმის ფრაგმენტი

**„დაადგინეს: მახარაძის აგროსამრეწველო გაერთიანებამ საკუთარი ფონდიდან მილიონზე მეტი თანხა გაუნაწილოს მრავალშვილიან დედებს, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.**

**მრავალშვილიანი ოჯახებისათვის აშენდეს ორსართულიანი სახლები, ექვს დედას რიგგარეშე გამოეყოს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურები; შემცირდეს მრავალშვილიანთათვის სამუშაო დღე;**

**გაერთიანებამ იშუამდგომლოს უმაღლეს სასწავლებლის ხელმძღვანელთა წინაშე, რომ მრავალშვილიანი ოჯახებიდან წარგზავნილ აბიტურიენტებს, ქულათა თანაბარი რაოდენობის პირობებში, მიეცეთ უპირატესობა ჩარიცხვისას".**

**„რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება მამაკაცები — გვითხრა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. თენეიშვილმა. მრავალშვილიანი ოჯახების მამებს რიგგარეშე ვაკმაყოფილებთ სამუშაოთი. ასევე რიგგარეშე ვაძლევთ მსუბუქ ავტომანქანებს.**

**სიახლეა ის, რომ მრავალშვილიან ოჯახებად მიჩნეულია სამ და ოთხ-შვილიანი ოჯახები, რომლებიც სარგებლობენ მრავალშვილიანთათვის ნავარაუდევი ყველა შეღავათით.**

**დრომ თავისი დასკვნა გააკეთა: რაიონში იმატა მოსახლეობამ. ეს კი იმას ნიშნავს რომ იქ, სადაც მტკიცე ოჯახია, ქვეყანაც მტკიცეა".**

**იმატა მრავალშვილიანმა ოჯახებმა: ცხაკაიას, ზუგდიდის, დმანისის, ლენტეხის, ხულოს, ქედისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.**

**მისასალმებელია ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელების მთელი რიგი ინიციატივა, მიმართული მრავალშვილიანი ოჯახებით ქვეყნის განმტკიცებისაკენ.**

## ამბავი შეხვედრისა დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დაცვის სამმართველოში ანუ საუბარი ამ სამმართველოს უფროსთან ე. ჯანელიძესთან

**დღეს ჩვენი სამმართველო ფაქტიურად განაგებს დედათა და ბავშვთა მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას მთელს რესპუბლიკაში. ერთი მიზანი გვამოქმედებს მხოლოდ: რაც შეიძლება ჯანსაღი იყოს დედაც და ბავშვიც. ამ მხრივ სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად დიდად იღვწის ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის კვლევითი ინსტიტუტი.**

**რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების პარტიული ხელმძღვანელების გონივრული და ჭეშმარიტად პარტიული მხარდაჭერით წყდება დემოგრაფიული პრობლემები გვეუბნება ე. ჯანელიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ გოგოლაშვილი

# ეს საოცარი „კოლხეთი“ და „დიოსკურია“

ამ ორიოდე წლის წინათ მოსკოვში ჩაის დეგუსტაცია მოეწყო. ავტორიტეტული ჟიურის სამსჯავროზე გამოტანილი იყო მეჩაიეობის კლასიკური ქვეყნების საუკეთესო პროდუქცია.

— უმაღლესი შეფასება — რვა ქულა!

ყველა მოუთმენლად ელოდა იმ პაკეტის გახსნას, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა ყველაზე საუკეთესო ჩაის სადაურობა. ჟიურის წევრთა უმრავლესობა წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ ყველაზე საუკეთესო ცეილონის ან ინდოეთის უნიკალური პროვინციის დარჯილინგის ჩაი იქნებოდა. მაგრამ ბევრის მნახველი ტიტესტერები შეცდნენ. პაკეტში ჩადებული ბარათი იუწყებოდა, რომ გამარჯვებული ჩაის სამშობლოა საქართველო, ჯიში კი — „კოლხეთი“.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩაის ამ ჯიშმა აალაპარაკა ქვეყანა. იგი 50-60 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე ჩაის ადგილობრივი პოპულაციები, სელექციურ ჯიშებსაც 25-30 პროცენტით უსწრებს მოსავლიანობით. მაგრამ მთავარი მაინც მისი ხარისხია. ძლიერი, მუქი შეფერილობით და ტანინების სიუხვით „კოლხეთი“ არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო ბაზრის ჩემპიონს დარჯილინგის ჩაის.

ერთი შეხედვით, საქართველოში თითქოს აღარც კი იყო საჭირო ჩაის ახალი ჯიშის შექმნა. აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილმა ჩაის სელექციურმა ჯიშებმა ყინვაგამძლეობით, მოსავლიანობით და საუკეთესო საგემოვნო თვისებებით მსოფლიო აღიარება ჰპოვა. მსოფლიოში მანამდე არცერთ მეცნიერს არ მიუღწევია ასეთი წარმატებისათვის. სელექციის გზით ჩაის ჯიშის გამოყვანის ფუძემდებელი ქსენია ბახტაძეა.

მაგრამ ცხოვრება წინ მიდის. გუშინდელი, ყველაზე საუკეთესო დღეს უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი ქართული ჩაის ჯიშების პროდუქციის სინაზე და სისპეტაკე ახლაც განუმეორებელია, მაგრამ დღეს მომხმარებელი ჩვენთანაც და უცხოეთშიც, ჩაის სხვა მოთხოვნებსაც უყენებს. მისი ნაყენი ძლიერი, მუქი შეფერილობისა და ტანინებით მდიდარი უნდა იყოს. ამაში კი „კოლხეთს“ თითქმის მეტოქე არ ჰყავს.

გარდა ამისა, „კოლხეთი“ ვეგეტაციას ადრე იწყებს, მისი ვეგეტაციის პერიოდი ხანგრძლივია, ფოთოლი თანაბრად შემოდის, დუყები მსხვილი, ნაზი და ერთგვაროვანი აქვს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელით და მანქანით კრეფისას.

„კოლხეთის“ ჯიშის გაშენება საქართველოში 1973 წლიდან დაიწყო. მაგრამ მის შექმნასა და შესწავლას 30-35 წელი დასჭირდა. 1939 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის მიხეილ კოლელიშვილის ყურადღება მიიპყრო ჩაქვის საცდელი სადგურის ჩაის პლანტაციის ერთმა ბუჩქმა. სწორედ ამ ბუჩქიდან აიღეს კლონი "257", რომელიც მეცნიერის ხანგრძლივი და შრომატევადი კვლევის საგანი გახდა. კლონი გამოირჩეოდა უხვი მოსავლიანობით, პროდუქცია კი — შესანიშნავი ხარისხით. 1946 წლიდან კლონის შემდგომ შესწავლასა და დარაიონებას ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტმა მოჰკიდა ხელი.

საქმეს ნიჭიერი მეცნიერი და სპეციალისტი ტატიანა მუტოვკინა ჩაუდგა სათავეში. ჯიშის შესწავლასა და სრულყოფას დიდი დრო და ჯაფა დასჭირდა. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ „კოლხეთი“ მხოლოდ ვეგეტატიურად მრავლდება. ე. ი. საჭირო იყო მისი ნერგების დიდი რაოდენობით დამზადება. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში შეიმუშავეს „კოლხეთის“ სარგავი მასალის გამოყვანის ტექნოლოგია. გაერთიანება ყოველწლიურად უკვე 9-10 მილიონ ცალ სტანდარტულ ნერგს აწვდის რესპუბლიკის მეურნეობებს. მომავალში ნერგის წარმოება 20 მილიონ ცალამდე გაიზრდება.

„კოლხეთს“ ჯერჯერობით 2000 ჰექტარამდე ფართობი უკავია, მაგრამ აჭარა-აფხაზეთსა და გურია-სამეგრელოს ზონაში დღეის შემდეგ ყველა პლანტაცია ამ ჯიშით გაშენდება, „კოლხეთით“ შეიცვლება ძველი, გადაბერებული პლანტაციებიც.

კარგ ჩაის კარგი ლიმონიც უხდება. არც აქ დარჩნენ ვალში ქართველი მეცნიერები. ის კი არა, შეიძლება თამამად ითქვას, პრობლემა, რომელიც მათ გადაწყვიტეს, ჯერ-ჯერობით არავის გადაუწყვეტია მსოფლიოში.

ლიმონს ორი დაუძინებელი მტერი ჰყავს — ყინვა და სოკოვანი დაავადება მალსეკო. ბევრი მეცნიერი იმტვრევდა თავს მათ დასამარცხებლად, მაგრამ ამაოდ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ სახელგანთქმული ამერიკელი მეცნიერი ლუთერ ბერბანკი. მისმა მიმდევრებმა ვებერმა და სვინგლომ თითქოს მიაღწიეს კიდეც წარმატებას, მათ მიერ გამოყვანილი ჯიში ყინვას კი უძლებდა, მაგრამ ნაყოფი არ იჭმეოდა.

ყინვისა და მალსეკოს გამძლე ლიმონის ჯიშის გამოყვანას ქართველმა მეცნიერებმაც შეჰბედეს. საქართველოში 1955 წლიდან 1980 წლამდე ყინვებისა და მალსეკოს მიზეზით ლიმონის ნარგავების ფართობი 48 ჰექტარიდან 0,93 ჰექტარამდე, ი. ი. 3870 ჰექტარით შემცირდა, ლიმონის წარმოება კი 40 ათასი ტონიდან 4,5 ათას ტონამდე დავიდა. ეს მაშინ, როცა ლიმონის მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ლიმონი ხომ უბრალო საკვები ან დელიკატესი არ არის. წარმოუდგენლად დიდია მისი სამკურნალო მნიშვნელობა. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი 1979 წელს მიღებული საკავშირო დადგენილება — 1990 წლისათვის საქართველოში ასიათას ტონამდე გაიზარდოს ლიმონის წარმოება.

ამ ასიათასტონამდე მიღწევა უბრალო კეთილსურვილად დარჩებოდა, ხელთ რომ არ გვქონდეს ლიმონის ახალი ჯიში „დიოსკურია". იგი ქართველმა მეცნიერებმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორებმა ფილიპე მამფორიამ, ნაპოლეონ ქარქაშაძემ და შოთა სურგულაძემ შექმნეს. ჯიში საკმაოდ ყინვაგამძლეა, და რაც მთავარია, ვერაფერს აკლებს მალსეკო. ეს მაშინ, როცა მთელს მსოფლიოში ჯერჯერობით არ არსებობს ამ მძვინვარე დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის რაიმე ეფექტური საშუალება.

„დიოსკურიის" ნაყოფი საუკეთესოა. მართალია, იგი ქართული ჯიშის ნაყოფზე, ცოტა უფრო მომცროა, მაგრამ ნაზი, არომატული, წვნიანი რბილობი აქვს.

საქართველოს სუბტროპიკებს მალე დაამშვენებს „კოლხეთი" და „დიოსკურია".



ხელვაჩაურის რაიონის მახვილაურის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეციტრუსე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი უუუუნა ხიმშიაშვილი.

ვ. მითაიშვილის ფოტო

„რა მოგვცა აბაშურმა გამოცდილებამ? მან უზრუნველყო ხელმძღვანელობის კიდევ უფრო მეტად მიახლოება წარმოებასთან, წარმოების ეფექტიანობის გადიდება, ძალებისა და სახსრების კონცენტრაცია, გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება, პრაქტიკაში მატერიალური და მორალური სტიმულირების უფრო სრულყოფილი სისტემის დანერგვა, მმართველობითი აპარატის თითქმის 20 პროცენტით გაიაფება. მისი სამეტაპოვანი შემცირების შედეგად, ზედმეტი რგოლების აღმოფხვრა და მრავალი სხვა რამ. მაგრამ მთავარია საბოლოო შედეგები. ისინი კი, როგორც მოგეხსენებათ, ფრიად შთამბეჭდავია“.

ედუარდ შევარდნაძე

დიანა ტყებუჩავა

# აბაშის ექსპერიმენტი

* * *

— ჩამოვიდა ახალი მდივანი გურამ მგელაძე აბაშაში და, რას ხედავს! — კაცი-შვილს მუშაობა არ უნდა, თავის ფეხით შემოიარა ივნისში ყანები. მუშაკაცის ჭაჭანება არსად იყო. რა გული ჰქონდა ასეთი, ფეხი რომ არ დაჰკრა და არ გაგვექცა, დღემდე მიკვირს!, — კეთილად ხუმრობს დროული გლეხი და გატაცებით ყვება პარტიის აბაშის რაიონული კომიტეტის მაშინდელი მდივნის, გურამ მგელაძის გამჭრიახობაზე, ალღოზე, საქმის ერთგულებაზე, ადამიანებთან მიდგომის უნარზე, — თითონაც ვერ მიხვდებოდი, ისე აგიყოლიებდა, გადაგიყვანდა თავის მხარეზე. ჰოდა, ა, ბიძიკო, შეხედე ახლა, როგორ გაიმართა რაიონი წელში, გამოცოცხლდა მშრომელი კაცი, ძალა ჩაუდგა მარჯვენაში, მზე — თვალსა და გულში!

აბაშის ცენტრს ვეღარ იცნობთ, ღამით უნდა ნახოთ, — ზღვისპირა პარკი გეგონებათ, ნამეტნავად ზაფხულში, ახალგაზრდობა რომ გამოეფინება მთელი დღის დაძაბული შრომის შემდეგ. სხვებზე ნაკლებად რატომ უნდა ეცვათ, სხვებზე უკეთ შრომობენო და, რაიკომმა, რაც საუკეთესო ჩასაცმელი იყო, მოწინავე მეცხოველეებს, მესიმინდეებს, მებოსტნეებს დაუნაწილა.

ფერმაში მომუშავე გოგონებს, იერით, სიტყვა-პასუხით ინტელიგენტისაგან ვერ გაარჩევთ. ახლა ქალაქისაკენ არავინ გარბის, შრომას არავინ ემალება.

მარტო ექსპერიმენტი — კომპლექსური მექანიზაცია და მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმები როდია აბაშელთა წარმატების სათავე. აქ რეალურ მატერიალურ საფუძველზე აღმოცენებული უზარმაზარი შრომითი ენთუზიაზმი გაჩნდა: თურმე გულგრილი არავინ ყოფილა, რაიონიც ბევრს ჰყვარებია და გარჯაც, ოღონდ ამას ყველაფერს სათანადო მობილიზება, გარკვეული წარმართვა სჭირდება.

გურამ მგელაძემ იცოდა, რომ ყველაზე დიდი გადახვევა სოციალიზმის პრინციპებიდან დაცარიელებული ბეღლებია. ისიც იცოდა, რომ სოციალურ სფეროში ექსპერიმენტი რისკს მოითხოვდა, და თუმცა იგი მწვერვალის გვერდით უფსკრულსაც გვახსენებს, განა ურისკოდ რიგიანი საქმე გაკეთებულა?

და აი, ამ აზრიანი რისკის მეტყველი შედეგი: 1980 წელი, აბაშისათვისაც უჩვეულოდ ჭირვეული ოქტომბერი. მთელი თვე კოკისპირული წვიმა. 5 000 ჰექტარი სამარცვლე სიმინდის ყანა, ჰექტარზე 60 ცენტნერი მოსავლის მოლოდინი და უამინდობა.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრები დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

მაგრამ კვლავ გაბედული გადაწყვეტილება. მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმა... არნახული ენთუზიაზმი, წელამდე წყალში და ტალახში შრომა, შრომა მონდომებული, უსაყვედუროო.

შედეგი:

21 ათასი ტონა სიმინდი სახელმწიფოს ბეღელში.

კმაყოფილი, მადლიერი გლეხი.

დოვლათით სავსე, წელღონიერი ოჯახები.

და წლების შემდეგ, ჩვენც ამ აბაშელთა ოჯახებს ვესტუმრეთ...

— როგორ დაეტყო თქვენს ოჯახს ექსპერიმენტის სიკეთე, — ვეკითხებით ნატალია დონდუას, სოფელ მარნის მკვიდრს.

— მარტო ჩემი ოჯახი კი არა, საერთოდ, დოვლათით აივსო ოჯახები, ნანა, საგრძნობლად იმატა შემოსავალმა. ახლა, შრომას თუ არ დაიზარებ, არაფერი მოგაკლდება.

უწინ, ექსპერიმენტამდე არ ყოფილა ისეთი წელიწადი, რომ სიმინდი არ გვეყიდოს ბაზარზე ცეცხლის ფასად, ჩვენი მოწეული სანახევროდ არ გვყოფნიდა.

ახლა, რაც ეს ექსპერიმენტი განხორციელდა, და უკვე გამოცდილებადაც იქცა ჩვენი რაიონისათვის, 20-30 ფუთი სიმინდი ყოველ წელიწადს მრჩება ზედმეტი და თუ დამჭირდა, თვითონ გავიტან ბაზარზე.

შარშანდელი წელიწადი ძალზე ცუდმოსავლიანი იყო, უამინდობამ შეგვაწუხა, მაგრამ საკმარისი სიმინდი მაინც აქვს ჩემს ოჯახსაც და მეზობლებსაც...

ნატალია დონდუა ოქტომბრის რევოლუციის კბილაა. 17 წლისამ აგროტექნიკოსის დიპლომით დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობაში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მარნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად, მარნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსად, ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. იყო პარტბიუროს მდივანი, მშრომელთა დეპუტატების მარნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. ამჟამად პენსიონერია, მაგრამ აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

2000 მეტრი საბოსტნე ფართობი აქვს გაპიროვნებული, რომელზეც კომბოსტოს, კიტრის და სხვა კულტურების უხვი მოსავალი მოჰყავს. კოოპერირების წესით ნახევარ ჰექტარ სიმინდის ფართობს იპიროვნებს, საშუალოდ 200 კგ ხორცსა და 50 კგ ყველს აბარებს სახელმწიფოს, ღორებს ზრდის, ძროხას უვლის...

* * *

— ექსპერიმენტის პირველ წლებშივე დამაფასეს — შრომითი დიდების ორი ორდენი მომცეს, პარტიის ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. ამას გარდა, თუ რაიმე მოვიდა რაიონში — დეფიციტური ავეჯი, ძვირფასი ხალიჩა თუ სხვა, ჩემს ოჯახზეც გაანაწილეს, და საერთოდ, შრომაში გამორჩეულს არც არავის დაწყვიტეს გული, — ყვება 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნე, ნაზი გრიგოლია.

კოოპერირების წესმა, ექსპერიმენტმა დოვლათით აგვივსო ოჯახები, დიდად კმაყოფილი ვართ. ოქროს ხანას რომ იტყვიან, სწორედ ის დაგვიდგა — ხელს თუ გაანძრევ, ცხოვრება გაგიჭირდება კი არა, მეფურად იცხოვრებ.

მე ძირითადად მებოსტნე ვარ, მაგრამ მარცვლეულის მოყვანაშიც არავის ჩამოვრჩები, უსიმინდოდ მეგრული ოჯახი არ ვარგა... 400 კგ ხორცი კოოპერირების წესით ჩავაბარე, 100 კგ კი ნორიოელთა ინიციატივის პასუხად მივყიდე სახელმწიფოს. ერთი ჰექტარი ფართობი მქონდა გაპიროვნებული სიმინდის საყანედ. შარ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შან 18 ტონა სიმინდი მოვიწიე, წლეულს – 15 ტონა. არ იყო მოსავლიანი წელიწადი, გაგვიჭირდა, რაც მივიღეთ, ისიც დიდი შრომით. გურამ მგელაძე რომ წავიდა ჩვენგან, ვფიქრობდი, აწი რაღას შევძლებ-მეთქი. მაშინ გადავწყვიტე უკეთ მემუშავა და ასეც მოვიქეცი, დამაფასეს, რაიკომის ბიუროს წევრად ამირჩიეს.

გურამ მგელაძის ღირსეული მემკვიდრეა ჩვენი ახალი მდივანი რევაზ ღვინჯილია. იგი ტრადიციებს არ ღალატობს: საქმიანი, გულისხმიერი კაცია, დინჯი და აუჩქარებელი.

* * *

მარნის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში 13 კომკავშირელი მუშაობს.

მათი საშუალო ასაკი 19 წელია.

ფერმაში მოწინავეთა შორის მეხბორეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა დაგვისახელეს. ნატო დონდუა, ია გეგუჩაძე, ნონა ნინუა სულ ახალგაზრდები არიან, მაგრამ კარგად შრომობენ.

გოგონები 12-15 დღის ხბოებს იბარებენ. თითოეულს 40 ხბო ჰყავს მოსავლელი, ნამატს 100 პროცენტით ინარჩუნებენ. პრემიების, მადლობების, სიგელების ჩამოთვლა არც მოხერხდება, იმდენი დაუგროვდათ მოკლე დროში.

– თავიდან გვიჭირდა, რა თქმა უნდა, – არ მალავენ გოგონები, – მაგრამ გვეხმარებოდა ფერმის მთელი კოლექტივი. ციალა დუნდუა, ჟენია ჯანელიძე, მედიკო დუნდუა, ნაზი გოგიშვილი, ქეთინო ნაჭყებია, ნონა დუნდუა, ლელა მიგინეიშვილი.

განსაკუთრებით ზაფხულში გაგვიჭირდა, „აბაშური“ წვიმების დროს, – ხბოები გარეთ გვყავდა, მინდორში ვმწყემსავდით. ციოდა, მთელი დღეები გადაუღებლად წვიმდა. ჩვენი ფერმის გამგე, ნუგზარ ნაჭყებია ძალიან გვეხმარებოდა, ჩვენთან ერთად ფიზიკურად შრომობდა.

– ბოლო დროს ბოჩოლებს პარაგრიპი შეეყარათ, მაგრამ ფერმის მმართველმა კარლო გრიგოლიამ ისეთი გამოცდილი ექიმები მოგვაშველა, რომ ყველა ხბო შევინარჩუნეთ.

– ჩვენს მოსვლამდე ცოტა არ იყოს, უჭირდა ფერმას, განსაკუთრებით მეხბორეები აკლდათ. ძნელია ხბოების შენარჩუნება, ფაქიზი მოვლა სჭირდება. ამიტომ ახალგაზრდები ნაკლებად მოდიოდნენ.

– ჩვენს შემდეგ კი იმდენი მსურველი გამოჩნდა, სკოლისდამთავრებულთაგან, რომ ფერმაში ადგილი აღარც კი არის – ერთმანეთს არ აცლიან გოგონები.

– მერე თქვენ რომ სტუდენტები გახდებით, ვის უტოვებთ ამ ნალოლიავებ ხბოებს?

– მსურველის მეტი რა არის! სხვები შეგვცვლიან, ჩვენ კი ვისწავლით და, ისევ აქ დავბრუნდებით, მაშინ უკვე მექანიზებული იქნება ყველაფერი!

...ლამაზ ფერებში ისახება განახლებული აბაშის მომავალი...



ნაზი გოგიშვილი



სოფლის მომავალი



ნატალია დონდუა

აბაშა





სოფელ მარნის მეცხოველეობის ფერმის მოწინავენი ია გეგუჩაძე და ნორა ნინუა



დ. იაკობაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გვჯერა, ყოველთვის გამარჯვებულს შეგხვდებით!

## ინტერვიუ ლიანა ისაკაძესთან

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრია, ლიხტენ-შტეინი, უნგრეთი, — ასეთი იყო საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის საგასტროლო მარშრუტი, რომელიც ახლახან დასრულდა.

„ქართული კამერული ორკესტრი შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენი დროის გამოჩენილ და საუკეთესო ორკესტრებს“ — წერდა მაინის ფრანკფურტის გაზეთი „ალგემაინი“.

„დიდებული ჰანგები საქართველოდან“ — ასეთი შეფასება მისცა ვენის ერთ-ერთმა გაზეთმა საქართველოდან ჩასულ კოლექტივის ხელოვნებას.

„საუცხოოა, რომ ლიანა ისაკაძე არ ბაძავს დირიჟორ მამაკაცებს, ამით მისი ხელოვნება უფრო შთამბეჭდავი და მომხიბვლელია“. აი, რამდენიმე ფრაგმენტი მრავალრიცხოვანი რეცენზიებიდან, რომელიც თან ახლდა საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის გამოსვლას საზღვარგარეთ.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, ჩვენ შევხვდით ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირიჟორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს ლიანა ისაკაძეს და ვესაუბრეთ.

კორესპონდენტი: ლიანა, ეს გასტროლები მაინც განსაკუთრებული იყო თქვენთვის და ღელვაც განსაკუთრებული, ალბათ, რადგან მთელი კოლექტივის სახელით გამოდიოდით მსმენელთა წინაშე.

ლ. ისაკაძე: — დიახ, ეს ორმაგი ღელვაც იყო და ორმაგი დატვირთვაც. იმიტომ, რომ ყველა კონცერტზე ვიოლინოზეც ვუკრავდი და ვდირიჟორობდი კიდეც. ორკესტრი, საერთოდ, შეუჩვეველია ასეთ ხანგრძლივ გასტროლებს, თანაც ევროპის შუაგულში. ჩვენ კონცერტები გვქონდა ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არის ბონი, მიუნჰენი, შტუდგარტი, ფრანკფურტი, ვენა, ზალცბურგი, ბუდაპეშტი. რასაკვირველია, ჩვენც კარგად ვიყავით მომზადებული, კონცერტებმა ისე ჩაიარეს, რომ მეტად ბედნიერი ვარ.

კორესპონდენტი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ახსენეთ, იქ როგორც შემოქმედს, ისე გაფასებენ და „ფრაუ ლიანას“ გიწოდებენ. ამ გასტროლების შემდეგ თუ გახდით მათთვის „მაესტრო ლიანა?“

ლ. ისაკაძე: — მე მგონი, „ფრაუც“ დარჩა და „მაესტროც“ მიემატა. მართალი გითხრათ, მეშინოდა კიდეც. ქალის დირიჟორობას ისინი ოდნავ სკეპტიკურად უყურებენ, მაგრამ ისეთი დიდი წარმატება გვხვდა! ეს წარმატება მე კი არა თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნოდა. კონცერტის შემდეგ ორკესტრს სცენიდან არ უშვებდნენ. მიუნჰენის ერთ-ერთ გაზეთში დაწერეს: „ჩვენი აზრით, იგი ძალიან კარგად უდირიჟორებს ბერლიოზისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს და, შეიძლება, ფრაუ ლიანამ, ერთ მშვენიერ დღეს ეს სიურპრიზიც მოგვართვას“.

კორესპონდენტი: ლიანა, ამ საგასტროლო მოგზაურობაში თან გახლდათ ძმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელდარ ისაკაძე...

ლ. ისაკაძე: — განსაკუთრებით მიხარია, რომ ელდარსაც დიდი წარმატება ხვდა. მან დაუკრა ჰაიდნის კონცერტი ვიოლონჩელოსა და ორკესტრისათვის. „ბისზეც“ დააკვრევინეს. ამას გარდა, იგი ყველა კონცერტში იღებდა მონაწილეობას, ჩვენ ერთად ვასრულებდით სულხან ნასიძის კონცერტს ვიოლინოსა, ჩელოსა და ორკესტრისათვის. ვხარობდი, რომ ნასიძის ამ ნაწარმოებს ყველგან კარგად ხვდებოდნენ და კარგი რეცენზიებიც ქვეყნდებოდა.

კორესპონდენტი: თქვენ ბრწყინვალე სმენა გაქვთ, ალბათ, მსმენელის ოვაციებშიც არჩევდით ნიუანსებს და მაინც რომელი ქვეყნის აპლოდისმენტები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად.

ლ. ისაკაძე: — ყველა ქვეყანაში თავისებური მსმენელია და, მიკვირს, ყველგან ერთნაირი რეაქცია რომ იყო. მიუნჰენში მთელი დარბაზი „ბრავოს“ ყვიროდა. ვენაში კი, დარბაზი წამოიშალა, სცენას მოაწყდა და ოვაციები გაგვიმართა.

კორესპონდენტი: ამ გასტროლების შემდეგ კვლავაც მიიღეთ ალბათ მოწვევა.

ლ. ისაკაძე: — ჩვენ კვლავ მიგვიწვიეს 1986 წლისათვის.

კორესპონდენტი: ლიანა, როგორია თქვენი უახლოესი საგასტროლო მარშრუტი?

ლ. ისაკაძე: — მივდივართ ლენინგრადსა და მოსკოვში, სადაც როსინის მესას დავუკრავთ. ამ ნაწარმოებს პირველად ლენინგრადში შევასრულებთ: იგი როსინის დაბადების დღეს მიეძღვნება. ივლისში ბიჭვინთაში ჩატარდება უკვე ტრადიციად ქცეული ფესტივალი: „ღამის სერენადები“, აგვისტოში მივემგზავრებით იუგოსლავიაში. სექტემბერში კი დასავლეთ ბერლინში. მიწვეული ვართ აგრეთვე ვილნიუსში, სადაც ფესტივალში მივიღებთ მონაწილეობას. გარდა ამისა, სოლო კონცერტებიც მექნება.

წლეულს, ჩვენს ორკესტრს, დაარსების 20 წელი უსრულდება და, ალბათ, ამ იუბილეს წლის ბოლოს ავღნიშნავთ. შემდეგ კი სკანდინავიის ქვეყნებში მოგვიწევს გამგზავრება.

კორესპონდენტი: მაესტრო ლიანა, ჩვენს საუბარს ასე დავამთავრებთ: მომავალ შეხვედრამდე! გვჯერა, რომ ყოველთვის გამარჯვებულს შეგხვდებით!

ინტერვიუ აიღო
მარინე შაოშვილმა.

# სსრ კავშირის სახალხო არტისტები



ცისანა ტატიშვილი



მედეა ამირანაშვილი



ნანი ბრეგვაძე



ლამარა ჭყონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალთა სპორტი ერთი თვალის გადავლებით

გივი გამრეკელი

# „მამაცია იაფეტის მოდგმა“



ნონა გაფრინდაშვილი



მაია ჩიბურდანიძე



საიდა გუნბა



ქეთევან ლოსაბერიძე

ალ. კოტორაშვილის ფოტო

ეს სიტყვები, როგორც ცნობილია, დიდ რომაელ პოეტ ჰორაციუსს ეკუთვნის. „იაფეტის მოდგმის ხალხის“ — ქართველების სიმამაცე, სხვა სფეროებთან ერთად, სპორტითაც ჩინებულად აისახა. ამ მიღწევებში დიდი, ძალიან დიდი როლი ქალებმა შეასრულეს.

1975 წელს ისეთი რამ მოხდა, რომელზეც ადრე ყველაზე თავგამოდებული გულშემატკივარიც კი ვერ იოცნებებდა. დიდ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში ერთმანეთს შეხვდა არა თუ ერთი რესპუბლიკისა და ქალაქის, არამედ როგორც მაშინ ხუმრობით ამბობდნენ, თბილისის ერთი რაიონის ორი წარმომადგენელი, ამასთან ერთი სახელოვანი მწვრთნელის, ვახტანგ ქარსელაძის ორი მოწაფე: ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. სპორტულმა პრესამ ამ მატჩს „უნიკალური“ (იმ დროისათვის!) უწოდა. ჩვენ კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა მაშინ ბიჭვინთასა და თბილისში, მთელ საქართველოში. ის ვინც ნანა ალექსანდრიას თანაუგრძნობდა, შემდეგში იმასაც ითვალისწინებდა, რომ იმ წლებში ნონა გაფრინდაშვილის ძლევა წარმოუდგენელი იყო.

და ის, რასაც 1975 წელს „უნიკალური“ ეწოდა, მომდევნო ხანებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. 1978 და 1981 წლებში მსოფლიოს პირველობას ერთმანეთს ისევ ქართველები ეცილებოდნენ: მართლაც უნიკალური ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, რომელნიც ჭადრაკის ქალმერთმა კაისამ ყველაფრით დააჯილდოვა, რაც კი გააჩნდა და „მუდმივად მეორე“ ნანა ალექსანდრიაც. გავიდა ცოტა ხანი და მათ დავაში მონაწილეობა მიიღეს დიდად ნიჭიერმა ახალგაზრდა დიდოსტატებმა ნანა იოსელიანმა და ნინო გურიელმა. ცნობილი იუგოსლაველი მოჭადრაკე ბორისლავ ივკოვი 1979 წელს ნანა იოსელიანზე წერდა: „იგი მსოფლიოს ჩემპიონად არის დაბადებული“. ვნახოთ!

მე ხანდახან ვოცნებობ ხოლმე ერთ ტურნირზე, რომელსაც შემდეგში „ვილაცა მოაწყობს“. მას საქართველოს ჩემპიონატი ერქმევა. მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, გამოჩენილი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ელენე ახმილოვსკაია, საუკეთესო ქართველი მოჭადრაკე თამარ ხუგაშვილი, ციცინო კახაბრიშვილი, მზია წერეთელი, დები ქეთევან და ნინო მელაშვილები, თამილა მესხი, ციალა ქასოშვილი, დიდად პერსპექტიული გოგონები ქეთინო არახამია, ჰენრიეტა ლაგვილავა, ქეთინო კახიანი...

ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი შ ი, გნებავთ სპორტული, გნებავთ მხატვრული. რამდენი სიხარული მოგვიტანა მან! გავიხსენოთ საკავშირო ჩემპიონატი, სადაც რუსუდან სიხარულიძემ სენსაციური გამარჯვება იზეიმა მსოფლიო ტანვარჯიშის ისეთ გიგანტებთან ჭიდილში, როგორებიც იყვნენ ტურიშჩევა, საადი, კიმი... თავისუფალი ვარჯიშის დიდი ოსტატი რუსუდან სიხარულიძე მსოფლიოს ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის არაერთგზის მფლო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნანა ალექსანდრია



ნანა იოსელიანი



ირინე გაბაშვილი



რუსუდან სიხარულიძე



ნინო დრონოვა

ბელი... ახლა რუსუდანი მწვრთნელია. მისგან „ახალ სიხარულიძეებს" ველით.

ნინო დრონოვა! ამ უნივერსალურმა ტანმოვარჯიშემ, მეტეორივით გაიელვა. ჩვენ გვახსოვს მისი ტრიუმფი მსოფლიოს ჩემპიონატში, ნინოს ოსტატობის არაჩვეულებრივი დამაჯერებელი დემონსტრაცია. ტრიუმფი სრული იყო, მაგრამ საწყენია, რომ იგი შედარებით ცოტა ხანს გაგრძელდა.

დიდებულ მწვრთნელ ნელი სალაძეს მრავალი ღირსება აქვს, ერთი რამ კი ნამდვილად შესაშური — სრულიად შეუდარებელი ინტუიცია. მასთან მრავალი გოგონა მიჰყავთ, რჩევას ჰკითხავენ ხოლმე სხვა სპეციალისტებსაც. და იქ, სადაც შეიძლება სხვამ ვერაფერი დაინახოს, ნელი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მარგალიტს აღმოაჩენს. სწორედ მან აღზარდა ირინე გაბაშვილი და ლალი დოლიძე! 1979 წელს ლონდონში სალაძის აღზრდილები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ „თვით ბულგარელებთა" ჭიდილში. „თვით" ვამბობთ იმიტომ, რომ როგორც გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, ბულგარელები იგივენი არიან მხატვრულ ტანვარჯიშში, რაც ბრაზილიელები ფეხბურთში! ახლა ირინე და ლალი პირველ ნაბიჯს დგამენ, როგორც მწვრთნელები. ხომ არ არიან ამ სპეციალობისათვის ძალიან ახალგაზრდები? — არა. რატომ? — ახალგაზრდობა ამ შემთხვევაში მხოლოდ საიმედო მოკავშირეა. ის ტემპერამენტი, რომელიც დიდებულად ერწყმოდა თავშეკავებას და შეუპოვრობას, სწორედ ჩინებულ მწვრთნელს გამოადგება. ირინე და ლალი ისევე, ოღონდ ახლა სხვა როლში, მხარში ამოუდგებიან ნელი სალაძეს.

რობინ ჰუდი რას იფიქრებდა, რომ ქალთა შორის მეტოქეები გამოუჩნდებოდა. როცა ქეთევან ლოსაბერიძეზე ვლაპარაკობთ, ევროპის ოთხგზის ჩემპიონობას ვიხსენებთ. ყველა სპორტსმენს აქვს თავისი მწვერვალი, ეს ქეთევანისთვის კი ნამდვილად მოსკოვის ოლიმპიადა იყო. აქ ლოსაბერიძე **სწორუპოვარი** გახლდათ. გვინდა გავიხსენოთ გამოჩენილი სპორტსმენის მეტად მამაცური და კეთილშობილური საქციელიც, როცა მან (დიდი ყოყმანის გარეშე!) გადაწყვეტილება მიიღო გამოხულიყო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, თავისი წვლილი შეეტანა გუნდის წარმატებებში.

იმავე სპარტაკიადაზე ყველამ ნახა, თუ ვინ იყო და რა იყო ხაიდა გუმბა.

ირინა გერასიმოვას სამი ოქროს მედალი მისი სპორტული თავდადების ღირსეული ჯილდო გახლავთ.

გადის წლები. სპორტულ ასპარეზზე ერთ სახელს მეორე ცვლის. უცვლელი რჩება მხოლოდ ერთი რამ — ქართველი ქალების დიდი სიყვარული სპორტისადმი, სიყვარული აქტიური, მგზნებარე, წარმატებების მომტანი. ეს უცვლელი გრძნობა კი ისევ უკვდავ ჰორაციუსს და მის სიტყვებს გვახსენებს: „მამაცია იაფეტის მოდგმა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ღვინეფაძე

# მცირე თეატრალური აფიშა

საქართველო მარტო თეატრალური ტრადიციებით კი არა, თეატრებითაც უმდიდრესი ქვეყანაა. ოცდათორმეტი სახელმწიფო თეატრი გვაქვს! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ქართველ კაცს უთეატროდ სიცოცხლე არ შეუძლია. ძველი, სახელგანთქმული თეატრების გვერდით გაჩნდა რამდენიმე ახალი კერაც. ერთი მათგანია ცნობილი რეჟისორის მ. თუმანიშვილის მიერ დაარსებული კინომსახიობის თეატრი, რომლის პირველი სპექტაკლები იყო „ესმერალდა“, „სისხლიანი ქორწილი“, „წამებაი დედოფლისა“. რესპუბლიკის ფარგლებს მიღმაც გახმაურდა მათი „დონ-ჟუანი“. ნ. ჭანკვეტაძის, დ. ხაჩიძის, ნიკოლიშვილის, ლ რეხვიაშვილის, რ. ბოლქვაძის, დ. ჯოჯუას, ნ. ბურდულის, ნ. ჩხეიძის, მ. ლორთქიფანიძის, მ. ითონიშვილის აქტიორული ბიოგრაფია ამ ჩინებული თეატრით იწყება.

თითქოს შემოქმედებითი შეჯიბრება გაიმართა ორ თეატრს შორისო — ორივეგან დღეგრძელი გამოდგა ლ. თაბუკაშვილის დრამა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“. რუსთავის სცენაზე ეკა ქუთათელაძემ, კინომსახიობის თეატრში — ნინელი ჭანკვეტაძემ განასახიერეს თავიანთი თანატოლის, სპეტაკი ქალიშვილის ნინოს როლი. ორივე იმდენად გულმართალი და ემოციური იყო, იმდენად მიმზიდველი, რომ ამ სპექტაკლებს მაყურებელი არ შემოკლებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას განსაკუთრებით აღელვებს თანამედროვის ბედი და სახე.

წარმოსახვით გავადევნოთ თვალი აფიშას და ვნახოთ, რა ადგილი დაიჭირა დედაქალაქის თუ რესპუბლიკის თეატრებში თანამედროვე დრამატურგიამ, რით გაგვახარეს ჩვენმა სახელოვანმა თუ ახალგაზრდა მსახიობმა ქალებმა.

სეზონის საუკეთესო როლად ცნეს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში ალ. ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე“ ზ. კვერენჩხილაძის — საბავშვო ბაღის მასწავლებელი. ემილი დიკინსონის დრამატული, მაქმანივით სალუქი სახის გვერდით, ფარული იუმორით შესრულებულმა ქალბატონ ქეთევანის ეპიზოდურმა როლმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა მსახიობის ტალანტის მრავალმხრივობაში.

სიახლე იყო იამზეს როლი ნ. ფაჩუაშვილის ამპლუისათვის. მსახიობმა გროტესკის მძაფრი გრძნობა გამოამჟღავნა თ. მეტრეველის კომედიაში — „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“.

დიდი წარმატება მოუტანა ანოს რთულმა ფსიქოლოგიურმა როლმა თ. დოლიძეს თ. ჭილაძის დრამაში — „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. ეს პიესა რესპუბლიკის რამდენიმე თეატრში დაიდგა, მათ შორის ბათუმშიც, სადაც ც. აბზიანიძემ ანოს საინტერესო სცენური სახე შექმნა.

ფრიად ნაყოფიერი გამოდგა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასისათვის როსებას შემოქმედება. რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ და ლალი როსებამ მალე გამონახეს საერთო ენა, რაც საფუძვლად დაედო ჯერ „პრემიერისა“ და შემდგომ „პროვინციული ამბვის“ გამარჯვებას. ე. ყიფშიძის მარგო სეზონის საუკეთესო როლად აღიარეს (1979-80 წ.), ნ. ჩიქვინიძის კატო მსახიობის ბოლო წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო სახეა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „პროვინციულ ამბავს“, — ყოველწლიური პრემიით აღინიშნა თვით ლ. როსებას პიესა, მ. კუჭუხიძის რეჟისორული ხელოვნება, გ. გაბუნიას ნინო.

მ. კუჭუხიძისა და ლ. როსებას შემოქმედებითი თანამშრომლობა გაგრძელდა ლ. ტოლსტოის „ანა კარენინაზე“ მუშაობისას, რომლის ინსცენირებაშიც მკაფიოდ გამოიკვეთა მათი თანამოაზრეობა. სოფიკო ჭიაურელი პირველი ანა კარენინაა ქართულ სცენაზე. მან რამდენადმე გადმოაქართულა კიდეც ანას ტრაგიკული სახე.

მარჯანიშვილთა აფიშაზე კვლავ გამოჩნდა ნ. დუმბაძის ნაწარმოები — ამჯერად „მარადისობის კანონი“ (დადგმა გ. თოდაძისა); მაყურებელს ღრმად ჩაებეჭდა მეხსიერებაში მ. ბიბილეიშვილის მარიამი, ქ. კიკნაძის მარგო, ნ. კობერიძის ანიკო, ნ. გოდერძიშვილის ოლია, ხ. ხობუას თამარი, ნ. მამალაძის ჟენია, ე. ყიფშიძის ნანა სანებლიძე. მარგოს როლშივე წარმატება ხვდა ახალგაზრდა მსახიობს მ. შელეგიას.

აქვე უნდა გავიხსენოთ ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“ და ლ. თაბუკაშვილის „ძველი ვალსი“. „შთამომავლობაში“ ფატი გურიელის როლი ახლობელი აღმოჩნდა ჩვენი სასიქადულო მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძისათვის — მოქალაქეობრივი პათოსით, სულიერი სიჯანსაღით. ლ. თაბუკაშვილის „ძველ ვალსში“ მეასედაც ისეთივე მართალი, ლირიკული და მომხიბვლელი იყო მედეა ჯაფარიძე, როგორც პრემიერაზე, როცა პირველად ვეზიარეთ მისი ნინოს სულიერ განცდებს.

მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ახლახანს დადგმული „ჯაყოს ხიზნები“ — მ. ჯავახიშვილის რომანის თ. ჩხეიძის ახლებური ვარიანტი. მოულოდნელი იყო მარგოს როლში ნ. ჩიქვინიძის გამოჩენა, მაგრამ მსახიობი მეტად თავისებური, თავშეკავებული, ღრმად დრამატული გახლდათ.

ბევრჯერ გვასახელეს შინ და გარეთ „მერეხელებმა“. ამ ახალგაზრდული სტუდიის გუმბათქვეშ საინტერესო სცენური ცხოვრება რომ დუღს, ნიჭიერი შემოქმედი ქალების თ. დათუაშვილის, რ. ქვლივიძის, გ. პატარიძის, ლ. ალიმბარაშვილის, ა. ნარიმანიძის ხელოვნების მადლიც არის. აქვე გადადგა პირველი ნაბიჯები რეჟისურაში გ. სიხარულიძემ. თეატრი ძირითადად თანამედროვე დრამატურგიას ეყრდნობა.

მდიდარი თეატრალური ტრადიციები მოსდგამს ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრს. კვლავ გამოანათა არბუზოვის „ძველმოდურ კომედიაში“ ნ. ბურმისტროვას ტალანტმა (ლიდია ვასილევნა), ნ. კილოსანიძემ ზეინაბით („ღალატი“) დაავგვირგვინა წლევანდელი სეზონი.

ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრში ს. შეკოიანმა ქართველი ქალის დასახსომებელი სახე შექმნა მ. ბარათაშვილის დრამაში („ფიქრები სიყვარულზე“).

პირველი რესპუბლიკური თეატრალური ფესტივალის ლაურეატი გახდა ქუთაისის თეატრის მსახიობი ე. ხუტუნაშვილი (ლიდია ვასილევნა). ამ ნიჭიერმა მსახიობმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა აგრეთვე ზეინაბის („ღალატი“) და ხათუნას („ზარები გრიგალში“) როლებით. თითქოს ახალი ხანა დაიწყო თელავის თეატრისათვის რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმებით“. მასში ანანოს შთამბეჭდავი სახე შექმნა ო. შუბითიძემ.

ჩვეული ენთუზიაზმით ილვწიან მესხეთის თეატრში. მთავარ რეჟისორს ნ. დემეტრაშვილს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. ქალთაგან, — დღიდან თეატრის დაარსებისა, — მას მხარში უდგანან ლ. სულუაშვილი, გ. ხვიჩია, ლ. თევზაძე.

ნიჭიერი მსახიობი ქალები შეემატა ქუთაისის, სოხუმის, ცხინვალის თეატრებს. მ. სამანიშვილი, ლ. პაპუაშვილი, თ. მილდიანი, ზ. დვალიშვილი, ლ. წიკლაური, ლ. გურიევა, ც. ბიჩენოვა. საინტერესო ახალგაზრდა რეჟისორი მოვიდა გორის თეატრში ქ. ხარშილაძის სახით.

დავუბრუნდეთ ისევ დედაქალაქს, მის უახლეს უბანს — გლდანს და ახალ თეატრს, რომლის დასმაც მიზნად დაისახა განაგრძოს ქართული თეატრის პოეტური, გმირულ-რომანტიკული გეზი. ამ თეატრთან ერთად იწყება ნ. ბადალაშვილის, ი. გაბუევას, მ. ტალიაშვილის, მ. ხარჩილავას თეატრალური ბიოგრაფია. მათ გვერდით არის უკვე გამოცდილი მსახიობი ვ. პაქსაშვილი, რომელსაც ამ გაზაფხულზე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით უახლოესი წლების თეატრალური ცხოვრების სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზინა კვერენჩხილაძე



რეჟისორი მედეა კუჭუხიძე



ნანი ჩიქვინიძე — „ჭაყოს ხიზნები“ — მარგო



გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნატალია ბურმისტროვა. ა. გორკი. „მოაგარაკენი“ — მარია ლვოვნა.



ვიოლეტა კაქსაშვილი — „მარია ტიუდორი“ — მარია ტიუდორი



შაუმიანის სახელობის სომხური თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სერიკ შეკოიანი. სუნდუკიანი — „დანგრეული კერა“. ნატო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუბილარი ჟურნალის თანამშრომლები



მარიკა ბარათაშვილი
რედაქტორი



ეთერ ჯაფარიძე
პასუხისმგებელი მდივანი



ნანული ცაგარეიშვილი
კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგე



ცინარა ტერელაძე
მხატვრული რედაქტორი



ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

ეთერ ჯაფარიძე

# ასე იქმნება ჟურნალი „საქართველოს

რედაქციაში ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ახალ ნომერზე მუშაობენ. მზადდება წერილები, ნარკვევები, მოთხრობები, ფოტოსურათები, მაგრამ ჟურნალი ვიდრე დასრულებულ სახეს მიიღებდეს, ამ მასალებს გრძელი გზა აქვს სავალი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ვრცელი საამწყობო საამქრო. მაგიდაზე გაზეთების, ჟურნალების ახალი ნომრის მასალები აწყვია და საამქროს უფროსი თამარ პოპიაშვილი, უბნის ოსტატი დარეჯან რაშოევა ლინოტიპისტებს დღის განრიგს აცნობს, სამუშაოს უნაწილებს. საამქროში ლინოტიპის მანქანები ჩარიგებულა.

ლინოტიპისტი ლეილა ხუბაშვილი მასალებს მაღალკვალიფიციურად, უშეცდომოდ აწყობს. იგი 17 წლისა მოვიდა წარმოებაში. პირველი ნაბიჯების სირთულეები იოლად დაძლია და, როგორც პოლიგრაფიის საიმედო ძალამ, იმთავითვე მიიპყრო ყურადღება.

ლითონის ფირფიტებზე ელვისებურად დაცურავს ლეილას თითები, ჟურნალის მორიგი ნომრის მასალებს ჩასჭიდებია, წერილების სტრიქონებს ლითონის სტრიქონებად აქცევს და შემდეგ იქვე მწყობრ სვეტებად ალაგებს.

რუსუდან გურგენაშვილს 16 წლისას დედა გარდაეცვალა. მამის ანაბარა დარჩნენ უმწეო ბავშვები. სპეციალობა უნდა მიეღოო, გადაწყვიტა გონიერმა გოგონამ და პოლიგრაფიის პროფტექნიკურ სასწავლებელს მიაშურა. ეს იყო 1952 წელი. საწარმოო პრაქტიკაზე „კომუნისტის“ გამომცემლობის სტამბაში გაგზავნეს. დირექტორმა შალვა წივწივაძემ ქალიშვილი გულთბილად მიიღო. პრაქტიკა რუსუდანისათვის პროფესიის ნათლობა გახდა — ერთ თვეში ასოთამწყობობა ისე აითვისა, ყველანი გააოცა. პირველი გამომუშავება 129 მანეთი — წარმოუდგენელი სიმაღლე იყო ახალბედა გოგონასათვის და იგი წარმოებაში ასოთამწყობად მიიღეს. მიიღეს და საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. იმთავითვე მოიხვეჭა სახელი. მალე ჟურნალის გვერდების შეკვრაც — დაკაბადონება ისწავლა და მას შემდეგ „საქართველოს ქალს“, „პიონერს“, „დილას“ აკაბადონებს.

კომუნისტი რუსუდან გურგენაშვილი ამჟამად სახელგანთქმული პოლიგრაფისტია, კულტურის დამსახურებული მუშაკი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის ორგზის მფლობელი, ვინ დათვლის სამკერდე ნიშნებს, სიგელებს, დიპლომებს, რაც მას დღემდე ჯილდოდ მიუღია.

რუსუდანმა ჟურნალის ახალი ნომრის მაკეტი მიიღო. გადაიკითხა, თვალი გადაავლო რედაქციიდან მიღებული მასალების თანმიმდევრობას, შრიფტებს, სათაურებს. დადგა სამუშაო დაზგასთან და დაკაბადონება დაიწყო, ცარიელ რკინის ჩარჩოში მაკეტის მიხედვით წერილები ჩასვა, სათაურები გაუკეთა, გამყოფები თავის ადგილას მოათავსა. დამკაბადონებლის დალოცვილმა ხელმა გულმოდგინედ შეკრა ლითონის გვერდები.

ძალზე რთულია დამკაბადონებლის პროფესია. ერთი „გაფრენილი“ სტრიქონი და... შემდეგ თავი უნდა იმტვრიო, სად გაუჩინარდა იგი. „ხიფათი“ ბევრია, ეს კარგად იცის რუსუდანმა და ამიტომ ფრთხილობს.

ჟურნალის ნომერი რომ უშეცდომო იყოს, გამოცდილი პოლიგრაფისტი გრიგოლ პავლიაშვილი სტრიქონებს გულისყურით ასწორებს.

უშეცდომო გვერდები ცელოფანზე გადააქვთ. აქ საცდელ ანაბეჭდებს ლადო ზალიაშვილი საბეჭდი ფორმისათვის იღებს. ჟურ-



ნაზი კილასონია
ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე



ლია კაკაბაძე
მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე



ირმა ჩოფიკაშვილი
მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე



გ. ყალაბეგაშვილი, კ. სილაგაძე, დ. პაიკინი, ც. ხუტაშვილი, ა. ხუგაშვილი



ი. კოპიაშვილი, რ. გურგენაშვილი, ლ. ხუბაშვილი,



ოლია რევია
რედაქციის გამგე



დავით იაკობაშვილი
ფოტოკორესპონდენტი



რუსუდან ხაბურზანია
საქმეთა მმართველი-მემანქანე

ჯ. ედიგარაშვილის ფოტოები

# ქალი“

ნალს კი ოფსეტური ბეჭდვის საამქროს სამონტაჟო უბანში მზია ლობჟანიძე და მისი აღზრდილი მაყვალა ბარჯაძე ამონტაჟებენ. ოფსეტური ბეჭდვის შავ-თეთრ ფოტოილუსტრაციებს ჯ. ედიგარაშვილი თავს დასტრიალებს.

ჟურნალის გარეკანისა და ჩანართის ფერადი ილუსტრაციის საბეჭდ თაბახებს „კლიშოგრაფიის“ განყოფილების ოპერატორი ბენო პაპიაშვილი ვარიოკლიშოგრაფის მანქანაზე გულმოდგინედ ამზადებს.

ცინკოგრაფიის საამქროში (უფროსი ვ. კაჩმაზოვი) ფერადი და შავ-თეთრი ფოტოილუსტრაციებისათვის კლიშეებს აკეთებენ. საამქროს ოსტატი ვ. ქვათაძე, ჯ. თოთლაძის, რ. სოგომონოვის, ო. გიორგაძის შესრულებულ სამუშაოს ამოწმებს. ა. სხირტლაძე, შ. ვეშაგური დიდი მონდომებით მუშაობენ შავ-თეთრ ფოტომასალაზე.

ჟურნალის გარეკანები, ჩანართი მაღალი ბეჭდვის საამქროში საბეჭდად მზადდება. აქ მზადა აქვთ მანქანა-დანადგარი. საამქროს უფროსი ვ. რამიშვილი გამოცდილ მბეჭდავებს გ. ყალაბეგაშვილსა და დ. პაიკინს მითითებას აძლევს, ბეჭდვის ხარისხს ამოწმებს, გარეკანი ხასხასა, მკვეთრი ფერისა ჩამოდის მანქანიდან.



ა. ქოქრაშვილი, ვ. რამიშვილი, მ. დონაძე, ვ. კაჩმაზოვი, ვ. ბალიაშვილი

ოფსეტური ბეჭდვის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა შ. დალაქიშვილის მეთაურობით ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს. ბრიგადამ კარგად იცის, რომ ნაბეჭდი სუფთა და მკაფიო უნდა იყოს.

ჟურნალის ფურცლები სალებავით იფარება. მანქანა ხმაურობს, კრიალა ქაღალდზე ჩნდება ანაბეჭდი. ჩამოდის სალებავშეუმშრალი „საქართველოს ქალის“ მზა გვერდები. ეს ანაბეჭდებია, შემდეგ თაბახებად რომ იქცევა.

იწყება ჟურნალის აკინძვა, შეკერვა. ამ საქმეს საამკინძაო საამქროს უფროსი მერაბ დონაძე თავკაცობს. სამუშაო პროცესებს საკერავი აგრეგატის ბრიგადირი გაიოზ ცხვარაძე ადევნებს თვალს.

ჟურნალი საბოლოო სახეს იღებს, სტამბას ტოვებს და მორიგი ნომერი 140-ათასიანი ტირაჟით მთელ რესპუბლიკას ეფინება.

...და კვლავ ყველაფერი თავიდან იწყება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რეჟისორი ლანა ღოღობერიძე

ბონდო გაგნიძე

# ქართველი კინოხელოვანი ქალები



სოფიკო ჭიაურელი



რეჟისორი ლიანა ელიავა



რეჟისორი ნანა ჯორჯაძე

„ჩემი ერთ-ერთი ფილმის „გასინჯვის“ შემდეგ ერთმა ჩემმა ამხანაგმა კინორეჟისორმა მითხრა: ეს არის შენი პირველი ნამდვილი მამაკაცური ფილმიო. ამით მას უნდოდა ეთქვა, რომ ეს არის ყოველი ხელოვანის უმაღლესი მიზანი: შექმნას მამაკაცური ფილმი, მამაკაცური ლექსი და ა. შ. გუნებაში გამეღიმა მამაკაცების ამ უსაზღვრო თვითდაჯერებაზე (მართლაც, ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ რაიმე საპირისპირო — ქალმა მამაკაცს საქებრად უთხრას: შენ ნამდვილად ქალური ფილმი გააკეთეო?!)

და აი, ახლა, არა საკამათოდ იმ კინორეჟისორთან, ან, საერთოდ, კაცობრიობის მამაკაცურ ნახევართან (რადგანაც წლები მიდის და თანდათან ქრება სურვილი კამათისა და რჩება მხოლოდ მოვლენათა არსში წვდომისაკენ სწრაფვა), გადავიღე ჩემი პირველი, ნამდვილად ქალური ფილმი და თუ მას მაყურებელი ასეთად აღიქვამს, მე მხოლოდ მადლიერი ვიქნები მისი“. — ეს სიტყვები ცნობილმა ქართველმა კთნორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ განაცხადა ფილმზე „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ ეკრანებზე გამოსვლის წინ. ჩვენც შემთხვევით არ გაგვიხსენებია ეს სიტყვები, რადგან სწორედ ამ დიდი შემოქმედის აღნიშნულმა ეკრანულმა ტილომ მოუტანა დიდი სახელი ქართველ კინემატოგრაფისტებს. ჯერ იყო და — უმაღლესი ჯილდო საკავშირო კინოფესტივალზე, შემდეგ სან-რემოს საერთაშორისო კინოფესტივალის „გრან-პრი“ და, რაც ყველაზე საამაყო აქვს ქართულ კინოს: სწორედ ამ ფილმისათვის მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის საპატიო წოდებები სცენარის ავტორს ზაირა არსენიშვილს, დამდგმელ რეჟისორს ლანა ღოღობერიძეს და მთავარი როლის შემსრულებელს სოფიკო ჭიაურელს.

ამ ათიოდე წლის წინათ კი, ჯერ არნახული ფურორი მოახდინა ნანა მჭედლიძემ ფილმით „პირველი მერცხალი“. ამ „მამაკაცურმა“ ფილმმა იმდენი პრიზი და პრემია მოიპოვა საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე, რომ უბრალოდ მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. „პირველი მერცხალი“ კი ჭეშმარიტად პირველი მერცხალი იყო ქართული კინოს უკანასკნელი ათწლეულისა, რომელიც ახალ, მკაფიოდ გამორჩეულ, შემოქმედებითი ძიებებითა და წარმატებებით აღსავსე ეტაპად შევიდა არა მარტო ქართულ, არამედ მთელი საბჭოთა კინოს ისტორიაში.

ჩვენმა სასიქადულო კინორეჟისორმა ქალებმა კარგა ხანია ჭეშმარიტად დაგვიმტკიცეს, რომ კინო მარტოოდენ „მამაკაცური ხელოვნება“ არ არის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არცერთ კინოსტუდიას იმდენი ქალი-რეჟისორი არა ჰყავს, როგორც ჩვენს „ქართულ ფილმს“.

70-იანი წლები ქართული კინოს განახლების, აღმავლობის, ძლიერების წლებია. ამ პერიოდში შექმნილ ფილმებში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ეკრანზე მთავარმა გმირმა — ჩვენმა თანამედროვემ, მისმა სულიერმა და ყოფითმა ცხოვრებამ, მისი ადგილის ძიებამ თანადროულობით დატვირთულ რთულ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ჩვენმა სახელოვანმა კინორეჟისორმა ქალებმა ოცდაოთხი ფილმი გადაიღეს. ეს საკმაოდ დიდი რიცხვია თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ყოველწლიურად ცხრა მხატვრულ ფილმს უშვებს. ეკრანული ტილოების ამ მრავალფეროვან გალერეაში წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის, თემატიკის ფილმები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კინორეჟისორ ლიანა ელიავას „სინემა“ და „გზის დასაწყისი“, ლანა ღოღობერიძის მშვენიერი მიუზიკლი „აურზაური სალხინეთში“ და ფსიქოლოგიური დრამა ერთი ქალის მთელი ცხოვრებიდან — „დღეს ღამე უთენებია“ (აქაც სცენარის ავტორი ზაირა არსენიშვილია), ნელი ნენოვას პოეტური კინონოველა „პეპელა“, საბავშვო მუსიკალური — „მოვდივართ და მოვიმღერით“, მხიარული კომედიები „ქორწინება იმერულად“ და „ყოჩაღად პაპებო“. ნანა მჭედლიძის საკუთარი სცენარით და მთავარი როლის შესრულებით მეტად კოლორიტული ფილმი „იმერული ესკიზები“, სატირულ სიუჟეტებზე აგებული მრავალი მიკრონოველისაგან აკინძული „გასეირნება თბილისში“ და საბავშვო ფილმი ზღაპარი „უკვდავების თეთრი ვარდი“, ლეილა გორდელაძის მიერ კლასიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია „ბათა ქექია“. განვლილი პერიოდი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ შედგა ბევრი მრავალმხრივ საინტერესო კინოდებიუტი. ახალგაზრდულ შემოქმედებით გაერთიანება „დებიუტში“ თავიანთი პირველი ნაბიჯები გადადგეს ახალბედა რეჟისორებმა: ნანა ჯორჯაძემ („მოგზაურობა სოპოტში“, „მომეხმარეთ იალბუზზე ასვლაში“), ალინა აბაშმაძემ („ქართლოსიანთა საკურთხეველი“), მარინა ხონელიძემ („სერაფიტა“), ნანა დვალიშვილმა („ანდერძი“).

„დებიუტანტის“ როლში მოგვევლინა ქართული კინოს პოპულარული ვარსკვლავი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლეილა აბაშიძე ფილმით „პარიზი-თბილისი-პარიზი“, რომლის სცენარიც თავად დაწერა (ლ. ჭელიძესთან ერთად) და თავადვე განასახიერა მთავარი როლი.

საინტერესო აღმოჩნდა ქართული კინოს კორიფეს სიკო დოლიძის შემოქმედებითი ტრადიციების განმგრძობის, ქეთი დოლიძის მოსვლაც მხატვრულ კინემატოგრაფიაში. მან ღვაწლმოსილ მამასთან ერთად გადაიტანა ეკრანზე ნოდარ დუმბაძის გახმაურებული მოთხრობა „კუკარაჩა“ და წარმატებაც მოიპოვა ლენინგრადში გამართულ საკავშირო კინოფესტივალზე. ამჟერად ქეთი დოლიძე ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა დრამატურგის ლაშა თაბუკაშვილის პიესის „ძველი ვალსის“ ეკრანიზაციაზე, სადაც თავისი განუმეორებელი კდემამოსილებით, აქტიორული სინატიფით კვლავაც გაგვახარებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე.

ქართულ ეკრანზე ამობრწყინდნენ აქტიორული სკოლის ახალი ვარსკვლავები. 1974 წელს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა კინომსახიობთა თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. თუმანიშვილი). სწორედ ამ თეატრის სცენიდან მოვიდნენ კინოში ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები ნინელი ჭანკვეტაძე („დები წყვდიადში“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „კუკარაჩა“) და ლაურა რეხვიაშვილი („სიყვარული ყველას უნდა“, „ბაკურხეველი ხევსური“), მზია არაბული („წინაპართა მიწა“, „ბერუა“, „სიბრძნის ანბანი“, „სურამის ციხე“) და დარეჯან ხაჩიძე („სიყვარული ყველას უნდა“), მანანა სურმავა („დები წყვდიადში“, „სასტუმროს დიასახლისი“) და სხვანი. თავის საუკეთესო ეკრანულ სახეს ასახიერებს ახალგაზრდა მსახიობი ლიკა ქავჟარაძე რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმში „ნატვრის ხე“.

ქართულ კინოს ბევრი აქვს საამაყო. ჩვენი ფილმები აღიარებული და პოპულარულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ამ აღიარებაში კი დიდი წვლილი მიუძღვით „მამაკაცური ხელოვნების“ მსახურ ჩვენს სახელმოხვეჭილ მანდილოსან კინემატოგრაფისტებსაც.


მედეა ჯაფარიძე


რეჟისორი ნანა მჭედლიძე


რეჟისორი ქეთი დოლიძე


ნინელი ჭანკვეტაძე


ლიკა ქავჟარაძე


დარეჯან ხარშილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩარიტა მამისეიშვილი

# მილიონთა ყოველდღიური პრობლემები

მილიონთა ყოველდღიური პრობლემების მოგვარების წინა ხაზზე მტკიცედ დგას ვაჭრობის მუშაკთა მრავალათასიანი არმია, რომელსაც საუკეთესო პირობები აქვს სრულად დააკმაყოფილოს თითოეულის მოთხოვნა, აგრძნობინოს რომ მათი ოჯახების კეთილდღეობაზე ზრუნავს პარტია და მთავრობა.

მომსახურების პროგრესულ რელსებზე გადასვლა წარმოუდგენელია შესაფერისი, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე და ამიტომაც პირველი, რითაც ამ დარგის აღმავლობა და განვითარება დაიწყო ჩვენს რესპუბლიკაში, ეს იყო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი თვითმომსახურების უნიკალური მაღაზიების მშენებლობა. დღეს ვერ იპოვით ისეთ რაიონს, სადაც მსგავსი ობიექტები არ ფუნქციონირებდეს. ჩვენი დღეების ყველა სიკეთით თანაბრად სარგებლობს თბილისელი და გორელი, დუშელი და სოხუმელი, ფოთელი და ამბროლაურელი, სიღნაღელი და ონელი, ცხაკაიელი და აბაშელი... ვეებერთელა სავაჭრო დარბაზებში საჭირო და აუცილებელი სურსათი, ნივთი თუ ჩასაცმელ-დასახური თვალსაჩინოდ და ხელმისაწვდომად არის გამოფენილი, აქ ადამიანებს ჩუქნიან ყველაზე ძვირფასს — დროს და ამაღლებულ სასიამოვნო გუნება-განწყობილებას.

რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში ტონის მიმცემი მუდამ იყო და დარჩება მისი დედაქალაქი თბილისი, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში კარგ ტრადიციად დაექვება სიახლეთა პანორამის მრავალფეროვნება. ამ თვალისმომჭრელ კალეიდოსკოპში ხაგანგებო ინტერესით, კეთილი სურვილებით იკითხება ნაირფერი რეკლამებით გაჩახჩახებული ახალი უნივერმაღები, მაღაზიები, რესტორნები, კაფეები... აბა აღტაცების, სიამაყის კმაყოფილების შეუგრძნობლად შეიძლება, თუნდაც უბრალოდ ჩამოთვალო ის, რაც ბოლო ათწლეულში შეემატა რესპუბლიკის დედაქალაქს? — მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

უნივერმაღი „თბილისი", რომელიც ერთგვარი საზომი და ბარომეტრია იმისა, თუ რას მოითხოვენ ჩვენი თანამედროვეები, როგორი უნდა იყოს მძლავრი სავაჭრო ცენტრი; რესტორანი „მუხრანთუბანი", ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე XIX საუკუნის თბილისს რომ შეგახვედრებს, თბილისელი კაცის ოდითგანვე ნაქებ სტუმართმოყვარეობას რომ განგაცდევინებს და ძველი ქალაქური ჰანგებითაც დაგატკბობს; განახლებულ თბილისში დაიდო ბინა ლაღიძის საქვეყნოდ ცნობილი წყლების მაღაზიამ, „აღმოსავლურმა ტკბილეულმა", რესტორანმა „ქალაქურმა", ლუდის ბარმა „ალანმა", საიუველირო მაღაზიამ, სახინკლემ, ყავახანა „ნარიყალამ", რეკონსტრუირებულ უბნებში შიშხინებს მწვადი, იკერება ეროვნული ტანსაცმელი, იყიდება ქართული სამკაული, მზადდება ერთ დროს მივიწყებული კერძები... ერთმანეთს შერწყმია ძველი და ახალი, ტრიალებს განუმეორებელი არომატი, აქ მხოლოდ ეგზოტიკის მოყვარულები როდი მოდიან, თბილისელები გულღიად ეპატიჟებიან სტუმრებს, რომ სიამაყით უჩვენონ როგორ მძლავრობს „სიძველისადმი გრძნობა პატივი"... რა მოგვიტანა გარდასულისადმი მოწიწებამ, გაფრთხილებამ და ეს ახალი უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზიებიც გლდანში და ვაზისუბანში, ნუცუბიძის პლატოზე და ვარკეთილში, თემქის დასახლებასა და დიღომში ადამიანების კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ზრუნვის ნაყოფია.

ჩვენი დედაქალაქის ჟამთაალმწერელი აუცილებლად აღნუსხავს, რომ შარშან თბილისს, სხვა მნიშვნელოვან ობიექტებთან ერთად შეემატა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილი, სსრკ კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს საფირმო მაღაზია-სალონი „ორბიტა", რომლის ორიგინალურ კეთილმოწყობილ დარბაზებში ყოველდღიურად მატულობს მომხმარებელი. თბილისელები და ჩამოსულები სწორედ აქ იძენენ სამამულო მარკის ტელევიზორებს, რადიომიმღებებს, იმიტომ რომ მათთვის ძალზე ხელსაყრელი და მოსახერხებელია ის პროგრესული ფორმები და მეთოდები, რომლებიც მაღაზიაში დამკვიდრდა. ასეთივე განწყობით მიდიან ისინი ამავე პროფილის კულტსამეურნეო ვაჭრობის მაღაზიაში, რომელიც კიროვის რაიონში, გულიას ქუჩაზე მდებარეობს. საერთო მოწონებას იმსახურებს სპეციალიზებული მაღაზიები, „გოლიათი", „ბეწვეული", „1000 წვრილმანი", სპორტული მაღაზია გორგასლის ქუჩაზე და სხვები. თბილისში გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ხილბოსტანვაჭრობის თვითმომსახურების უნივერსალური ცენტრი ლენინის ქუჩაზე. დიდი გარჯითა და რუდუნებით მოპოვებული ეს ძვირფასი საჩუქარი დედაქალაქის მკვიდრებმა უმნიშვნელოვანესი მოვლენის— თბილისის XXXIX პარტიული კონფერენციის გახსნის წინა დღეს მიიღეს. გულგრილად ვერავინ ჩაუვლის გვერდს ბორჯომის ვაგზალთან წამომართულ თანამედროვე სტილით ნაგებ შენობას, სადაც ვკითხულობთ „ბავშვთა სამყარო". აღსრულდა ის, რასაც უფროსები დაჰპირდნენ მოზარდებს, რომ მათ უთუოდ ექნებოდათ ისეთი დიდი სახლი, სადაც არა მარტო დააკმაყოფილებდნენ გოგონებისა და ბიჭუნების ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ავეჯზე, სათამაშოებზე მოთხოვნას, არამედ აქ ისინი უკლებლივ ყველა სიკეთეს თანაბრად გაუნაწილებდნენ, იმ სიკეთეს, რასაც ნორჩებზე მზრუნველობა, მათი გემოვნების ჩამოყალიბება, ესთეტიკური აღზრდა ჰქვია.

ახდენილი ოცნებების დიდ სახლში ექვს სავაჭრო დარბაზს ისე მოივლი დაღლას არც იგრძნობ. კაფე, კინოსაპროექციო კაბინეტი, დედათა და ბავშვთა ოთახი იმისათვის არის გამიზნული, რომ დედამ მშვიდად მოაგვაროს საოჯახო პრობლემები. აქ პედაგოგებთან დარჩენილ მოზარდებს მოწყენისათვის არა სცალიათ, მშობელს განუსაზღვრელი დროით შეუძლია დატოვოს შვილი სინათ-

ლით, სათამაშოებით, წიგნებით დამშვენებულ ოთახში, სადაც კვალიფიციური აღმზრდელები არამარტო გაესაუბრებიან მოზარდებს, მათთვის საინტერესო თემებზე, არამედ ამეცადინებენ კიდეც სასკოლო დისციპლინებში.

ძვირფასო მკითხველო, მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე შევაჩერეთ თქვენი ყურადღება, თორემ ის რომ ჩამოვთვალოთ რა გაკეთდა სტუდენტთა, მოსწავლეთა და მუშათა კვების გასაუმჯობესებლად, პურით, სურსათით, სამრეწველო საქონლით შეუფერხებლად ვაჭრობისათვის, ერთი საჟურნალო წერილი ნამდვილად ვერ დაიტევდა. ზრუნვა ამ მიმართულებით არ ნელდება, მომავალ ხუთწლედში ნავარაუდევია კიროვის რაიონში აიგოს უნიკალური სავაჭრო ცენტრი, სადაც მილიონთა ყოველდღიურ მოთხოვნებს ისე დააკმაყოფილებენ თბილისს რომ შეჰფერის, თბილისელებს რომ ეკადრებათ.

მარტო 1976-1980 წლებში სავაჭრო ფართობის მოცულობა რესპუბლიკაში 556 ათასი კვ. მეტრით გაიზარდა — გვითხრეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში. რუსთავი, საკავშირო მასშტაბით, იმ 16 ქალაქს შორის არის, სადაც ეწყობა ექსპერიმენტი საქონელმოძრაობის პროგრესული ტექნოლოგია ტარა-მოწყობილობების გამოყენებით. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მომსახურების კულტურით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დედაქალაქის მოწინავე სავაჭრო ორგანიზაციებს ტოლს არ უდებენ ქუთაისის „ავეჯის“ სახლი, გაგრის სავაჭრო ცენტრი „ჟოეკვარა“, თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზიები სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, სავაჭრო ცენტრები ზუგდიდში, წყალტუბოში.

საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლის მკვიდრთა საკავშირო მომსახურება. მათ განკარგულებაშია კეთილმოწყობილი უნივერმაღები, მაღაზიები, სასადილოები, კაფეები.

ყოველ დილით, ადამიანები მუდამ სადღაც მიიჩქარიან, თითოეულს თავისი მკაცრად დაკანონებული დღის რეჟიმი აქვს. უმთავრესი — ზუსტად გამოცხადდეს სამუშაოზე, ინსტიტუტში, სკოლაში, მაგრამ მანამდე, განსაკუთრებით ქალები, ცდილობენ ზოგიერთი საოჯახო წვრილმანის მოგვარებას, რომ დრო დაზოგონ, ამისათვის რა არის საჭირო? — მაღაზიაში მუდამ დახვდეთ კეთილი მასპინძელი, რომელიც ხელს შეუწყობს, გულთან მიიტანს თითოეულის საფიქრალ-საზრუნავს და ისეთი განწყობილებით გამოუშვებს, რომ ნაყოფიერად აკეთოს საქმე შინ და გარეთ. ამისათვის არის მონდომებაც, რესურსიც, მაგრამ მაინც თუ ისევ იგრძნობა შეფერხებები საჭირო საქონლით მომარაგებაში, ვფიქრობთ ეს დროებითია. მშრომელთა მოთხოვნები უპირველესია და თუ ამას უანგარო შრომით, პატიოსანი გარჯით მივაღწევთ, არც წარმატება დააყოვნებს, არც სახელი და, რაც მთავარია, ხალხის დაფასება და მადლობა, რომელიც ყველაზე სანუკვარი, თვალისმომჭრელი ჯილდოა ვაჭრობის თითოეული მუშაკისათვის.

## „ბავშვთა სამყაროში“

ჯ. ლომაძის ფოტო







ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინო ანანიაშვილი

სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე წარმატებით გამოდის ჩვენი თანამემამულე ნინო ანანიაშვილი. იგი თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღზრდილია, შემდეგ კი სწავლა მოსკოვის აკადემიურ სასწავლებელში გააგრძელა...

ბალეტის მოყვარულნი კარგად იცნობენ ნინოს, როგორც დიდი თეატრის დასის ახალგაზრდა სოლისტს. პრესაში გულთბილად აღინიშნა მის მიერ შესრულებული ოდეტა-ოდილიას პარტია პ. ი. ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“. ამჯერად, ნინო, მონდომებით მუშაობს კიტის მთავარ პარტიაზე (მინკუსის ბალეტი „დონ კიხოტი“.) გვჯერა, რომ კიდევ არაერთხელ გვასახელებს ჩვენი თანამემამულე, ქალაქ ვარნაში გამართული საერთაშორისო კონკურსის ოქროს მედალოსანი და მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის პრიზიორი — ნინო ანანიაშვილი.

ირაკლი ზაქარიაშვილი

# ზრუნვა წინაპართა ნაკვალევს!

საქართველოს ისტორია, ეს არის მრავალი ათასწლეულის მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლების ასპარეზი.

გვიან ფეოდალურ ხანაში, როცა ერის ფიზიკური არსებობის საკითხი წყდებოდა, მამაკაცების გვერდით იღვწოდნენ ქალებიც. ისინი, სამშობლოს ღირსეულ შვილებს უზრდიდნენ და აბჯარასხმულნი მამაცთა სიკვდილითაც ეცემოდნენ ბრძოლის ველზე. ხანმოკლე მშვიდობიანი პერიოდები ცხადყოფდა, რომ ერის შემოქმედებითი გენია არ იფერფლებოდა, ქვეყანა კვლავ ფენიქსებრ აღსდგებოდა: არა ერთ „მეორედ მაშენებელ“ ქალს იცნობს XVII-XVIII საუკუნეები, რომელთა შორის გამოირჩევა მარიამ დედოფალი. მარიამზე ადრე ანა დედოფალმა გადაარჩინა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერი. ამგვარ მოამაგე ქალთა რიგს მიეკუთვნება დღემდე არც თუ ისე პოპულარული მარიამ ბაგრატიონი, მეუღლე სახელოვანი პატრიოტის — ედიშერ ჩოლოყაშვილისა.

მარიამმა ეკლესიას მიაშურა. და იმ დღიდან მოყოლებული დაუღალავად შრომობდა ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების გადარჩენისათვის: მრავალი ენის მცოდნე, ავტორი ორიგინალური და ნათარგმნი წიგნებისა, შესანიშნავი კალიგრაფი, გრაფიკოსი, შემკრები ხელნაწერებისა, დაუცხრომელი მასწავლებელი და ორგანიზატორი ხელნაწერ წიგნთა გამრავლებისა, უშურველად, უანგაროდ სწირავდა წიგნებს ეკლესია-მონასტრებს. აქტიურად იბრძოდა სულიერი კულტურის ძეგლთა გადარჩენისათვის, ამ საქმეს შესწირა ცოდნა, ნიჭი, მატერიალური ქონება და სიცოცხლე. ასეთ თავდადებულ ადამიანთა დაუცხრომელმა შრომამ გადაარჩინა მრავალი ძეგლი, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს.



ნიკორწმინდა



გრემი

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე წლებიდან ცნობილი ლენინური დეკრეტების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ხუროთმოძღვრებისა თუ სულიერი კულტურის არაერთი ძეგლის გამოვლინება, შესწავლა-გადარჩენა.

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა ნამდვილ სახალხო საქმედ გადაიქცა, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საეტაპო დადგენილებების საფუძველზე მკვეთრად გაუმჯობესდა არა მარტო კულტურის ძეგლების გამოვლინება, შესწავლა, რესტავრაცია, არამედ მისი გონივრულად გამოყენება მოსახლეობის ესთეტიკური, პატრიოტული, ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

მარტო თბილისის ძველი უბნების აღდგენა რადა ღირს! ოდესღაც დანაგვიანებული, მოუწესრიგებელი ვიწრო ქუჩები და ჩიხები ახლა მარგალიტივით ჩაჯდა ქალარა ქალაქის არქიტექტურაში, რასაც ყოველწლიური ზეიმი თბილის-ქალაქობა აგვირგვინებს.

ამჟამად საქართველოში მარტო ძველი ქალაქების უბნები კი არა, ათობით უმნიშვნელოვანესი ძეგლი შეკეთდა და შესაფერისად არის გამოყენებული.

ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევარ რესტავრატორთა შორის დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს ისეთი აღიარებული მკვლევარი, როგორიც გახლავთ მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან მეფისაშვილი და შესანიშნავი მეცნიერ-რესტავრატორი რუსუდან გვერდწითელი. ისინი ოთხ ათეულ წელზე მეტია წარმატებით ემსახურებიან ამ რთულ და შრომატევად საქმეს.

მუდმივი ზრუნვა წინაპართა გმირული ნაკვალევის დაცვისათვის, რესტავრაციის ტემპები თავდებია იმისა, რომ ისტორიულ-რევოლუციური საბრძოლო და შრომითი დიდების ძეგლები ნასათუთევი გადაეცემა მომავალ თაობებს.



ბეთლემის ქართული მონასტრის წარწერა



ხამთავისი



ვარძია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომელიც, უეჭველია, ბევრ სასარგებლო რამეს მოგვცემს, დაგვეხმარება გადავწყვიტოთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემა — ავამაღლოთ მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა.

კ. უ. ჩერნენკო.

ზ. მერკვილაძე,
ჟურნალ „პირიმზის“ მთავარი რედაქტორი.

60

# სერვისი — სავიზიტო ბარათი!



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლეილა ცარციძე

ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ დღეს თანამედროვე სერვისი 700-მდე სახის საყოფაცხოვრებო მომსახურებას სთავაზობს რესპუბლიკის მოსახლეობას. ათიოდე წლის წინათ კი ეს ციფრი 200-მდე თუ აღწევდა.

რაკი საუბარი ციფრების ენით დავიწყეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურებაში მომუშავე 50 ათასიანი კოლექტივის თითქმის ნახევარს ჩვენი სახელოვანი ქალები წარმოადგენენ.

სერვისის გაფართოება-განვითარებაზე წერას რომ შევუდექი, უმალ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მედეა ჯაფარიძის სიტყვები გამახსენდა, ამას წინათ რომ მიაგო საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს საზეიმო ტრიბუნიდან:

— კაცი სკეპტიკოსი უნდა იყოს, რომ ვერ იგრძნოს ის დიდი სიკეთე, რასაც ყოველდღე გვანიჭებთ თქვენი მონდომებული, მე ვიტყოდი შემოქმედებითი შრომით. აბა კარგად გადავავლოთ თვალი: სად იყო ამ რამდენიმე წლის წინათ ამდენი სილამაზის სალონი, ინდივიდუალური დაკვეთის ატელიესაპარიკმახერო, ჰიგიენის სახლი, სამრეცხაო. რთული საყოფაცხოვრებო საოჯახო ნივთების შემკეთებელი სახელოსნო? მერედა რაოდენ საჭიროა დღეს ყოველივე ეს მშრომელი კაცისათვის, რომელსაც უფრო დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თუ ცხოვრებისეული პრობლემები აქვს გადასაწყვეტ-მოსაგვარებელი...

სრული ჭეშმარიტებაა. სოციოლოგებმა, მაგალითად, გამოიკვლიეს, რომ მარტო რეცხვას ოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახის დიასახლისი წელიწადში დაახლოებით 25-26 სამუშაო დღეს ანდომებს. აქედან დასკვნა — რაც უფრო კარგად გვექნება ორგანიზებული საყოფაცხოვრებო მომსახურება, მით მეტად იქნებიან ქალები ჩაბმული საერთო სახელმწიფოებრივ სასარგებლო საქმიანობაში.

თუ ახლო წარსულს თვალს გადავავლებთ, შეუძლებელია, უმალ არ შევნიშნოთ დღევანდელი სერვისის განვითარების დაჩქარებული ტემპები.

ისი ციფრები: 1978 წელს მოსახლეობამ საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის გადაიხადა 60 მილიონ მანეთამდე. წლეულს კი ეს ციფრი 167,7 მილიონი მანეთით არის დაგეგმილი. როგორც ხედავთ, მატება თითქმის სამჯერ მეტია. და თუ ამას იმასაც მივუმატებთ, რომ შარშან თითოეულმა მცხოვრებმა მომსახურებაზე 36 მანეთი დახარჯა, რაც უფრო მეტია, ვიდრე საკავშირო საშუალო დონე, ნათელი გახდება ჩვენი სერვისის უდაოდ დიდი წინსვლა.

რამ განაპირობა ასეთი მასშტაბურობა? აქ უადგილო არ იქნება თუ მოვიგონებთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის V და მომდევნო პლენუმებზე, აგრეთვე საქართველოს კპ XXVI ყრილობაზე გაჩაღებულ სჯა-ბაასს მომართულს რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების პრობლემატურ საკითხზე. სწორედ საკითხის ასე მკაცრად და პრინციპულად დაყენებამ შექმნა დარგის წინსვლისა და განვითარების პირობები. აბა, გავიხსენოთ, როგორი დევიზები და ინიციატივები გაჩნდა მაშინ, რომლებიც დღესაც ძალაშია — „მომსახურების სფეროს კარგი ეტალონი“, „მივუახლოვოთ მომსახურების სფერო წარმოებას“, „არა გაისად, არა ერთ თვეში, არა ხვალ, არამედ დღეს, სწორედ დღეს“...

ამ ინიციატივებმა და დევიზებმა თავისთავად მომსახურების სულ ახალი და ახალი სახეები და ფორმები წარმოშვა. აი ისინიც: მომსახურება ბინაზე, მომსახურება ფოსტით, მომსახურება საკუთარი მსუბუქი ავტომანქანით, მომსახურება სასწრაფოდ და ა. შ.

ზემდგომი ორგანოების პრინციპულმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა თანამედროვე სერვისის ინდუსტრიულობა, და აი, გაჩნდა მომსახურების ისეთი მძლავრი გიგანტები, როგორიც არის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „პირიმზე“, ცენტრალური საყოფაცხოვრებო სახლი ავჭალის გზატკეცილზე. სასერვისო დანიშნულების ახალი ობიექტები აშენდა გლდანის, საქარხნო და თბილისის სხვა რაიონებში, აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, თელავში, ზუგდიდში და თითქმის ყველა რაიონში. მარტო საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ამ ბოლო სამ წელიწადში რესპუბლიკაში ააგო 24 სახლი და კომბინატი. 56 კომპლექსური მიმღები პუნქტი, 18 ჰიგიენის სალონი, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი ორი მსხვილი საწარმო და სხვა.

წლეულს კი თბილისელმა და სოხუმელმა მშრომელებმა განსაკუთრებული საჩუქრები მიიღეს: თბილისს შეემატა სადღესასწაულო ცენტრი. (ორთაჭალაში), ხოლო ზღვისპირა ქალაქში მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების ოთხსართულიანი შენობა...

ზემოთ აღვნიშნე, რომ სერვისში მომუშავეთა დაახლოებით ნახევარს ქალები წარმოადგენენ მეთქი. მათ შორის მოწინავენი ბევრია და ცხადია მათი ჩამოთვლაც ძალზე შორს წაგვიყვანს. ერთ-ერთ მათგანს კი აუცილებლად გამოვყოფთ. ეს გახლავთ თბილისის ტანსაცმლის ინდკერვის გაერთიანების № 28 ატელიეს მკერავი ლეილა ცარციძე, რომელიც შრომაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში დიდი წარმატების მოპოვებისათვის წლეულს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს...

მოვუსმინოთ მას:

— ჩვენი რესპუბლიკა მრავალრიცხოვან სტუმართათვის დასასვენებლად და დასათვალიერებლად ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეული ადგილია. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მომსახურების კულტურის ამაღლებას უნდა მივაქციოთ. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ სერვისი, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის მეტად მეტყველი სავიზიტო ბარათი გახლავთ...

მოწინავე მკერავის, ხალხის რჩეულის ეს გამონათქვამი მრავლის მთქმელი და მომცველია და სერვისის თვითეულ მუშაკს იქითკენ მოუწოდებს, რომ თავისი ნახელავითა და გარჯით სიხარული მიანიჭოს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას და როგორც იტყვიან, კარგი გუნება-განწყობილება შეუქმნას მას.



ახალი საყოფაცხოვრებო კომბინატი ავჭალის გზატკეცილზე



რესტავრირებული ავეჯი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ გავლამაზდეთ



ზოგჯერ ქალს რაიმე შემთხვევის გამო ძალიან სჭირდება კარგად — ლამაზად გამოიყურებოდეს, დრო კი თავის მოსავლელად ძალიან ცოტა აქვს. შემიძლია გასწავლოთ, როგორ გამოხვიდეთ ამ მდგომარეობიდან. სინჯეთ — შედეგს აუცილებლად მიიღებთ! ყოველ შემთხვევაში იმ ერთ საღამოს მაინც აუცილებლად გაილამაზებთ თავს.

მაშ ასე, უპირველეს ყოვლისა, მოზრდილა ქვაბით წყალი შედგით ასადუღებლად კომპრესისათვის. არ დაგავიწყდეთ, ჩაის ადუღებაც; ამასობაში გრილი და თბილი წყლის მონაცვლეობით შხაპი მიიღეთ. შემდეგ რაიმე თხელი კრემი ან მაწონი, არაჟანი, კეფირი, მაიონეზი (ამათგან რომელიმე ერთი) ტამპონზე წაუსვით და სახე კარგად გაიწმინდეთ. ერთი-ორი წუთის შემდეგ პირზე ცხელი წყალი შეისხით და სველ კანზე რაიმე ცხიმოვანი კრემი წაისვით („ვოსტორგი“, „ნექტარი“, „ლუქსი“). ამასობაში წყალიც ადუღდება; აიღეთ რბილი პირსახოცი, შუა ნაწილი მდუღარე წყალში ჩაუშვით, გაწურეთ, გაშალეთ და ფრთხილად მიიდეთ სახეზე — ჯერ ნიკაპზე, შემდეგ ლოყებზე (თავი ოდნავ უკან გადაწიეთ), შუბლზე და ბოლოს თვალებზე. პირსახოცს ბოლოებში მოკიდეთ ხელი და ისე მოკეცეთ, რომ ჩაღრმავებული ფორმა მიიღოს და სუნთქვა შეგეძლოთ. კომპრესი იმდენხანს გაიჩერეთ სახეზე, ვიდრე სიამოვნებას გგვრით და სითბოს გრძნობთ. ამ პროცედურას ორ-სამჯერ გაიმეორებთ, თან სახეზე კრემს დაიმატებთ ხოლმე. ქუთუთოებზე კრემი უფრო თხლად და ფრთხილად წაისვით, რომ თვალებში არ ჩაგივიდეთ, პროცედურის დამთავრებისას ცოტა ხნით სახეზე ცივი (ყინულოვანი) კომპრესი დაიდეთ; მერე ლიმონის ნაჭრით გაიწმინდეთ ან ლიმონიანი წყალი შეისხით და ბოლოს, კიდევ ერთხელ გადაისვით ყინულის ნაჭერი. შემდეგ ეტაპზე სველ სახეზე და ყელზე წაისვით კრემი, ლოყებზე, ნიკაპზე ხელების ტყაპუნით, ხელების წრიული მოძრაობითა და კანზე თითების დაჭერით გაიკეთეთ მასაჟი. შემდეგ სველი სახე პირსახოცით შეიმშრალეთ. ტენითა და კრემით გაჟღენთილი კანი მკვრივი და ვარდისფერი გაგიხდებათ!

ბოლო პროცედურა: დააყენეთ ახალი ჩაი. დაუმატეთ 1-2 კოვზი თაფლი, ლიმონის ნაჭერი და ნელი-ნელ მიირთვით; მალე იგრძნობთ, რომ დაღლილობა გიქრებათ და მხნეობა გემატებათ.

ცოტაოდენი გრიმი ყველა ქალს უხდება. არავინ არ გაგკიცხავს თუ სადღესასწაულოდ გრიმს უფრო შესამჩნევად წაისვამთ, ვიდრე ჩვეულებრივ დღეს. გრიმის ფერი უნდა შეეხამებოდეს თმის, თვალების და კანის ფერს. არც ტანსაცმლის ფერი დაგავიწყდეთ. ყოველივე ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული. კარგი განწყობილება, მოელვარე თვალები და ღიმილი, აი რა არის კიდევ სილამაზისთვის საჭირო... მართლაც და, რა ლამაზი ბრძანდებით ამ საღამოს!!

ი. კოლბუნენკო,
მოსკოვის სილამაზის ინსტიტუტის მთავარი ექიმი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე ივანე დვალის ფოტოეტიუდი „დედაშვილობა“

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვახია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი—ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 20.03.84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.V. 84 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 140.000. შეკვ. 690 უე 10530



„ქართვლის დედა“. მოქანდაკე ე. ამაშუკელი.



ინდექსი 76178
ფასი 60 კაპ.